

**საბადასახადო დავალიანების  
ამოღების მეთოდების გაუმჯობესება**

# წინასიტყვაობა

მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო დავალიანების ამოღებაზე მომუშავე ინსპექტორებისთვის საჭირო ერთიანი ინსტრუქციებისა და მეთოდების მიწოდება.

სახელმძღვანელოს მხოლოდ მეთოდური დანიშნულება აქვს და არ შეიძლება მან საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებისა და კანონების ადგილი დაიკავოს.

საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა, იურიდიული უფლებამოსილების დასადგენად უნდა მიმართონ საქართველს საგადასახადო კოდექსს.

სახელმძღვანელოს ავტორები არიან ბარენცის ჯგუფის/USAID ფისკალური რეფორმის პროექტის მთავარი მრჩეველები საგადასახადო აღმინისტრირების საკითხებში:

არტურო ჯეიკოვსი  
რიჩ მოსკუილი  
ჩარლი კოილი  
ჯონ ეილერი



## ს ა რ ჩ ე ვ ი

ა.	შესავალი	2
ბ.	დღესდღეობით არსებული იურიდიული საფუძველი ვადაგადასული დავალიანების ამოღებისთვის	4
გ.	თანამედროვე მსოფლიოს საგადასახადო ორგანიზაციები	14
დ.	საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციური ორგანიზაცია და ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღება	40
ე.	ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღების პრობლემის მოგვარება; ინტერვიუს მეთოდის გამოყენება	48
ვ.	ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტი (ვდასი)	60
ზ.	საკითხის შესწავლა ვდასის გამოყენებით (პრაქტიკული სამუშაოები)	
თ.	მიმდინარე ეტაპზე ამოუღებელი დავალიანება	80
ი.	შეგროვების სხვა მეთოდები	90
კ.	ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღების პროცესი	103



**შესავალი: ვადაგადაცვილი ბადასახადების შეზღუდვის მეთოდების გაუმჯობესება**

ეს სამახსოვრო საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის ვადაგადაცილებული ვადასახადების დეპარტამენტის თანამშრომლებს გაუწევს დახმარებას. სტუდენტებს და ინსტრუქტორს ეძლევათ საშუალება რომ ამ სამახსოვროში მოცემული მასალა გამოიყენონ როგორც ერთიანად, ასევე ცალკეული თავების მიხედვით. ასეთი სახის ფორმატი მოსახერხებელია, რადგან აძლევს სტუდენტს როგორც ტექსტის გადამეორების ასევე ჩანაწერების გაკეთების საშუალებას. ეს სამახსოვრო დახმარებას გაუწევს ახალ ინსპექტორებსაც.

ვადაგადაცილებული ვადასახადების შეგროვების მეთოდების გაუმჯობესება დიდი და რთული პროცესია. საშუაზაროდ არ არსებობს ერთი მარტივი მეთოდი რომელიც მოაგვარებს არსებულ პრობლემებს. ჩვენ ვეცდებით რომ მოძღვეთ რვა გაკვეთილის განმავლობაში მოგაწოდოთ ყველა საჭირო ინფორმაცია და გააცნოთ ვადაგადაცილებული ვადასახადების შეგროვების ახალი მეთოდები. ვადასახადების შეგროვება დინამური, მუდმივად ცვლადი პროცესია და შესაბამისად მომავალში ეს მასალებიც შეიძლება შეიცვალოს. არა მარტო საქართველოში, ასევე იმ ქვეყნებში სადაც სტაბილური საგადასახადო სისტემა არსებობს საკანონმდებლო ორგანოები საკმაოდ ხშირად ცვლიან საგადასახადო კოდექსს და ამიტომ ყოველი საგადასახადო მოხელე სრულიად ყოველთვის უნდა მოელოდეს ცვლილებებს.

კარგი იქნება თუ გადაეხედათ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტში. ამჟამინდელი კოდექსის ფარგლებში არსებობს დავალიანების ამოღების მკაცრი მეთოდები და ეფიქრობთ მათი რაოდენობა მომავალში საგრძნობლად გაიზრდება. საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა უნდა უცადოს რომ საგადასახადო კოდექსში შეიტანოს ცვლილებები დაგვიანებული ვადასახადების ამოღების მეთოდების გამკაცრებასთან დაკავშირებით. კარგი იქნება ეს შესწორებები საკანონმდებლო სისტემის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს თუ შეეხება. რადგან ყველა საკითხთან დაკავშირებით არ არის საჭირო ამ ღონისძიების გატარება. საგადასახადო ინსპექტორს უნდა ჰქონდეს საკმაო უფლებამოსილებანი რომ საქმეთა 90% სასამართლოს ჩარევის გარეშე დახუროს. (ბ), (გ) და (დ) გაკვეთილებში საქართველოს საგადასახადო სისტემის მონახაზს შევადარებთ საერთაშორისო საგადასახადო სისტემას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის შევიძუშვებთ ეფექტურ მეთოდებს.

ბოლო ხუთი გაკვეთილი გააცნობთ ვადასახადების შეგროვების იმ მეთოდებს რომლებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველოში. ამ მეთოდებიდან ყველაზე მეტად მისაღები ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღებისთვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტაციაა (ვცასი) რომელზეც ვისაუბრებთ გაკვეთილში ე. ეს ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. ამ ინფორმაციის შეგროვება ეფექტური ინტერვიუს წინაპირობაა. შემდეგ ამ ინფორმაციას ვეძარებთ ვადამხდელის მიერ საგადასახადო ინსპექციაში წარმოდგენილ ბალანსს, რომელსაც ვადამხდელი წარმოადგენს იმ შემთხვევაში როდესაც ინსპექტორი მას შემდეგი კითხვით მიმართავს; "შეგვიძლია დაფაროთ თქვენი დავალიანება?" ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთ ბალანსს "მოსამზადებელ წიგნებს" ვეძახით. ამ ხერხით კომპანია ან მეწარმე აგროვებს ინფორმაციას, რომელსაც წარუდგენს საგადასახადო ინსპექტორს. სასურველია თუ ინსპექტორი ამ ინფორმაციის მოგროვების პროცესსაც გააკონტროლებს.

ეს კი ვადაგადაცილებული დავალიანებისთვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტის საშუალებით ხდება. ამ მეთოდის გამოყენება ინსპექტორს აძლევს საშუალებას მოიპოვოს დროის, ფინანსური და ქონების თვალსაზრისით ზუსტი ინფორმაცია. ეს ხელს შეუწყობს რომ განესაზღვროთ თუ როგორ უნდა იქნეს გადასახადი გადახდილი.

გაკეთილი მოგაწვდით ვადაგადაცილებული დავალიანებების იძულებითი წესით გადახდევინების და საერთაშორისო საგადასახადო სისტემაში მოქმედ სხვა მეთოდებს. თუმცა ყველა ამ მეთოდის გამოყენება საქართველოში უფრო-უფრობით შეუძლებელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში მათი განხორციელება შესაძლებელი გახდება.

ყოველი სემინარის წარმატება დამოკიდებულია ინსტრუქტორის პროფესიონალიზმსა და სტუდენტთა მოწოდებაზე. სტუდენტმა მთელი ენერჯია და ძალისხმევა უნდა მოახმაროს სწავლის პროცესს და ამავდროულად თვლიდეს რომ ეს ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო პროცესია. მოკემულ მასალას შევიძლიათ ნებისმიერ დროს გაეცნოთ, მაგრამ უფრო მეტად პროდუქტული იქნება, თუ ამას ყოველ დღე, თითოეულ მეცადინეობაზე გააკეთებთ, რადგან მასალის ეფექტური ათვისება მხოლოდ ბევრჯერ წაკითხვით, და წაკითხულის განხილვით შეიძლება. ათვისებული მასალა კი დაგეხმარებათ თქვენი პროფესიული დონის ამაღლებაში. ეს მასალა ასევე გამოგადგებათ მომავალში რომ გაიპოროთ სემინარზე ათვისებული ცოდნა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი სემინარების დახმარებით საქართველოში ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღება გაიზრდება და შესაბამისად სახელმწიფოს მიეცემა დამატებითი ფინანსური საშუალებები, რომელთა საშუალებითაც დაფარავს ხელფასების და პენსიების დავალიანებებს.

თავი ბ:

**დღესდღეობით არსებული იურიდიული საფუძველი  
ვადამატაცილავალი საგადასახადო დავალიანების  
ამოღებისთვის**

ის უფლებები, რომელიც საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტს დღესდღეობით გააჩნია საგადასახადო დავალიანების იძულებით გადახდევინებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების პროცესში, დაფიქსირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. კოდექსი მიღებულია 1997 წლის 13 ივნისს, მასში რამდენიმეჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები. უკანასკნელი ცვლილებები მიღებული იქნა 1999 წლის 2 აპრილს.

დღევანდელი რეალობა მდგომარეობს იმაში, რომ "იძულებით გადახდევინებისთვის" საჭირო ზომების მიღებისას, საგადასახადო ინსპექტორები, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე შემოიფარგლებიან ძირითადად "გაფრთხილებებით იძულებით გადახდევინებისთვის შესაძლო ზომების გატარების შესახებ", რომელსაც საგადასახადო ინსპექტორები აძლევენ გადაშვდელს და მესამე მხარეს. საგადასახადო დავალიანების იძულებითი ამოღება მესამე მხარისაგან, საჭიროებს შესაბამის სასამართლო ბრძანებას და სასამართლო გადაწყვეტილებას.

ისევე როგორც გადასახადის გადაშვდელის ქონების დაფადალებისა და ქონების საჯარო აუქციონზე გაყიდვის პროცედურების განხორციელებისათვის, აუცილებელია შესაბამისი სასამართლო ბრძანება და სასამართლო გადაწყვეტილება.

აქედან გამომდინარე, გადასახადის გადაშვდელსაც და მესამე პირებსაც შეუძლიათ იფიქრონება გაუკეთონ საგადასახადო ინსპექტორის მიერ გაკეთებულ "გაფრთხილებას". საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილება, განახორციელონ გადახდევინების მიტევა და გირაუნობის უფლების განხორციელება, მთელი რიგი იურიდიული პროცესების ჩატარების გარეშე. სამწუხაროდ, არც ამას მოაქვს რეალური შედეგი. სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სასამართლო ბრძანებულებების მიღება, დღესდღეობით არსებული გარემოებების პირობებში უზომოდ იწელება, და ის თითზე ჩამოსათვლელი გადაწყვეტილებები, რომელიც დღემდე სასამართლოს მიერაა მიღებული, მეტად არაადაქმაყოფილებელია, რადგან მოსამართლეებს მწირი ცოდნა აქვთ საგადასახადო კანონებსა და მასთან დაკავშირებულ სახკითხებზე.

ამ გაკეთილის მიზანს წარმოადგენს ყურადღების გამახვილება (1) მოთხოვნაზე, რომელიც გაკეთდა 1999 წლის მაისში, საგადასახადო და სხვა კანონებში შესატანი აუცილებელი ცვლილებების შესახებ, და რომელიც USAID-ის დახმარებით სამომავლოდ უნდა წარუდგეს პარლამენტს; და (2) არსებული საგადასახადო კოდექსის მიერ, საგადასახადო ინსპექტორებისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომელიც საგადასახადო ინსპექტორებმა უნდა გამოიყენონ ვადამატაცილავალი დავალიანებების ამოღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების პროცესში

1. აუცილებელი ცვლილებები, რომელიც უნდა შევიდეს, საგადასახადო და სხვა კანონებში (იხ. დანართი ბ-1)
  - (ა) 1999 წლის მაისში, ბარენცის ჯგუფმა USAID-ის წარუდგინა მოკლევადიანი იურიდიულ საკითხებზე. ვადამატაცილავალი დავალიანების ამოღების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა, ჩვენმა ქართველმა

პარტნიორებმა დახმარება გაგიწიეს საკითხის შესწავლის პროცესში, სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამართული დისკუსიებისა და მომზადებული მოხსენებების საშუალებით, აგრეთვე თავიანთი წვლილი შეიტანეს ბატონი ნუგზარ ქეთარაძის დაქვემდებარებაში მყოფმა დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

- (ბ) სემინარის მონაწილეები უნდა გაეცნონ ოფიციალურ მოკლევის შედეგებს, რათა კლასში გაიმართოს დისკუსია აღნიშნული საკითხის გარშემო.
- (გ) აუცილებელი იქნება განხორციელდეს არა ერთი ასეთივე ღონისძიება, რათა საბოლოოდ მივაღწიოთ პარლამენტის მიერ კანონში იმ ცვლევებების შეტანას, რომელიც სათანადოდ გაუზრდის უფლებამოსილებას საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად.

2. ადმინისტრაციული პროცედურები – უფლებამოსილება, არსებული საგადასახადო კოდექსის ფარგლებში (იხ. დანართი 2-2)

- (ა) დანართი - “ადმინისტრაციული ღონისძიებები” სემინარის მონაწილეებმა უნდა წაიკითხონ ყურადღებით, საკითხის გაკეთილზე განხილვის მიზნით
- (ბ) ყურადღება გაამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ადმინისტრაციული ღონისძიებები შექმნილია იმ მიზნით, რათა საგადასახადო ინსპექტორებმა შეძლონ მისი გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო დოკუმენტის გამოყენებასთან ერთად.



მოკლემა საპარტლემბრომ საქითხმთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ

1. იძულებითი ღონისძიებები, საგადასახადო კოდექსის თანახმად, ძირითადად შეიცავს გაფორმებისას, რომ განხორციელდება იძულებითი გადახდა გადამხდელის ან მესამე პირის მიმართ. ფაქტურად ვალების ამოღება მესამე პირისაგან, როგორი სახითაც ვინცა განხორციელდება - იქნება ეს მესამე პირის დეპოზიტების გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში, გადასახადის გადამხდელის დებიტორული ანგარიშებიდან ბიუჯეტში გადარიცხვა თუ მესამე პირის მფლობელობაში არსებული გადამხდელის ქონების დაყადაღება, ყველაფერი მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას ან სასამართლოს ბრძანებას. მსგავსად ამისა, გადამხდელის ქონების დაყადაღება და მისი გაყიდვაც მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილებას ან ბრძანებას. ასეთი სახის საქმეები, რომლებიც გადაცემულია სასამართლოში განსახილველად, დიდი დროის განმავლობაში დევს იქ ყოველგვარი რეაგირების გარეშე. ამრიგად შუა რიცხვებისათვის მთლიანად დაახლოებით 260 საქმე არის გადაცემული სასამართლოში იძულებითი გადახდებიდან და დაკავშირებით და ისინი სხვადასხვა სასამართლოებში დევს რეაგირების გარეშე. ამასთანავე, საგადასახადო სისტემის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ ნარჩენების ამოღების რეალური ძალაუფლება იმ გადამხდელისაგან, რომლებიც უარს აცხადებენ გადახდაზე და შესაბამისად ყოველთვის უარს იხრებენ დაყალიბების ოდენობა, რომელსაც ემატება დარიცხული ჯარიმები და საურაევები გადაუხდელობის ან დაგვიანებული გადახდის გამო. საგადასახადო სისტემაში მოშუავე ერთ-ერთი ოფიციალური პირის მონაცემებით, ამრიგად შუა რიცხვებისათვის დავალიანების ოდენობა შეადგენს 340 მილიონ ლარს, რომელსაც ყოველთვის უარს იხრებდა 30 მილიონი საურაევების სახით. ვადაგადაცილებული დავალიანებების დიდი ნაწილი მოდის იმ გადასახადებზე, რომლებსაც მომხმარებელი უხდის წარმოებას (დღგ, აქციზი) ან სოციალური ფონდისათვის განკუთვნილ ანარიცხებზე.
2. საგადასახადო კოდექსის ბევრი მუხლი ეხება დავალიანების იძულებითი წესით ამოღებას, მაგრამ არ არსებობს დებულებები, როგორ უნდა განხორციელდეს ყადაღადებული ქონების გაყიდვა მას შემდეგ, როცა გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება; როგორი უნდა იყოს ქმედება იმ ბანკების მიმართ ღონისძიებები, რომლებიც არ ასრულებენ საგადასახადო სისტემის მუშაების მიერ წარდგენილ მოთხოვნას ანგარიშიდან ფულის მოხსნის ან სხვა სახის გადახდის შესახებ. ასევე გაურკვეველია აღსრულების პროცესი იმ საქმეებისათვისაც კი, რომლებიც ბოლო სტადიაზეა მიყვანილი. საგადასახადო სისტემის მუშაების მიერ შემუშავებული იქნა იძულებითი გადახდების წესები. ეს წინადადებები განხილვის სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება. ზოგი შედგენილი და ან განხილულია საგადასახადო დეპარტამენტში, ზოგი ფინანსთა სამინისტროში და ან იუსტიციის სამინისტროში წარდგენილი განსახილველად. არ სრულდება ის წესებიც კი, რომლებსაც უკვე გაიარეს ეს სტადიები, რადგან ან საერთოდ არ არსებობს, ან ძალიან მწირია ის პროცედურული ნორმები, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს ამ წესების რეალურად გატარება.

პარლამენტმა მიიღო კანონი, "სააღმსრულებო წარმოების შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 15 მაისიდან. ამ კანონმა შესაძლოა გააადვილოს იმ წინააღმდეგობების გადალახვა, რომლებიც ჩამოთვლილია ა და ბ პუნქტებში.

3. სხვადასხვა კანონებსა და კოდექსებს შორის განსხვავებების გამო იქმნება სირთულეები ვადაგადაცილებული დავალიანებთა ამოღების სფეროში. მაგ. კანონი კომერციული

ბანკების საქმიანობის შესახებ, კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი-ყველა წინააღმდეგობაშია საგადასახადო კოდექსთან. მაგ. ბანკის თანაშრომლები ყოველთვის უარს აცხადებენ მაიწოდონ საგადასახადო დეპარტამენტის თანაშრომლებს ინფორმაცია გადამხდელის ანგარიშის შესახებ და იგნორირებას უკეთებენ საინკასო დაეკლბას და არგუმენტად მოყვით კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის გარკვეული მუხლი და შედეგად წყდება ვალების ამოღებაზე მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსის 255 მუხლის თანახმად ბანკებს, რომლებიც არ ასრულებენ ამ საქმიანობას ერიცხებათ ჯარიმა. აგრეთვე საგადასახადო კოდექსის მუხლი 4 (2) და 3-ის მიხედვით მაშინ, როცა სხვადასხვა კოდექსები მოდიან წინააღმდეგობაში, უპირატესობა ენიჭება საგადასახადო კოდექსს. საქმე იქნა არ იბერის. როცა საგადასახადო სისტემის მუშაკები აწყლებიან ამ მდგომარეობას, ისინი იძულებულნი არიან მიმართონ არაოფიციალურ გზებს, რომ შესარულონ შემოსავლების გეგმა. ზოგჯერ ისინი მიმართავენ გადამხდელის დაშინების მეთოდს.

4. გადამხდლების საჩივრების განხილვის და მათი დაცვის აუცილებლობაც არსებობს. მე, უბრალოდ, არ გამჩნია საკმარისი ინფორმაცია იმ კანონმდებლობასა და/ან ადმინისტრაციულ წესებზე, რომელთაც ამის განხორციელება შეუძლიათ.
5. აუცილებელია მოხდეს ურთიერთანგარიშსწორება გადამხდელთან და იმ თანხების ჩათვლა, რომელიც ბიუჯეტს მართებს მათ მიმართ. ასეთია ბევრი ადამიანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ვისთანაც მე ვისაუბრე. მე არ ვიცი, საჭიროა თუ არა კანონმდებლობაში ცვლილებები ან რაიმე ადმინისტრაციული პროცედურები ამ საკითხის მოსაგვარებლად.
6. აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სასამართლო საგადასახადო დავების გადასაჭრელად და მოხდეს ამ მოსამართლეთა მომზადება. მოსამართლეთა მხრიდან საკითხის არცოდნა და დაბალი კვალიფიკაცია გახლავთ მიზეზი სუსტი გადაწყვეტილებების ან საერთოდ უმოქმედობისა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასეთია ყველა გამოკითხულის აზრი.

საგადასახადო სისტემას არ გააჩნია სამართლებრივი მხარდაჭერა. სასამართლოში ვერ ხერხდება რთული სამართლებრივი მხარის გარკვევა და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება. საგადასახადო სისტემის მუშაკები იძულებულნი არიან თავად მოაგვიარონ საკითხები და საერთო აზრია ისიც, რომ სასამართლო მაინც არ მიიღებს მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილებას რიგი მიზეზების გამო.

გადასახადების ამოღების პროცესთან დაკავშირებული კანონები:

- აუცილებელია სასამართლოები სწრაფად განიხილავენ საგადასახადო სადაო საკითხებს მოსამართლის მიერ, რომელსაც ესმის საგადასახადო კანონები;
- უნდა გაუმჯობესდეს გადასახადების მობილიზაციის პროცესი და ინსპექტორებს მიეცეთ უფლება განახორციელონ იძულებითი გადახდევინება და ამასთან ერთად შემოშავდეს გადამხდელთა "ზედმეტად მონდომებული" ინსპექტორებისაგან დასაცავად.
- ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ინსპექტორს ქონდეს გადასახადის ოდენობის დადგენის მექანიზმები, სადაც შესაძლებელია გამოიყენონ არაპირდაპირი მეთოდები პირდაპირი მეთოდების შესამოწმებლად (გადამხდელის საქმიანობის განხორციელების ადგილის შემოწმების ჩათვლით);
- მუხლები გაკოტრების შესახებ უნდა მოვიდეს იმ ფორმაში, რომ შესაძლებელი გახდეს მათი აღსრულება;

- შესამოწმებელი ფინანსური დოკუმენტაციის ნაკლებობა- ნაკლებად გამოიყენება საბანკო ოპერაციები და შემოსავლების ზუსტი ჩანაწერები.

კანონები და ბრძანებები, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკურ წინსვლას და შესაბამისად საგადასახადო შემოსავლებს.

ლიცენზიების მრავალფეროვნება, შემოწმებები და მოსაკრებლები, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის გაფართოებას და აფერხებენ ბიზნესის განვითარებას.

- არსებობს უამრავი შეზღუდვები, რომლებიც ხელს უშლიან მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც თავისი მხრიდან ხელს უწყობს მონოპოლიის ზრდას კონკურენციის არარსებობის გამო, ეს კი იწვევს ფასების ინფლაციას და შესაბამისად ეკონომიკური განვითარების შეზღუდვას ( კოტები ნავთობპროდუქტების იმპორტზე, ეროვნული ბანკის ინსტრუქციები ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებთან მიმართებაში, წინადადებები პურპროდუქტების დაბეგვრის პროგრამასთან დაკავშირებით და ა.შ.) მონოპოლიური ბიზნესის არადექვატური მართვა-რეგირი;

7. საგადასახადო სისტემის მუშაკთა კორუმპირების ფაქტები იწვევს მათ მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და მეწარმეებში მათი დაუსჯელობის რწმენას.

8. ხდება ექსპორტის ღისკრიმინაცია ისევე, როგორც ადგილობრივი წარმოების საქონლისა, რომ არ მოხდეს ამ უკანასკნელის ექსპორტი.

I. კონტრაბანდული საქონელი.

ამ დანაშაულებრივი ქმედების შედეგი არასამართლიანი, სირთულეები უცხოელი ინვესტორების მოზიდვაში. ასეთ შემთხვევებში უნდა ხდებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების განუხრელი შესრულება. ასევე, აუცილებელია კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ახალი კანონის მიღება.

II. უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პრობლემები.

უნდა მოხდეს უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობის გადახედვა.

III. ხე-ტყის მასალა და სხვა ბუნებრივი რესურსების უკანონო გაფლანგვა.

უნდა მოხდეს უკვე მიღებული კანონების აღსრულება. მაგალითად სატყეო კოდექსი.

IV. არ არსებობს არანაირი სტიმულის მიმცემი პირობები და შეღავათები დამწვები მეწარმეებისათვის.

ნორმატიული ბაზის არასრულყოფილება - დაბალი საპროცენტო განაკვეთი, სესხის გაცემა ან სხვა შეღავათები მეწარმეებისათვის.

გამოხატეთ თქვენი აზრი, როგორ შეიძლება თქვენს მიერ აღმოჩენილი პრობლემების გადაწყვეტა.

უნდა ჩამოყალიბდეს საგადასახადო საკითხების განმხილველი სპეციალური სასამართლო თუ გამოინახოს რაიმე არაოფიციალური მიდგომა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

პრობლემა I – ზუსტი წესები და ინსტრუქციები საგადასახადო კოდექსის დებულებებთან დაკავშირებით. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, ისე რომ, შეღავათები ადვალტორი წარმოების საქონელზე მისაღები გახდეს.

პრობლემა II – საბაჟო ტერიტორიის მკაცრი კონტროლი, სადაც შესაძლოა მოხდეს კონტრაბანდული საქონლის შემოტანა. აგრეთვე კონტროლი მთელ ტერიტორიაზე არსებული კანონების დაცვა. საბაჟო ორგანოს ძლიერი კავშირი ანტიმონოპოლიურ სამსახურთან. უშეშროების სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა სამსახურებთან.

პრობლემა III – ზემოაღნიშნული დებულება აგრეთვე მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გადასაჭრელად.

პრობლემა IV – საქართველოს ბუნებრივი რესურსების დაცვითი ღონისძიებების გატარება სპეციალური სამსახურების მიერ

პრობლემა V – ნორმატიული აქტის (კანონის, კანონქვემდებარე აქტების და სხვა) მიღება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება გარკვეული ღვოტები მეწარმეებისათვის.

სპეციალური სასამართლო ან რაიმე არაოფიციალური საშუალების გამოანხევა საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად.

ცვლილებების შეტანა ადმინისტრირების სფეროში, რათა მეტი უფლებები მიეცეს საგადასახადო სფეროს მუშაკებს ისე, რომ არ მოუწიოთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს. ქვემოთ მოცემულია კონკრეტული სახის სასურველი ცვლილებები:

- სიტყვები “თუ ადგილი აქვს საგადასახადო ვალდებულებების თავის არიდებას” შეიცვალოს “თუ არსებობს საგადასახადო ვალდებულებების თავის არიდების ეჭვი”. მისი განსაზღვრა უფრო ლიბერალური უნდა გახდეს და უფლებამოსილი გასვლითი შემოწმების ჩატარებაზე უნდა იყოს რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი. (მუხლი 217.3)
- უნდა შეიცვალოს მუხლი 218, რათა შემცირდეს შეზღუდვები არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებაზე. მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს ყოველთვის, როცა ინსპექტორი მიიჩნევს აუცილებლად. ამ მეთოდების გამოყენების ნაკლებობა ან სიჭარბე უნდა განსაზღვროს ინსპექტორის უშუალო უფროსმა.
- 244 მუხლიდან 250-მდე. საგადასახადო დეპარტამენტს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე უნდა ქონდეს უფლება მოახდინოს იძულებითი გადახდევინება.
- თავი 43. დარიცხული ჯარიმები და საურავები უნდა გადაიხედოს ინფლაციასთან დაკავშირებით.
- თავი 44. უნდა გადაიხედოს და ამოქმედდეს აქელაციის პროცედურა.
- თავი 44. უნდა ჩამოყალიბდეს საგადასახადო სასამართლო და ის უნდა იყოს პასუხისმგებელი საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე.
- თავი 44. დაეთა გადაჭრა. შუამდგომლობის აღძვრის და აქელაციის პერიოდის ხანგრძლივია და არაუქვეტური. უნდა გადაიხედოს და გამარტივდეს 256 მუხლი.
- გადასახადების იძულებითი გადახდევინება.  
ეს თავი მთლიანად უნდა გადაიხედოს.

**მუხლი 244. გირაენობის უფლება**

მუხლში ცვლილებების შეტანისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

1. სიტყვა “ქონება” უნდა შეიცავდეს გირაენობას ქონების უფლებაზე.
2. გადამხდელს უფლება უნდა ქონდეს მიმართოს საგადასახადო ხელისუფლებას გირაენობის უფლების გაუქმებაზე, თუ ეს უფლება არასწორად არის აღძრული;
3. მუხლი უნდა შეიცავდეს შეტყობინების გაკეთების ვადებს;
4. მოძრავ ქონებასთან მიმართებაში გირაენობის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს ქონების დაყადაღების საშუალებით, ხოლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით - იპოთეკის და საჯარო აუქციონზე გაყიდვით. სასურველია ამ პროცესის განხორციელებისას სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალოს სასამართლოს ბრძანებით.

**მუხლი 245 და 247. ქონების დაზადალება და დაზადალებული ქონების რეალიზაცია.**

1. საგადასახადო სისტემის მუშაობებს უნდა გააჩნდეთ უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოახდინონ ურჩი გადამხდელის ქონების დაყადაღება.
2. დაყადაღებული და დაგირაეებული ქონების გაყიდვა უნდა მოხდეს საგადასახადო ხელისუფლების მიერ საჯარო აუქციონზე.

საგადასახადო კოდექსს უნდა დაემატოს ახალი მუხლი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასამართლოში სამოქალაქო სარჩელის აღძერა ვალის გადახდასთან დაკავშირებით. ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში არის მუხლები ვალის გადახდის გამარტივებულ პროცედურასთან დაკავშირებით.

**მუხლი 246. მისამხმე აირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადასახდების მიხედვით**

უნდა განიმართოს ფრაზა – “ მიქცეულია გადახდევინება”. აუცილებელია დაზუსტდეს, ეს ფრაზა შეიცავს დაყადაღებას თუ მხოლოდ შეტყობინებას წერილობითი ფორმით.

**მუხლი 248. გადასახადის გადახდელინათვის კუთვნილი თანხების გადასახდებისა.**

ამ მუხლის “ა” ქვემუხლში გათვალისწინებული უნდა იყოს ნაწიკები, მაგალითად: გადასახდელი თანხის 50%. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს სასამართლოს ბრძანებით.

**მუხლი 249. ქონების მიმდების ანაუხისმგებლობა გადასახადის გადახდისათვის.**

ეს მუხლი ამოღებული უნდა იქნას.

შპს "ოქიანის" ადმინისტრირებული პროექტების  
საგადასახადო დავალიანებების ამოღების ეტაპები  
(საგადასახადო ქილანგის დამუშავებათა შარბლავში)

საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე თუ დეკლარაციის შევსება განიხილება როგორც ამ გადასახადის დარიცხვა და შეტყობინება ამ გადასახადის გადახდის შესახებ. გადასახადის გადახდის ვადის გასულიდან 24 საათის შემდეგ, საგადასადო ინსპექტორი უფლებამოსილია მიიმოქმედოს შემდეგი:

1. პირველ ყოვლისა, ინსპექტორი მიდის საწარმოში და ამოწმებს მიღებული აქვს თუ გადასახადის გადამხდელს შეტყობინება გადასახადის თანხის დარიცხვის შესახებ (საგადასახადო კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად).
2. შემდგომ, საგადასახადო ინსპექტორი უპირადად აფრთხილებს და მოითხოვს საწარმოს ხელმძღვანელისაგან გადახდადონ ვადაგადაცილებული დავალიანების თანხები სრულად.
3. თუ საწარმოს ხელმძღვანელი აცხადებს თავის გადახდისუნარიანობის შესახებ, საგადასახადო ინსპექტორი ავსებს დავალიანების ამოღების საინფორმაციო ბარათს თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და სთხოვს მას ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტზე.

**შენიშვნა:**

- ა) დამატებით, საგადასახადო ინსპექტორი აფრთხილებს საწარმოს თანამდებობის პირს იმის თაობაზე, რომ თუ იგი წინასწარი შეცნობით საინფორმაციო ბარათის შევსებისას მოაწოდებს საგადასახადო ინსპექტორს ცრუ ინფორმაციას და ხელს მოაწერს დავალიანების ამოღების საინფორმაციო ბარათს, იგი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ დარღვევათა კოდექსების საფუძველზე.
- ბ) დასაბუთებული ეჭვის არსებობისას, საგადასახადო სამსახურის უფლებამოსილი პირს შეუძლია შეამოწმოს მოცემული ინფორმაციის სისწორე სხვადასხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირებისაგან (მათ შორის ბანკებიდან და სხვა საფინანსო დაწესებულებებიდან) მიღებული მონაცემების საფუძველზე.

საგადასახადო სამსახურის უფლებამოსილი პირისათვის ინფორმაციის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებით გათვალისწინებული სანქციები.

4. უპირადადინშულ ბარათში მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საგადასახადო ინსპექტორს შეუძლია განახორციელოს ერთი-ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედებებისაგან:
  - ა) კვლავ, მოითხოვოს დავალიანების სრული დაფარვა დაუყოვნებლივ ან დროის განსაზღვრულ პერიოდში, მაგალითად, 30 ან 60 დღეში, ან
  - ბ) საწარმოსთან დადოს კონტრაქტი ანგარიშსწორების შესახებ, რომლის თანახმად დავალიანების გადახდა განაწილება თვეების მიხედვით, ან

- გ) საგადასახადო ინსპექტორი რეკომენდაციას გაუწევს ხელმძღვანელობას, რათა გადასახადის გადახდის ვადა გადაიწიოს განსაზღვრული პერიოდით, მაგალითად, 1 წლით ან განუსაზღვრელი პერიოდით, იმ მოტივით, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა მოცემული მომენტისათვის ამოურებადია, ან
- დ) რეკომენდაცია გაუწიოს ხელმძღვანელობას, რათა საგადასახადო ორგანომ მიმართოს სასამართლოს განცხადებით გაკოტრების შესახებ იმ შემთხვევებში თუ გადასახადის გადამხდელი გადახდისუუნაროდ მიჩნეულია საგადასახადო ინსპექტორის მიერ მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ან
- ე) კონკრეტულ შემთხვევებში, უჩიროს ხელმძღვანელებს, რათა გადასახადის გადამხდელის ვალებს გაუკეთდეს რესტრუქტურისაცა საქართველოს კანონის საფუძველზე "ვადაგადაცილებული დავალიანებების რესტრუქტურისაციის შესახებ".

შენიშვნა: უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები "გ" ქვეპუნქტისათვის, კერძოდ "მოცემული პერიოდისათვის ამოურებადი შემთხვევებისათვის" და "დ" და "ე" ქვეპუნქტებისათვის, კერძოდ: "შესაძლო ბანკოტების შემთხვევებისათვის".

5. იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახადის გადამხდელი არ შეასრულებს მოთხოვნას სრულად დაფაროს დავალიანება ან დაარღვევს ანგარიშსწორების კონტრაქტის პირობებს – "ა" და "ბ" პუნქტები, საგადასახადო ინსპექტორი:
- ა) საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის საფუძველზე შეტყობინებას უგზავნის გადასახადის გადამხდელს ქონებაზე გადახდევინების მოქცევის თაობაზე. (ვირანობის უფლების შესახებ შეტყობინების ასლი იგზავნება საჯარო რეესტრში - ტექნიკენტარისაციის ბიუროში რეგისტრაციისათვის). საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ინსპექტორი აღნიშნულ მოქმედებას ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.
  - ბ) შეტყობინების მომენტიდან 30 დღის შემდეგ, საგადასახადო ინსპექტორი მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გამოეცხადება, დაუკავშირდება და გაუგზავნის შეტყობინებას მესამე პირებს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე (1) (მათ შორის ბანკს ან სხვა საფინანსო დაწესებულებას), რომელიც ითვალისწინებს იმ თანხის გადახდას უშუალოდ საგადასახადო ორგანოსათვის, რომელიც ეკუთვნის გადასახადის გადამხდელს დებიტორებისაგან. (საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ინსპექტორი აღნიშნულ მოქმედებას ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე). – 248-ე მუხლი.

(2) საინკასო დავალების საფუძველზე ამოიღებს დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადი, ფინანსური სანქციის სახით დაკისრებული ჯარიმა და საურავი საწარმოებისაგან, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან. (საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ინსპექტორი აღნიშნულ მოქმედებას ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე). – 265-ე მუხლი.

*შენიშვნა : ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებების მიმართ, რომლებმაც დაარღვიო საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნები გამოიყენება 255-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები. უკიდურეს შემთხვევაში კი გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164.4-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 160.1-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები.*

(3) თუ გადასახადის გადამხდელის ქონება მესამე პირის მფლობელობაშია, ან მესამე პირს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე, რომელზედაც მიქცეულია გადახდევინება, მაშინ ეს პირი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი

თანადგობის პირის მოთხოვნით, აღნიშნული ქონება ან მასზე უფლება გადასცეს საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ინსპექტორი აღნიშნულ მოქმედებას ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე). – 246 მუხლი.

6. გარდა ამისა, გადასახადის აკრეფის ღონისძიებათა შემდეგ როგორც მითითებულია ამ დოკუმენტის მე-4 პუნქტში, საგადასახადო ინსპექტორი რეკომენდაციას გაუწევს ზედმძღვეანელობას რათა წარადგენილ იქნეს სასარჩელო განცხადება სასამართლოში გირაუნობის უფლების განხორციელების შესახებ.

7. საგადასახადო ორგანოს სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ საგადასახადო ინსპექტორი:

- ა) აწარმოებს საინკასო დაეალებით (განკარგულებით) კუთვნილი თანხის ჩამოწერას გადასახადის გადამხდელის დებიტორების საბანკო ანგარიშებიდან,
- ბ) აღწერს, შეაფასებს და გაყიდის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებას "საღსრულები წარმოებათა შესახებ" კანონით დადგენილი წესით.

შენიშვნა: საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად (მე-2 და მე-3 ნაწილები) საგადასახადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კოდექსს. წინაღმდეგობის არსებობისას გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები. ვადასახადით დაბეგრისას ამ კოდექსის დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობის დროს გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები.



## თავი 2:

# თანამედროვე მსოფლიო საბადასახადო ორგანიზაციები

## 1. შესავალი

სანამ შეუდგებით დავალიანების ამოღებისთვის საჭირო საშუალებების ტექნიკისა და წესების განხილვას, საჭიროა თანამედროვე საგადასახადო ორგანიზაციის მოწყობის შესწავლა. სტუდენტისათვის საიტერესო უნდა იყოს როგორც მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, ასევე ის მიდგომა, რომელიც მათ აქვთ გადაყვანილებული გადასახადების აკრეფისთან დაკავშირებით. ამ გაკეთილზე არ მოხდება სხვადასხვა საგადასახადო ორგანიზაციების დეტალური შესწავლა. ამის მაგივრად ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს თანამედროვე ქვეყნებში არსებულ საგადასახადო ორგანიზაციების მუშაობისა და გადასახადების აკრეფისთან მათი დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ავსტრალიის, კანადის, დოი ბრიტანეთის და ა.შ.შ.-ს საგადასახადო ორგანიზაციებს.

ნებისმიერი დისკუსიის დროს, რომელიც ეხება გადასახადებს, მნიშვნელოვანია ორგანიზაციული სტრუქტურა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც საგადასახადო აღმინისტრაციაში ჩართულია თანამშრომელთა დიდი რაოდენობა, მაგალითად საქართველოს შემთხვევაში. ორგანიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც აღამიანთა შეკრება საერთო მიზნების განხორციელებისათვის. ორგანიზაციის სტრუქტურა შეიძლება განისაზღვროს როგორც მეთოდები (გზები), რომლის საშუალებითაც ერთად მომუშავე აღამიანები ახორციელებენ ამ თუ იმ დავალებას. სტრუქტურა შეიძლება შეეადართ სახლის ასაშენებლად შექმნილ დეტალურ არქიტექტურულ გეგმას, თუბრა, იმდენად რამდენადაც ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ცოცხალ აღამიანებთან, და არა უსულყო საგნებთან, მოყვანილი მაგალითი მართალია არ ასახავს სურათს სრულად, მაგრამ გამოგვადგება დისკუსიის დასაწყებად.

## 2. ორგანიზაციული არინციპები

ორგანიზაცია უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ პრინციპებს. ამ პრინციპების გაგება, ან უკიდურეს შემთხვევაში მათი ცოდნა დაგეხმარება საგადასახადო აღმინისტრაციის პროფესიონალურად განხილვის საქმეში. ჩამოთვლილი რვა პრინციპი:

### 2.1 ნუ მივიღებთ არალეარულ გადაწყვეტილებებს:

– თვითოეული სტრუქტურა უნიკალურია. ის უნდა შეიქმნას ისე, რომ მოერგოს ორგანიზაციის სპეციფიკას, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას ის პოლიტიკური, ორთიოდული, ეკონომიკური ტექნოლოგიური და სოციალური გარემო, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. სხვების მიერ ნაცადი მოდელი შეიძლება გარკვეულწილად გამოსადევი იყოს, მაგრამ ყოველი სტრუქტურა ავებული უნდა იყოს ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით.

– შემდგომში, როგორც ჩვენს საუბრებში გამოჩნდება, არ არსებობს სრულყოფილი სტრუქტურა, იმდენად რამდენადაც ყოველი მათგანი მოიცავს წინააღმდეგობებსა და კომპრომისებს. სტრუქტურის გადასინჯვა უნდა ხდებოდეს მუშაოდ და იცვლებოდეს გარემო მოვლენების ცვლილებების ფეხდაფეხ.

## 2.2 სწორება სტრატეგიულ მიმართულებებთან

სტრუქტურა უნდა განვიხილოთ არა როგორც რაღაცის შედეგი (დასასრული), არამედ როგორც საშუალება. რომელიც ეხმარება ორგანიზაციას დასახული მიზნების მიღწევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ორგანიზაციის მიმართულებები და მიზნები გაურკვეველი და ბუნდოვანია, ძალიან გამწვანდება სტრუქტურის შექმნა. ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ შემდეგი:

ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს უნდა მიეცეს დეტალური განმარტება ორგანიზაციის მიზნების შესახებ, და შესაბამისად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ყოველ მათგანს კარგად ესმის ორგანიზაციის დანიშნულება.

უფრო მეტიც, ინფორმაციას ორგანიზაციის მიზნების შესახებ უნდა ერთვოდეს სტრატეგიული გეგმა. ანუ ორგანიზაციის მიმართულება და მიზნების მიღწევის გზები.

## 2.3 სწორება ეკონომიკურ საქმიანობაის ხასიათთან

ერთმანეთს შედარეთ ბიზნესის ორი სახეობა: ერთი, რომელიც აწარმოებს მხოლოდ ერთი სახის პროდუქტს, და მეორე, კონგლომერატი, ანუ საწარმო, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სახის, ერთმანეთისგან განსხვავებულ პროდუქტებს. ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის განსხვავებული ხასიათი, განსხვავებულ სტრუქტურას მოითხოვს. პირველ შემთხვევაში ორგანიზაციას შეეძლება აქონდეს ერთი სახის პროდუქტის განყოფილება, თავისი სტრატეგიით, მარკეტინგით, კადრების მენეჯმენტითა და სხვა დამხმარე ფუნქციებით, რომლებიც ცენტრალიზებული იქნებიან სათაო (ძირითად) ოფისში. მეორე შემთხვევაში, თვითოეული სახის წარმოებულ პროდუქტს ექნება დამოუკიდებელი განყოფილება თავისი საკუთარი დამხმარე ფუნქციებით, ხოლო სათაო (ძირითად) ოფისში მოხდება ორგანიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

## 2.4 მოვალეობებისა და ანგარიშვალდებულებების ზუსტი განსაზღვრება

ორგანიზაციის სტრუქტურა ხელს უწყობდეს მოვალეობების სფეროს განსაზღვრას, მინიმალური დანამატებით, ისე, რომ ნათელი იყოს ანგარიშვალდებულებები. გასაგები უნდა იყოს ორგანიზაციაში არსებული სხვადასხვა საფეხურების ფუნქციები, როლები. მაგალითად: როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო სექტორში არსებულ მრავალ ორგანიზაციაში ცალ-ცალკე პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების განყოფილებები, ეს არის სპეციფიური პრობლემა სხვადასხვა ადმინისტრირებისთვის, რომლის სათაო ოფისები ტრადიციულად ჩართულნი არიან ინდივიდუალური გადასახადის გადამხდელის ყველა პრობლემების მოგვარებაში.

– პერსონალურ დონეზე, თვითოეულმა თანამშრომელმა კარგად უნდა იცოდეს თავისი მოვალეობები და ანგარიშვალდებულებები. ყოველ თანამშრომელს უნდა აქონდეს თავისი სამუშაოს აღწერილობა, სადაც ზუსტად უნდა იყოს ასახული შესაბამისი სამუშაოს მოთხოვნილებები. ჩვეულებრივ თვითოეულ თანამშრომელს უნდა ჰქაედეს ერთი უფროსი.

## 2.5 გადაწყვეტილებების მიღება ყველაზე დაბალ კომპეტენტურ დონეზე

სტრუქტურა იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ მან უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების უფლების მინიჭება, ორგანიზაციის ყველაზე დაბალ, მაგრამ კომპეტენტურ საფეხურზე მდგარი განყოფილების თანამშრომლისთვის.

## 2.6 თანამშრომლების წახალისება (ხელის შეწყობა)

სტრუქტურა უნდა იყოს იმდენად მოქნილი, რომ სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლებს თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. ბევრი ორგანიზაცია ახორციელებს ამას სპეციალური პროექტის ჯგუფების შექმნის გზით. ჯგუფებში გაერთიანებულები არიან თანამშრომლები სხვადასხვა განყოფილებებიდან და მოუშაობენ ორგანიზაციაში არსებული პრობლემების გადაწყვეტასა და ახალი წამოწყებების განვითარებაზე. არსებობს სხვა გზაც, პრაქტიკაშია თანამშრომელთა დასაჩუქრება თავდადებული შრომისთვის არა მარტო თავიანთი განყოფილების ფარგლებში, არამედ მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.

## 2.7 იერარქიული საფეხურები

ორგანიზაციაში იერარქიული საფეხურების რაოდენობა ყველაზე მაღალი დონიდან ყველაზე დაბალ დონემდე, უნდა იყოს შეზღუდული იმდენად, რამდენადაც მცირე, რათა სტრუქტურის მონახაზს ჰქონდეს მარტივი სახე. მარტივი სტრუქტურა ხელს უწყობს ორგანიზაციაში ურთიერთობების დაუბრკოლებლად წარმართვას და სწორი გადაწყვეტილებების მიღების დაჩქარებას. ასეთი სტრუქტურის მეორე უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელები უფრო მჭიდრო კონტაქტში არიან ყველაზე დაბალ საფეხურზე მომუშავე თანამშრომლებთან, და აქედან გამოძინარე ორგანიზაციის მომხმარებლებთან/კლიენტებთან, ამიტომ ხელმძღვანელებს უფრო ზუსტი წარმოდგენა აქვთ ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

## 2.8 კონტროლის მასშტაბები

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე ერთი პირის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომელთა რაოდენობა ყურადღებით უნდა განისაზღვროს დაკისრებული მოვალეობების ხასიათისა და კვალიფიკაციის მიხედვით. მაგალითად ზოგიერთი ღია (პირდაპირი) ოპერაციის შესრულების დროს, როდესაც ყველა დაქვემდებარებული პირი ერთი და იგივე დაეალებას ასრულებს, ისეთი კონტროლის მასშტაბი როგორცაა 20:1 საესებით მისაღება.

სხვა შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს უფრო ფართო სპექტრის დაეალების შესრულების შემთხვევასთან, მცირე მასშტაბიანი კონტროლი უფრო გამართლებდა.

## 2) ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკითხებში საგადასახადო ადმინისტრაციისთვის.

იურიდიული ურთიერთობა საგადასახადო ადმინისტრაციასა და ქვეყნის ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

3.1 საგადასახადო ადმინისტრაცია, როგორც მთავრობის დამოუკიდებელი დეპარტამენტი, ანგარიშვალდებულია პირდაპირ პოლიტიკური წრეების წინაშე (ახალი ზელანდია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი).

4.2 საგადასახადო ადმინისტრაცია არის ფინანსთა სამინისტროს / ზაზინის შემადგენელი ნაწილი (ა.შ.შ. ავსტრალია).

4.3 საგადასახადო ადმინისტრაცია, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფლება, თავისი საკუთარი დირექტორთა საბჭოთი, სადაც დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია პოლიტიკურ დონეზე (სინგაპური, კნა).

4.4 საგადასახადო ადმინისტრაციას ნომინალურად სათავეში უდგას არჩეული პოლიტიკური მოღვაწე (კანადა).

- მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმის მმართველობითი ორგანო ჰყავს საგადასახადო ადმინისტრაციას. ჩვეულებრივ, გადაწყვეტილებების მიღება ხდება საგადასახადო ადმინისტრაციის ყოველდღიური ფუნქციონირების პროცესში, განსაკუთრებით რომელიმე კონკრეტული გადასახადის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხდება საგადასახადო სამსახურის თანამშრომლის მიერ, მისი უფროსის (კომისარი, დირექტორი) ხელმძღვანელობის ქვეშ. შესაბამისად, საგადასახადო კანონი, პოლიტიკური დონისგან დამოუკიდებლად ვრცელდება.

- საგადასახადო ადმინისტრაციის სტრუქტურის შემუშავების პროცესში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ქვეყანაში არსებული სამთავრობო სტრუქტურის სპეციფიკა.

#### 4. საბაღადასახადო ადმინისტრაციის ფუნქციების მასშტაბები

- საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ შესრულებული ფუნქციები ზეგაუდენას მოახდენენ ორგანიზაციის სტრუქტურაზე. ჩვეულებრივ, მასშტაბები განისაზღვრება შემდეგი ასპექტებით:

#### 4.1 გადასახადების სპექტრი

ზოგიერთი საგადასახადო ადმინისტრაციის ფუნქცია სხვებთან შედარებით უფრო ფართოა, ამიტომ მათ კომპეტენციაში შედის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადები და მოსაკრებლები, მაშინ როდესაც სხვა საგადასახადო ადმინისტრაციები პასუხისმგებელი არიან მხოლოდ პირდაპირ გადასახადებზე. ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაცია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომუშავე უწყებებია (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ა.შ.შ.). არიან ქვეყნები, სადაც ეს ორი უწყება გაერთიანებულია (კანადა, დანია ირლანდია.)

#### 4.2 არა-საგადასახადო ფუნქციები

ზოგიერთი საგადასახადო ადმინისტრაციის ფუნქციებში შედის არა მარტო გადასახადების ამოღება, არამედ შთავსებული აქვთ სხვა ფუნქციებიც უფრო მეტი მონერხებულობისა და ხარჯების შემცირების მიზნით. მაგალითად, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში საგადასახადო ადმინისტრაციის მოვალეობებში შედის:

- უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ სწავლისთვის აღებული სესხების ამოღება
- და გაცილებული მშობლების მიერ აღიშნების გადახდის უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის სტრუქტურის შექმნის პროცესში, ეს დამატებითი ფუნქციები საჭიროებენ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას.

## 5. საინფორმაციო ტექნოლოგიის ზეგავლენა

– საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენება, ფართო არჩევანის საშუალებას გვაძლევს ორგანიზაციის სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში.

– მაგალითად, თუ ტექნოლოგია უზრუნველყოფს საგადასახადო ადმინისტრაციის ყველა ნაწილისთვის, გადასახადის გადამხდელთა პერსონალური ფაილიდან მიმდინარე ინფორმაციის კომპიუტერის ეკრანზე გამოტანას, მაშინ ადვილი ხდება, გადასახადის გადამხდელისთვის დახმარების გაწევა ტელეფონის საშუალებით. თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები, დღეს იძლევიან იმის საშუალებას, რომ მიუხედავად გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლისა, საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელმა ტელეფონის საშუალებით მიაწოდოს გადამხდელს ნებისმიერი ინფორმაცია, იმდენად რამდენადაც, საგადასახადო ინსპექტორს ადვილად მიუწვდება ხელი ნებისმიერ დოკუმენტზე. საგადასახადო მუშაკი შეიძლება იყდეს კომპუტატორში, და გადასახადი გადამხდელს შეეძლება მასთან დაკავშირება ადგილობრივი ნომრის აკრეფით. ამ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელისთვის დახმარების გაწევის ფუნქცია შეიძლება დეტენტრალიზებული ყოფილიყო გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, კადრებზე გაწეული ხარჯების შემცირების მიზნით.

– თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილი წარმოდგენა ეიჭონით გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ადმინისტრაციას შორის არსებული ურთიერთობების შესახებ, შეიძლება ჩამოაყალიბოთ იმგვარად, რომ შეგვეძლოს ინფორმაცია მივიღოთ გადასახადების ტიპების, ფუნქციების ან გადასახადების გადამხდელთა სეგმენტების (იურიდიული პირი/ფიზიკური პირი) მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ, ინტეგრირებული სისტემა ყველაზე მეტად ერგება ფუნქციონალურ ტიპს (მეთოდი № 2, იხილეთ ქვემოთ).

## 6. თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციის ორგანიზების ძირითადი მეთოდები

– მიუხედავად არსებული პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური განსხვავებებისა, განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ საბაზრო ეკონომიკა, შემუშავებული იქნა საგადასახადო ადმინისტრაციის სტრუქტურების გარკვეულ წილად საერთო მოდელები.

არსებობს სამი საერთო მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხდება საგადასახადო ადმინისტრაციის სტრუქტურის ჩამოყალიბება. თითოეულ ამ მეთოდთანაა აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**მ.1 მეთოდი № 1.** ორგანიზება გადასახადების ტიპის მიხედვით (მაგალითი: საშემოსავლო გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, სააქციზო გადასახადი, და ა.შ.)

ამ მეთოდის მიხედვით, რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განყოფილება უნდა მუშაობდეს გადასახადების თითოეულ კატეგორიაზე. ეს საშუალებას აძლევს ინსპექტორებს დახელოვნდნენ გადასახადების ცალკეულ ტიპებზე, ხოლო ორგანიზაციას საშუალება ეძლევა ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს ყველა იმ გადასახადზე, რომელთა აკრეფვა თუ ამოღება მის პასუხისმგებლობაში შედის. მაგრამ, ამ მეთოდის დანერგვის შემთხვევაში გაძნელება იმ დადებითი მხარეებით სარგებლობა, რომელიც გააჩნია საერთო პოლიტიკის, პროცედურებისა და სისტემების

გამოცნებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, თუ გადასახადის რომელ ტიპთან გვაქვს საქმე, ძალიან ბევრი საერთო აქეთ დაეკავშირება ამოღების წესებს. გარდა ამისა, შეიძლება მოხდეს დუბლირება. როდესაც ვადასახდელს ერთზე მეტი ტიპის გადასახადის დაეკავშირება აქვს. ამ შემთხვევაში, საგადასახადო ადმინისტრაციას არა ერთ გზის შეხება უწევს ასეთ გადაამხდელთან, და შესაბამისად იზრდება ადმინისტრაციული და ოპერაციული ხარჯები.

მ.2 მეთოდი № 2. ორგანიზება ფუნქციების მიხედვით (მაგალითი: რეგისტრაცია, გადასახადის გადამხდელის დახმარება, გადასახადებისა და საგადასახადო დეკლარაციების დამუშავება, დაეკავშირების ამოღება, აუდიტი ან კონტროლი, საჩივრები, საქმეების სასამართლო წესით გარჩევები).

მიერე მეთოდის მიხედვით, ცალკეული, დამოუკიდებელი განყოფილებები სპეციალიზაციების მიხედვით ახორციელებენ ამ ფუნქციებს.

ამ მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ იმუშაონ ლოგიკური მოდელის მიხედვით, რომელიც ესადაგება მიმდინარე სამუშაოს და აბალონ კვალიფიკაცია სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ამავე დროს ისარგებლონ საერთო სისტემებით ყველა გადასახადის ტიპისა და გადასახადის გადამხდელის მიმართ. თუ არსებობს ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა, ის შექმნილია იმგვარად, რომ ასახავდეს მიმდინარე სამუშაოს ფუნქციების მიხედვით. ფუნქციონალური მეთოდი აგრეთვე შეიძლება გამოდგეს იმ შემთხვევაშიც, თუ ორგანიზაცია ანგარიშვალდებულია სხვა ორგანიზაციის მიმართ, მაგალითად, აუდიტის შედეგად ამოღებული გადასახადების შესახებ უნდა მოხსენიეს მთავრობას ან პარლამენტს.

- მეთოდის სუსტი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა გადასახადის ყველა ტიპის ამომწურავი ცოდნა, აქედან გამომდინარე იქნება იმის საშიშროება, რომ განყოფილებები რომლებიც დაყოფილები არიან ფუნქციების მიხედვით ვარაუდობენ ვიწროდ სპეციალიზირებულ ერთეულებად, რომლებიც მთელი ყურადღების კონცენტრირებას ახდენენ მხოლოდ თავიანთი საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე და არ ემსახურებიან საგადასახადო ადმინისტრაციის საერთო მიზნებს.

მ.3 მეთოდი № 3. ორგანიზება გადასახადის გადამხდელის სეგმენტის (იურიდიული / ფიზიკური პირი) მიხედვით (მაგალითი: მცირე ბიზნესი, მსხვილი ბიზნესი, ინდივიდუალური დაქირავებული მუშაკი).

ამ მეთოდის მიხედვით, ცალკეული, დამოუკიდებელი განყოფილებები მუშაობენ გადასახადის გადამხდელთა იმ ჯგუფებზე, რომლებიც ვერთიანებულნი არიან საერთო მახასიათებელი ნიშნის მიხედვით, და აქედან გამომდინარე საჭიროებენ ერთნაირ მომსახურებას და დამოკიდებულებას გადასახადების გადახდების მიხედვით საქმეში. თეთოთეული განყოფილება მუშაობს ყველა ტიპის გადასახადზე და ასრულებს ყველა ფუნქციას, მასზე მიმაგრებულ გადამხდელთა ჯგუფებისთვის (გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებსაც ასრულებს "უკანა ოფისი", ანუ ოფისი რომელიც უშუალო ეხება იმ არ არის გადამხდელთან. უფრო დაწვრილებით აქვსნით მოგვიანებით). ძირითადი აზრი ამ მეთოდისა მდგომარეობს იმაში, რომ თუ სპეციალიზაცია მოხდება გადასახადის გადამხდელთა სეგმენტების მიხედვით, გადასახადის გადამხდელთა პრობლემები შეძლებისდაგვარად უკეთესად მოგვარდება და უფრო მეტი ოფენობის გადასახადების ამოღება (მოკრეფეა) გახდება შესაძლებელი. პრაქტიკაში, შეიძლება მოხდეს ქვე სეგმენტების ჩამოყალიბება. მაგალითად, თუ საქმე ეხება მსხვილი ბიზნესის სეგმენტს, უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ცალკეული განყოფილების შექმნა, რომლებიც იმუშავებდნენ ფინანსურ დაწესებულებებზე, საწარმოებზე, მარმაცეფტულ კომპანიებზე და ა.შ.

- მეთოდის უარყოფითი მხარე გამოიხატება იმაში, რომ ძნელია (დაიცვა თანამიმდევრობა) შეთანხმო გადასახადების გადამხდელთა ცალკეულ სეგმენტებს შორის არსებული ზოგადი წესები და მათ შორის ურთიერთობა. ვარდა ამის, აუცილებელია გქონდეს მრავალმხრივი კვალიფიკაცია რათა სრულყოფილი ცოდნა გქონდეს სეგმენტის კომპეტენციამ შემავალი გადასახადებისა და ფუნქციონის შესახებ. მეთოდის კიდევ ერთ უარყოფით მხარედ შეიძლება ჩათვალოს სტრუქტურების სირთულე, რომელიც შეიძლება მივიღოთ ამ საბი მეთოდის ურთიერთ შეჯერების შედეგად.

#### 6.4 ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული მეთოდი.

დღესდღეობით ყველაზე ფართოდ გამოიყენება მეთოდი №2, ფუნქციონალური მეთოდი, თუმცა ზოგიერთი ადმინისტრაცია (ავსტრალია, ნიდერლანდები და ახალი ზელანდია) გადავიდა მე-3 მეთოდის დანერგვაზე (ორგანიზება გადასახადის გადამხდელთა სეგმენტის მიხედვით). ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო დეპარტამენტიც გამოიღო წინადადებით, ადმინისტრირება დაიგეგმოს მე-3 მეთოდის მიხედვით.

#### **7. "წინა და უკანა ოფისები"**

- იმ სფეროებში, სადაც მიმდინარეობს მუშაობის პროცესი, აუცილებელია მცნებების - "წინა ოფისი და უკანა ოფისი" - გაკება. არა ერთმა მსხვილმა მომსახურების სფეროში მომუშავე ორგანიზაციამ, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ სექტორში, გაიზარა ეს მიდგომა.

- საგადასახადო ადმინისტრაციასთან მიმართებაში, ამ მცნებებს ეძლევა შემდეგი მნიშვნელობა:

"წინა ოფისი" - არის საგადასახადო ადმინისტრაციის საზოგადოებრივი სახე და უშუალო კონტაქტშია საზოგადოებასთან. "უკანა ოფისი" შეხებაში არ არის გადასახადების გადამხდელთან, მაგრამ მის ბასუზისშეგებობაში. შედის დოკუმენტაციის შესწავლა და დამუშავება. თუ მოვიწოდებთ ამ დღის პრაქტიკაში დანერგვას, მაშინ საგადასახადო ოფისის ორგანიზების დროს შევიძლება გამოვიყენოთ ერთ-ერთი შემთხვევითი მეთოდთაგანი. ამ შემთხვევაში, ოფისები უნდა განლაგდნენ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ისე რომ მათ უშუალოდ შეებლოთ გადასახადების გადამხდელთათვის დახმარების გაწევა, და აგრეთვე უშუალო ზემოქმედება, გადასახადების ამოღების პროცესში. მეორეს მხრივ, "უკანა ოფისი" შეიძლება ორგანიზებული იქნას საშუალო პროცესებისა და მინიარსის მიხედვით - ფოსტის შესწავლა, გადასახადების და დეკლარაციების რეგისტრაცია, დავალიანებების დაანგარიშება, იმ შემთხვევების გამოკალკება, რომელთაც სჭირდებათ სპეციალური მიდგომა და ა.შ. მიუხედავად გადასახადისა და გადასახადის გადამხდელის ტიპისა. იმისათვის, რათა მოვიცვათ შეძლებისდაგვარად დიდი მასშტაბები, შესაძლებელია "უკანა ოფისების" გაერთიანება, რამდენიმე დიდ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გადაამამუშავებელ ცენტრად (ა.შ.შ, კანადა, ახალი ზელანდია), რომელთა ძირითადი ("მომხმარებლები") დაქვემდებარებაში არიან "წინა ოფისები", ანუ ოფისები, რომლებიც უშუალო ურთიერთობაში არიან გადასახადის გადამხდელთან.

#### **8. ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია**

- თუ გვინდა, რომ საგადასახადო ადმინისტრაციამ ნაყოფიერად და ეფექტურად იმუშაოს, უნდა გამოვირჩიოთ იმის შესაძლებლობა, რომ ყველა გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს ორგანიზაციის სათავეში, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საქმე ეკავს განსაკუთრებულ გადასახადის გადამხდელთან. აუცილებელია უფლებამოსილების ერთგვარი დეცენტრალიზაცია, იმ შემთხვევაში თუ ეს გავლენას მოახდენს ორგანიზაციის სტრუქტურასა და არსებულ (დანერგვით) ანგარიშვალდებულების სისტემაზე.

- ჩვეულებრივ, თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციებში ხდება უფლებამოსილების ოფიციალური დელეგირება, რაც შესაძლებელს ხდის გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, ორგანიზაციის ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე. ჩვეულებრივ ამ უფლებამოსილების პრაქტიკაში გამოყენება ხდება ადმინისტრაციის ცენტრალური ოფისიდან გეოგრაფიულად დაშორებულ ოფისებში. გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იქნას ცენტრალიზებული და რა დეცენტრალიზებული შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ფაქტორების შესწავლის შემდეგ:

მ1 გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელი

მ2, რომელი საგადასახადო ინსპექტორი უნდა მუშაობდეს გადასახადების გადამხდელებთან, საგადასახადო ადმინისტრაციის ფუნქციების განსახორციელებლად (მაგ. აუდიტი).

მ3 რომელი ინსპექტორის ფონა არ არის საუკლებული გადასახადის გადამხდელებთან მჭიდრო კავშირში (“უკანა ოფისების” თანამშრომლები).

მ4 რომელი სამუშაო უნდა შესრულდეს, გადამხდელებთან პირისპირ კავშირში (ოფისში მიღება დახმარების გასაწევად).

მ5 რა სახის საბუშარის შესრულებაა შესაძლებელი პირისპირ კავშირის გარეშე (დახმარების განწევა ტელეფონის საშუალებით).

მ6 რა სახის ტექნიკური აღჭურვილობა გვაქვს (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების ჩათვლით).

მ7 სჭირთ კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა რაოდენობა, იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც მოითხოვენ მაღალ კვალიფიკაციას. ექსპერტების დიდი რაოდენობის ერთ ადგილზე თავმოყრის საჭიროება.

მ8 ოპერაციული ხარჯები სხვადასხვა ადგილებში (იჯარა, ხელფასების ზღვარი, ტრანსპორტი და ა.შ.)

- პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ დავიცვათ თანამომდევრულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ, როგორ უზრუნველყოთ, რომ ერთნაირ ვითარებაში მყოფი ყველა გადასახადის გადამხდელის მიმართ მიღებული იქნას შესაბამისად ერთნაირ გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ისინი ცხოვრობდნენ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში.

ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია იმის უზრუნველყოფა, რომ უფლებამოსილების გადაცემასთან ერთად, უნდა არსებობდეს მკაცრად შემუშავებული წესები, პროცედურები და პოლიტიკა, რომელსაც საგადასახადო ინსპექტორები დაიცავენ

## 9. მართიქალწული საფშის ურამის ფუნქციონი სავადასახადო ადმინისტრაციასში

- საგადასახადო ადმინისტრაციაში თითოეული ვერტიკალური საფეხურისთვის თავისი ფუნქციის ნათლად განსაზღვრის საკითხი, ისე, რომ არ ხდებოდეს ფუნქციების არევა სხვა საფეხურების ფუნქციებთან, მჭიდროდ არის დაკავშირებული საგადასახადო ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციის საკითხთან. მაგალითად, საგადასახადო ადმინისტრაციის მთავარი ოფისის ფუნქცია შეიძლება შედგენიარად განისაზღვროს:

“მთავარი” ოფისის ფუნქცია მდგომარეობს შემდეგში:

დასახოს სტრატეგიული მიმართულება მთლიანი ორგანიზაციისთვის

უზრუნველყოს მოქმედების პოლიტიკის განსაზღვრა, სისტემების ჩამოყალიბება და ექსპერტთა დახმარება რეგიონალური და რაიონული ოფისებისა და ინფორმაციის გადამამუშავებელი ცენტრებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან გადასახადების ამოღებით.



წარმართოს ურთიერთობები ორგანიზაციის გარეთ, მთავრობასთან, პარლამენტთან, ფინანსთა სამინისტროსთან და სხვა ძირითად ორგანოებთან.

ფუნქციების ამგვარი განსაზღვრა ნიშნავს იმას, რომ მთავარი ოფისი არ განაგებს კონკრეტული გადამხდლების საქმეებს, და თავის ძალისხმევას მიმართავს უფრო გლობალური საკითხების მოგვარებისკენ.

## 10. ორგანიზაციული სტრუქტურების დამატებითი ნიშნები, საბიკონსტრუქციული ქმედების გაბაღითა (ავსტრალია, კანადა ა.შ.შ.)

### 10.1 ავსტრალია

ავსტრალიის საგადასახადო ოფისი ვალდებულია ამოიღოს და აღმინისტრირება მოახდინოს ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების (გარდა საბაჟო და სააქციზო გადასახადებისა ავსტრალიაში) ფედერალურ დონეზე. ამ საქმეს ემსახურება 17,000 თანამშრომელი, მათ ამოიღეს 107 მილიარდი ავსტრალიური დოლარი (რომელიც ეკვივალენტია 64 მილიარდი ა.შ.შ დოლარის) 1996-97 საგადასახადო წელს.

ავსტრალიის საგადასახადო ოფისი არის ზაზინის ნაწილი, მაგრამ მაგრამ ამავე დროს არიან დამოუკიდებელი საგადასახადო კანონის მოქმედების საკითხებში.

სტრუქტურულად ის ორგანიზებულია გადასახადების გადახდელთა ჯგუფების მიხედვით და ითვლებიან ზაზინის ნაწილად, მათ აქვთ 25 ფილიალი და არ არიან დაყოფილები რეგიონებად. ამ ფილიალებში მუშაობენ საგადასახადო სისტემის მუშაკები, რომლებიც რეგიონის მასშტაბით ასუსხს აუგებენ ყველა სახის საწარმოსა თუ დამამარე მომსახურებაზე. ეს არის მართვის მატრიცული (ცხრილური) მეთოდი.

25 ფილიალი ასუსხსმგებელია ყველა გადახდელთა მონაცემების დამუშავებაზე, მომსახურებასა და გადასახადების იძულებით გადახდევინებაზე თავიანთი გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით. თეთოფული ფილიალი შედგება ექვსი განყოფილებისაგან:

3. არა-კომპარციული
4. მირი ბიზნესი
5. დირი ბიზნესი
6. ანარიტსები ხელშასებიდან და ბრუნვის გადასახადი
7. მამსიმაღური ანუიტები (თანხა, რომელიც შრომელურიად მამიტება თანამშრომელს საპანსიო შონდისთვის. / აგრამთე საპანსიო შონდის ინამსტირების შემდგად შემოსული შემოსავალმის ჩათვლით).
8. ბავშვთა დამარება

თეთოფული ეს განყოფილება უზრუნველყოფს სრულ მომსახურებას თავისი ვალდებულებების სფეროში.

პარლამენტის წინაშე წარსადგენი ანგარიშები შზადლება და მოხსენდება გადასახადის ინდივიდუალური გადამხდლის განყოფილების მიერ.

### 10.2 კანადა

— კანადის საშემოსავლო სამსახური მოიცავს საგადასახადო და საბაჟო აღმინისტრაციებს. ამგამად, გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებულების ამოღება მიმდინარეობს ფედერალურ დონეზე.

ხდება ზოგიერთი ადგილობრივი გადასახადის ამოღება. საშემოსავლო სამსახური ადმინისტრირებას უწევს ფედერალურ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ემსახურება დასაშრომებელნი ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემას. ეს აგრეთვე ეხება რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებასაც. კანადის საშემოსავლო სამსახურში მსახურობს 46,000 თანამშრომელი, მისი ბიუჯეტი შეადგენს 2.3 მილიარდ კანადურ დოლარს (1 კანადური დოლარი 1.54 აშშ დოლარის ეკვივალენტია). ყოველწლიურად ხდება 166 ბილიარდი კანადური დოლარის ამოღება (თანხა ეკვივალენტია III. 2 ბილიარდი აშშ დოლარის).

ამჟამად კანადის საშემოსავლო სამსახური აგებულია ფუნქციონალურ მოდელზე, რომელიც ასრულებს შემდეგ ექვს ფუნქციას:

1. გადასახადის გადამხდელის დახმარება / შეფასება
2. საბაჟო და ვაჭრობა
3. კონტროლი და იძულებითი მეთოდები
4. გადასახადების ამოღება
5. აქლქცია
6. ადმინისტრაცია და მისი მეთოდები.

1996 წელს ხელისუფლება გამოვიდა წინადადებით ამ ორი უწყების ერთ უწყებად გაერთიანების შესახებ (კანადის საბაჟო და საგადასახადო ინსპექცია). ეს ხელს შეუწყობდა საგადასახადო შემოსავლების კონსოლიდაციას ყველა სამთავრობო დონეზე (ფედერალურ, პროვინციების და ადგილობრივი). 1998 წლის ივნისში ამ სტრუქტურის განხორციელების შესახებ პარლამენტში დასამტკიცებლად შემოვიდა კანონმდებლობა, რომელიც მენეჯერთა საბჭოს აძლევს უფლებას ზედამხედველობა გაუწიოს ამ ახალ უწყებას. თუმცა ამ საბჭოს უფლობაპოსილებაში არ შედის ოფიციალური საგადასახადო პირისთვის საგადასადლო კანონების შესახებ მითითებების მიცემა.

### 10.3 ამერიკის შვერთებული შტატები

ამერიკის შვერთებული შტატების სახელმწიფო საგადასახადო სამსახური პასუხისმგებელია ყველა ფედერალური პირდაპირი და როგი არაპირდაპირი (აქციის გადასახადი) გადასახადების ამოღებაზე. ამაში არ შედის საბაჟო გადასახადები, გადასახადები ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოსა და ცეცხსასროლ იარაღზე. ამ სახის გადასახადების ადმინისტრირება სხვა ორგანოების მიერ ხდება. აღნიშნულ უწყებაში მუშაობს 108,000 თანამშრომელზე მეტი. მისი ბიუჯეტი შეადგენს 7 მილიარდი. ყოველწლიურად ხდება 1.5 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის გადასახადების ამოღება. ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოადგენს ძლიერ ფუნქციონალურ ორგანიზაციას. ამ უწყებას სათავეში უდგას დიდი ეროვნული ოფისი, რომლის შემადგენლობაშიც 1993 წლიდან შედის 4 (შემცირდა შეიდიდან) მასზე დაქვემდებარებული და მის მიმართ ანგარიშვალდებული რეგიონალური ოფისი. ეს რეგიონალური ოფისები ზედამხედველობას უწევენ საერთო ჯამში ოცდაამეტ რაიონს (აღრე იყო სამოცდა სამი). გარდა ამისა, ფუნქციონირებს სამი კომპიუტერული ცენტრი, რომელიც აწარმოებს ქვეყნის მასშტაბით შემოსული დოკუმენტაციის კომპიუტერულ დამუშავებას და ათი დოკუმენტაციის გადამამუშავებელი ქვეცენტრი, რომელიც იღებს, ამუშავებს, სკანირებას უკეთებს ყველა შემოსულ დოკუმენტსა თუ კორესპონდენციას, აგრეთვე ქმნის მონაცემთა ბაზას. ოცდასამი მომხმარებელთა მომსახურების ცენტრი ემსახურება გადასახადის გადამხდელთა შეკითხვების დაკმაყოფილებასა და მათი იმ პრობლემებისა და საკითხების შესაძლებელ მოგვარებას, რომლებიც არ საჭიროებენ პირისპირ კონტაქტს.

1998 წელს, ახალმა კომისარმა ჩარლზ როსოთიმ გააკეთა განცხადება ახალი რადიკალური რეორგანიზაციის გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებასაც ხაში წელი ჭირდება. აღნიშნული გეგმის მიხედვით, არსებული რეგიონალური ოფისისა და რაიონული ოფისის სტრუქტურა

გაუქმდება. სახელმწიფო საგადასახადო სამსახური იფუნქციონირებს ოთხ ძირითად სექტორზე დაყრდნობით: (1) შემოსავალი ხელფასებისა და ინვესტიციებიდან, (2) მცირე ბიზნესის გადასახადის გადაამხდლები, (3) საშუალო და მსხვილი კორპორაციების გადასახადის გადაამხდლები და (4) საქონლი ფონდებისა და გადასახადებისგან განთავისუფლებული ორგანიზაციები. რეორგანიზაციის საფუძველი გახდა გამოკვლევა, რომელიც ჩატარა *კროვენულმა კომისიამ*, რომლის შეტად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გათავლიწინებულ იქნა 1998 წლის იენისის კონგრესის მიერ მიღებულ კანონმდებლობაში. უზარმაზარი საშუალება ჩასატარებელი დასახული რეორგანიზაციის განსახორციელებლად, და სექტიკოსები აღნიშნავენ, რომ დასახული მიზანი მიღწეველია.

## 11 სტრუქტურის შვესება

– ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორც ეს კარგად ჩანს ორგანიზაციის ნახაზის აშახველ ღოკუმენტებში, შევსებული უნდა იყოს მთელი რიგი სხვადასხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობით, რათა უზრუნველყოთ ორგანიზაციის საქმიანობა როგორც ერთი მთლიანი ერთეულის, მიუხედავად ორგანიზაციის შიგნით არსებული ცალკეული განყოფილებებისა. ეს განყოფილებები ჩამოყალიბებულნი არიან მიუხედავად იმ შეოოდისა, რომლის საფუძველზეც აგებულია ორგანიზაციის სტრუქტურა, და შესწევთ უნარი ბარეეები აღმართონ აღმნიანებს შორის.

– თანამედროვე საგადასახადო აღმინისტრაციამი ფართოდ გამოიყენება ტექნიკა, რომელიც ასევე ფართო მოხმარების საგნად ითვლება კერძო სექტორში. მოვიყვანთ რამოდენიმე მარტივ მაგალითს:

- 11.1 შიდა მმართველობითი საბჭოები, რომლებიც დახმარებას უწევენ საგადასახადო აღმინისტრაციის უფროსს ორგანიზაციის პოლიტიკის განსაზღვრასა და პროცესის განვითარების კონტროლში.
- 11.2 პროექტზე მომუშავე ჯგუფები. ამ ჯგუფებში გაერთიანებულები არიან სხვადასხვა განყოფილებების წარმომადგენლები, ორგანიზაციის საერთო პრობლემებსა თუ სხვადასხვა სახის წამოწეებებზე საშუალო, მაგ. ისეთი, როგორიცაა წინადადებები შედეგანი (ხარისხიანი) მმართველობის შესახებ.
- 11.3 მოსამზადებელი კომიტეტები, ძირითადი ფორმების შესამუშაებლად
- 11.4 ოფიციალური მოსამზადებელი კომიტეტები, რომლებიც განიხილავენ საინფორმაციო ტექნოლოგიის უახლეს მიღწეებს
- 11.5 სპეციალური საშუალო ჯგუფის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან იურისტები, საგადასახადო ბუღალტრები და ა.შ.
- 11.6 თანამშრომელთა დაჯილდოების კომიტეტი, რომელიც აჯილდოებს თანამშრომლებს, თავიანთი თავდადებული შრომისთვის არა მარტო საკუთარ განყოფილებაში, არამედ მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, და
- 11.7 ხელი უნდა შეეწოს განყოფილებებს შორის მიმწერითი კომუნიკაციების განვითარებას, რათა ყველა ინფორმაციამ არ გაფონოს მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.

– მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე საგადასახადო აღმინისტრაციები, თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის პროცესში არა ერთი სპეციფიურ პრობლემას წაწვდნენ, მათ შორის:

- საგადასახადო "საქმიანობა" არის საერთო საქმე, და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ არის საშუალო განყოფილებული განყოფილებებს შორის. ყველა განყოფილება ერთმანეთზე გარკვეულ წილად დამოკიდებული და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება.

- აუცილებელია კანონის ერთაზროვნად გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით.
  - აუცილებელია მაკონონობით ოპერაციის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება ყოველდღიურად, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის ყველაზე დაბალ საფეხურს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება.
  - სამუშაოს რთული ხასიათი
  - ფაქტი, რომ მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი არის საგადასახადო აღმინისტრაციის "მომხმარებელი". ისინი საჭიროებენ მომსახურებას, მაგრამ ზოგიერთ მათგანს არ სურს ამ პროცესში მონაწილეობის მიღება.
- პრობლემათა დიდ ნაწილს შეიძლება არ ჰქონდეს სპეციფიური ხასიათი, მაგრამ ის კარგად არის ცნობილი ყველა მსხვილი ორგანიზაციისთვის. მაგალითად:

- იერარქიული საფეხურების შემცირება, ისე, რომ სტრუქტურას მიეცეს მარტივი სახე;
- დამახლოება ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის;
- პოლიტიკის შემუშავებასა და წარმართულ საქმიანობას შორის არსებული დაცალკეება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს ქვეყნის პოლიტიკას;
- ის დამახლოება რომელიც არსებობს ფუნქციის გარშემო ორგანიზების, "მომხმარებლის" გარშემო ორგანიზებასა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით ორგანიზებას შორის.
- იმის უზრუნველყოფა, რომ ცალკეული განყოფილებები არ გარდაიქმნებიან დამოუკიდებელ ერთეულებად, რომლებიც არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და არ ემსახურებიან ორგანიზაციის საერთო ინტერესებს;
- და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაცია მუდმივად აღწევს თვალყურს გარემო მოვლენების ცვალებადობას და არ არის კონცენტრირებული მხოლოდ თავის შიდა საქმიანობაზე.

## 12. საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულება და გადახდევინების სტრატეგიები

ამ განყოფილებაში მოყვანილი იქნება, ის ორი მოსაზრება, რომელიც საბაზრო ეკონომიკაში მუაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიშუშავა თანამედროვე საგადასახადო აღმინისტრაციამ.

12.1 საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულება – ძირითადი კონცეფცია რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონის დამორჩილებას და სავალდებულო გადასახადის დროულად გადახდას, საგადასახადო აღმინისტრაციის განსაკუთრებული ჩარევის გარეშე.

ამ კონცეფციის მიხედვით, კანონი ავალდებულებს გადასახადის გადამხდელს შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო დეპარტამენტის ვაფრთხილებისა და ჩარევის გარეშე. თავის მხრივ, საგადასახადო დეპარტამენტს შემუშავებული აქვს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის დახმარებას, გადასახადების ნებაყოფლობით გადახდის საქმეში. რაც შეეხება იმ გადამხდლებს, რომლებიც უარს ამბობენ კანონის დაცვაზე, სტრატეგიის მიზანია მათ წინააღმდეგ დაუყოვნებელი ზომების მიღება, რათა არა მარტო აიძულონ ისინი დაემორჩილონ კანონს, არამედ სამომავლოდაც წახალისონ გადასახადების ნებაყოფლობითი გადახდისთვის.

ამ განყოფილებაში ნათლადაა ნაჩვენებო, თუ გადასახადების ნებაყოფლობითი შესრულების იდეა რატომ არის ასეთი შედეგიანი. ამ კონცეფციიიზუა დამოკიდებული, თუ როგორ გაართმევს თავს საგადასახადო აღმინისტრაცია საგადასახადო სხვაობის შემცირების ამოცანას, ანუ იმ სხვაობის,

რომელიც არსებობს ამოსაღებ და რეგულარულ ამოღებულ გადასახადებს შორის, კონცეფციამზი დეტალურადაა განხილული საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ შესასრულებელი ოპერაციები.

12.2 იძულებით გადახდევინების სტრატეგია – მეორე კონცეფცია გვაძლევს წარმოდგენას თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ. რომელთაც იყენებს გადახდელთა მიერ საგადასახადო კანონის შესრულების მისაღწევად.

ეს მეთოდი განსაზღვრავს რისკს, რომელსაც სხვადასხვა გადახდელი უქმნის შემოსავლებს, გეთავაზობს მრავალ გზას ამ რისკების თავიდან ასაცილებლად.

შიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს გზები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ გადასახადების იძულებითი წესით გადახდევინების ტრადიციული მეთოდებით (მაგალითად აუდიტი და შემოწმება) ურჩი გადახდელის მიმართ.

– საბაზრო ეკონომიკასა და გეგმაზომიერ ეკონომიკას შორის არსებული ზოგიერთი განსხვავება, საგადასახადო თვალსაზრისით.

- ქვეყნების დაგეგმარებული ეკონომიკიდან, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ, დიდი გავლენა მოახდინა საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემაზე. მოვიყვანთ ამ ორ ეკონომიკურ სისტემას შორის არსებულ ზოგიერთ განსხვავებას:
- ეკონომიკური დაგეგმარების მართვის პირობებში, შემოსავლების მიღება შესაძლებელია შიდა გადარიცხვებით, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს საბაზრო ეკონომიკასთან, აქ მმართველობა ძლიერად არის დამოკიდებული საგადასახადო შემოსავლებზე.
- დაგეგმარებული ეკონომიკის დროს, სახელმწიფო გამოდის ორივეს ბიზნესის მფლობელისა და გადასახადების ამკრეფის როლში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, ეს ორი სფერო ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და ნებისმიერი გადასახადი, რომლის ამოღებაც ვერ მოხერხდება, სახელმწიფოსთვის დანაკარგად ითვლება, ხოლო კერძო ბიზნესისთვის - მოგებად. ამიტომაც ეს ფაქტი გვეკონბება გადასახადების გადახდის თავიდან აცილების ერთგვარ სტიმულად.
- დაგეგმილი ეკონომიკის დროს, გადასახადების გადახდელთა რაოდენობა მეტად მცირეა, და ამიტომ, სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს, გააკონტროლოს მათი 100%, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში, გადასახადის გადახდელთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ საგადასახადო ადმინისტრაციას არ ძალუძს ყველა მათგანის გააკონტროლება. ამიტომაც, ყურადღებით უნდა შეირჩეს გასაკონტროლებელი ობიექტი.
- დაგეგმილი ეკონომიკის პირობებში, პერსონალური გადასახადების დაკავება ფიზიკური პირებისთვის ძალიან ლიმიტირებულია, ხოლო საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში ამ გადასახადების რაოდენობა უზარმაზარია. ყველა თანამშრომელსა თუ სხვა პირებს მოეთხოვებათ შემოსავლის წყაროდან გადასახადების დაკვეთა.
- გეგმაზომიერი ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მოგებაზე გადასახადების დადება ემყარება სპეციალურ წესებს, რათა განისაზღვროს გადასახდელი თანხის ოდენობა, მაშინ როდესაც, საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში,

გადასახადების მოკულობა განისაზღვრება მოგების ოდენობით, რომელიც როგორც წესი უყარება კომერციული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებს.

- გვერდობითი ეკონომიკის შემთხვევაში, ბიზნესის საქმიანობას განსაზღვრავს მთავრობა, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური საქმიანობა დღითი დღე უფრო რთულ ხასიათს იძენს და იმედროულად გლობალურად ასახავს არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას.

### 13. საგადასახადო სხვაობა

- საგადასახადო სხვაობა გულისხმობს სხვაობას იმ გადასახადებს შორის, რომელიც უნდა ამოღებულიყო კანონის თანახმად და რომელიც რეალურად იქნა ამოღებული. ყოველ ქვეყანაში არსებობს საგადასახადო სხვაობა, იმიტომ რომ ყველგან არსებობს ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც გადასახადით არ არის დაბეგრული. თუმცა აშკარაა, რომ ძალიან ძნელია როდენობის დადგენა, მაგრამ ფაქტი, რომ არსებობს ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობა, ეჭვსგარეშეა.

- ჩრდილოვანი ეკონომიკის პროგნოზი, ევროპის გაერთიანების განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, მერყეობს შშპ-ს 7%-დან შვეიცარიაში, 26%-მდე იტალიაში, ა.შ.შ-ში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში, 11 დან 15%-მდე. ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ჩრდილოვანი ეკონომიკაში ჩართული პირების მიერ გადასახადების თავის არიდება, ძირს უთხრის საგადასახადო სისტემის მიმართ, პატიოსანი გადასახადების გადამხდლების ნდობას, და ხელს უწყობს, გადასახადების დაფარვის შემთხვევების გაზრდას. ნათელია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკასთან პრიორაა, არ არის მხოლოდ საგადასახადო ადმინისტრაციის საქმე, მაგრამ საგადასახადო ადმინისტრაციამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ საკითხის აღმოსაფხვრელად.

### 14. საგადასახადო ადმინისტრაციის მიზანი (არსებობის აჯრი)

საგადასახადო ადმინისტრაციის მიზანს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გადასახადების აკრეფვა. აშკარაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აბსოლუტურად შეუძლებელია ყველა გადასახადის ამოღება კანონით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ საგადასახადო ადმინისტრაციამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, შეძლებისდაგვარად დიდი ოდენობის გადასახადების მოპოვების მიზნით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახადო ადმინისტრაციის მიზანია, ფაქტურ მოპოვებისთვის და გვემას შორის სახეობის შემოქრება. საგადასახადო ადმინისტრაცია უნდა იყოს ახალი მეთოდების გამოდებულ ძიებაში, რათა შეუთანხმოს თავისი მოქმედების მეთოდები მოკლებების ცვალებადობას, და ამ გზით მაქსიმუმამდე დაიყვანოს ეს სხვაობა მომავალში.

### 15. აუდიტებში წინაპირობა - საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების კონცეფცია

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც გვიხდება გადასახადის გადამხდელთა დიდ რაოდენობასთან ურთიერთობა, საგადასახადო ადმინისტრაციისთვის აბსოლუტურად შეუძლებელი ხდება თითოეული გადამხდელის საუბელდოანი შემოწმება. ამიტომ შემოწმება სხვა მეთოდები. ნებაყოფლობითი შესრულება ნიშნავს, რომ გადამხდელი აპირებს თავის საგადასახადო ვალდებულებებს. საგადასახადო ადმინისტრაციის მხრიდან იძულების გარეშე. ეს არ ნიშნავს, რომ გადასახადის გადასდა ნებაყოფლობითია.

კონცეფცია შემდგენიერად აიხსნება:

15.1 კანონი ვალდებულებს გადაზღვეულს, შეავსოს დეკლარაცია და გადასახადოს დარიცხული თანხა დროულად, ისე რომ არ დაუცადოს საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ მის შემოწმებას (უმრავლეს შემთხვევებში, გადასახადის გადამხდელი თვითონ ანგარიშობს თავის საგადასახადო ვალდებულების რაოდენობას).

15.2 საგადასახადო ადმინისტრაცია ხელს უწყობს გადაზღვეულს კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაში.

15.3 იმისათვის, რათა საგადასახადო ადმინისტრაციამ უზრუნველყოს გადასახადის გადახდითა მიერ გადასახადების ნებაყოფლობით გადახდა, ის ამოწმებს გადამხდელს, საჭიროების შემთხვევაში ატარებს აუცილებელ ღონისძიებებს და შემდგომში მიღებულ შედეგებს იყენებს იძულებით გადახდევინების სტრატეგიის გასაუჯობესებლად.

## 16. საბადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების სისტემის აუცილებელი ელემენტები

ზემოთ მოყვანილი სამი პრინციპის გამოყენების შედეგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავე საგადასახადო ადმინისტრაციაში გამოიკვეთა შემდეგი ელემენტები:

16.1 საინფორმაციო მომსახურება გადამხდელისთვის  
საგადასახადო ადმინისტრაცია გადამხდელისთვის უზრუნველყოფს მეტად ფართო მასშტაბის საინფორმაციო ხასიათის მომსახურებას, რათა დაეხმაროს მას, კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების უკეთ გაგებაში. აღნიშნული დახმარება მდგომარეობს შემდეგში:

- ახსნა-განმარტების მომცველი ბროშურები
- კარგად შედგენილი ფორმები
- პერსონალური დახმარება ტელეფონის საშუალებით
- განსაზღვრულ პერიოდში, მავალითად გადახდის თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე, წერილების გაგზავნა, რომლებიც შეახსენებენ გადამხდელს საგადასახადო ვალდებულებების შესახებ;
- განსაზღვრულ პერიოდში, მედიის საშუალებით სარეკლამო კომპანიის გამართვა
- საბაზრო კვლევების ჩატარება, გადასახადის გადამხდელთა საჭიროებების დასადგენად

როგორც ზემოთ ავლინებით, გადასახადი გადამხდელს დახმარებას უწყევს, სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი განყოფილება.

16.2 საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ხარჯების სტრატეგია  
ასეთი სტრატეგიები შემუშავებულია გადასახადის გადამხდელთათვის საგადასახადო ვალდებულების შესრულების გასამარტივებლად და იმ ხარჯების შესამცირებლად, რომელთა გადახდაც გადასახადის გადამხდელს შეიძლება მოუწიოს ვალდებულებების შესრულების პროცესში. გადამხდელისთვის ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულების რიცხვი უნდა გაიზარდოს. გარდა ამისა, თუ გადასახადის გადამხდელს, რომელიც დაკავებულია სამეწარმეო საქმიანობით, ნაკლებ დრო დაეკარგება გადასახადების გადახდაზე, ეს გარკვეულწილად წაადგება ქვეყნის ეკონომიკასაც.

### 16.3 კონფლიქტების მოგვარება

საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელთათვის შემუშავებულია სწრაფი და სამართლიანი პროცედურები.

### 16.4 ტექნოლოგია და ინფორმაციის გადაამუშავების სისწრაფე და შეუცდომლობა (სისწორე):

- გადასახადის გადამხდელთა მიერ, საგადასახადო ვალდებულებების თვით დანგარიშების საფუძველზე შეესებული დეკლარაციის, გადასახადის გადახდისა და სხვა სახის ინფორმაციის დამუშავება; ინფორმაციის დამუშავების მიზანია დეკლარაციების მიღება მათი ნომინალური ღირებულებით, შემდგომში ამ დეკლარაციების განხილვა და არჩევითი გზით შემოწმება.
- იმ გადამხდლების ამოცნობა, რომელთაც არ შეუესიათ დეკლარაციები ან არ გადაუხდიათ სავალდებულო გადასახადები; მათთვის საგადასახადო ვალდებულებების შეხსენება, და იმ შემთხვევაში თუ გადახდელი არ გამოეხმაურება ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომებს, მათ მიმართ უფრო ინტენსიური ღონისძიებების გატარება.

### 16.5 უფლებამოსილების გამოყენება და შესაძენი პირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან შედარება

საგადასახადო ადმინისტრაციას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მოიპოვოს სათანადო ინფორმაცია გადასახადის გადამხდელისა თუ სხვა ნებისმიერი პირისგან, აგრეთვე ის ფლობს ტექნოლოგიას, რომლის საშუალებითაც მოახდენს შესაძენი პირის (მაგ. ბანკის) მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედარებას გადასახადის გადამხდელის მიერ შეესებულ საგადასახადო დეკლარაციასთან, ამ დეკლარაციაში მოყვანილი ინფორმაციის სისწორის დასადგენად.

### 16.6 საურაევებისა და ჯარიმების რეჟიმი

არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება საურაევების დარიცხვა იმ გადასახადზე, რომლის გადახდაც არ მოხდა განსაზღვრული დროის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით ვერ მოახერხა გადასახადის გადამხდელმა თავისი საგადასახადო ვალდებულების ვერ შესრულება (ანუ წინასწარ იყო განსაზღვრული მისი ეს საქციელი თუ არა). საურაეი უბრალოდ ასახავს ფულის ღირებულებას მომავალი შემოსავლების მიხედვით, ამიტომაც მისი დარიცხვა ყოველთვის უნდა მოხდეს გადასახადებზე, თუ გადამხდელი დროულად არ შეასრულებს თავის საგადასახადო ვალდებულებას.

გარდა ამისა, არსებობს სამოქალაქო ჯარიმების შესაბამისი სისტემა, იმ შემთხვევებისთვის, როდესაც გადასახადის გადამხდელი არ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებას რაიმე დანაშაულის გამო (შეცდომის ან გაუგებრობის გამო), ჯარიმების სახე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სერიოზულია რეციდივი.

16.7 საგადასახადო ვალდებულების იძულებით გადახვევინების სტრატეგია ფართოდ გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ, საუკეთესო შედეგების მისაღწევად, საგადასახადო სხვაობის შექცობის საქმეში (დეტალურს განვიხილავთ მოგვიანებით).

### 16.8 პართია

საგადასახადო ადმინისტრაცია უფლებამოსილია, თავისი მოსაზრების შესაბამისად მოარგოს საგადასახადო კანონი გადასახადის გადამხდელის სემიანობას, და ამგვარად უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის შესაბამისობა კანონთან.



ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება შემუშავებულია იმისათვის, რათა ამაღლებული იქნას გადასახადის გადახდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულება.

## 17. ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენენ საბაღასახადო აღმინისტრაციის ეფექტურობაზე

ყველა ზემოთ ნახსენები კომპონენტი განსაზღვრავს საგადასახადო აღმინისტრაციის მუშაობის სტილს. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიცვალოს ორგანიზაციული სტრუქტურა, ტექნოლოგია და ინფორმაციის გადახმება, თანამშრომელთა შემადგენლობა.

- ჩვეულებრივ, ორგანიზაციული სტრუქტურები ჩამოყალიბებული არიან ფუნქციონალური მეთოდის ბაზაზე, ისე, რომ ცალკეული განყოფილებები აკებენ პასუხს გადასახადის გადახდელთა ინფორმაციით მომსახურებაზე, საგადასახადო დეკლარაციებისა და გადასახადების შესახებ ინფორმაციების დამუშავებაზე, აუდიტზე და ა.შ.
- ტექნოლოგია და ინფორმაციის გადახმების განყოფილება, შექმნილია გადასახადების თეთრ-დანაგარიშების (თეთრ-შეფასების) სისტემასთან შეთანხმებით. იმდენად რამდენადაც საგადასახადო დეკლარაციათა უმრავლესობის მიღება ხდება მათი ნომინალური ღირებულების შესაბამისად, შესაძლებელი ხდება დიდი რაოდენობის დეკლარაციების გადახმება და იმ გადახდელების სწრაფი ამოცნობა, რომელთაც დეკლარაციები არ შეუვსიათ.
- დეკლარაციების გადახმება შეიძლება ცენტრალიზებული იქნას, ხარჯების გეოგრაფიის მიხედვით. შეეძლება ეს ძველ მეთოდს, როდესაც ხდებოდა ყველა შემოსული საგადასახადო დეკლარაციის შემოწმება. საგადასახადო აღმინისტრაციის ძირითადი რესურსები მიმართული იყო ამ ამოცანის შესრულებისკენ; დეკლარაციის არ-შემოწმებასა და არ-გადახდლებს ძალიან მცირე ყურადღება ეთმობოდათ. შესაბამისად, საგადასახადო აღმინისტრაცია, რომელიც კონცენტრირებული იყო იმ გადახდელზე, რომლებიც დეკლარაციებს ავსებდნენ მოთხოვნათა შესაბამისად, ყურადღების მიღმა ტოვებდა იმ პოტენციურ გადახდელებს, რომლებიც არ ავსებდნენ საგადასახადო დეკლარაციებს.
- საგადასახადო აღმინისტრაციის თანამშრომლებით დაკომპლექტება მოითხოვს იმ თანამშრომლების შერჩევას, რომელთაც აქვთ ფართო სექტორის კვალიფიკაცია. მაგალითად, ის ცოდნა, რომელიც საჭიროა სადასახადო დეკლარაციებისა და გადასახადების დიდი რაოდენობით გადახმებისთვის, ღიად განსხვავდება იმ ცოდნისაგან, რომელიც საჭიროა საგადასახადო დეკლარაციის დამოწმებას. ამის შთავსად, ის ცოდნა, რომელიც საჭიროა ყველა საგადასახადო დეკლარაციების დასამოწმებლად, განსხვავდება იმ ცოდნისაგან, რომელიც მოითხოვს ინსპექტორს მეცნიერულ მეთოდზე დაყრდნობით, შერჩეული გადასახადის გადახდელის ყოველმხრივ შემოწმებისთვის. რაც უფრო მეტად რთული ხდება ორგანიზაციის სტრუქტურა, საგადასახადო აღმინისტრაცია უფრო მეტად ცდილობს თავისი ფუნქციების კერძო სექტორზე გადაცემას (ანუ ქირობის იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ამა თუ იმ მოქმედების ჩასატარებლად, მაგალითად ჩამორთმეული ქონების აუქციონზე გასაყვად).

## 18. თვით დანაბარიშვებამდე და დანაბარიშვების შემდეგ

თვით დანაგარიშების ძირითად მიზანს წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაზრდა ისე, რომ დაზოგოს რესურსები (თანამშრომლების და ფულადი) რომელიც მიმართული იყო შემსრულებელი გადახდელის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლაზე და მთელი

დაზოვილი (აძრავად გაზრდილი) სახსრები მიმართული იქნას ურჩი გადმხდლების აღმოჩენასა და მათ წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე.

**19. საგადასახადო ვალდებულებების იძულებითი გადახდვინების სტრატეგია**

ძველი და ახალი მიდგომების (მეთოდების) შედარება

**19.1 ძველი მიდგომა**

საგადასახადო აღმინისტრაციამ უნდა დაამოწმოს ყოველი მიღებული საგადასახადო დეკლარაცია და ურჩ გადამხდელთა მიმართ გატარებულ საუკეთესო ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს გადასახადის გადახდელის შემოწმება. აუდიტი ისედაც წარმოადგენს გასატარებელის ღონისძიებების საბოლოო რგოლს, და აუდიტის შედეგად ამოღებული დავალიანების დიდი რაოდენობა იქნება მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ეფექტური იყო საგადასახადო აღმინისტრაციის მიერ წარმართული საქმიანობა. გადასახადების გადახდელთათვის აუდიტის ჩატარების ფუნქციის არსებობა გამართლებულია, აუდიტის შედეგად ამოღებული გადასახადებით.

**19.2 ახლებური მიდგომა**

თუ საგადასახადო აღმინისტრაციის მიზანს წარმოადგენს საგადასახადო სხვაობის შემცირება, და გადასახადის გადახდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულება, მაშინ აუდიტი უნდა განვიხილოთ როგორც უზარალო საპასუხო რეკცია ურჩ-გადამხდელთა მიმართ. აუდიტი დამოუკიდებლად არ არის საჭირო. იმდენად რამდენადც გადასახადის გადახდელთა რაოდენობა სტრად აჭარბებს შემოწმებულთა რაოდენობას, ნათელია, რომ გადასახადის გადახდელთა მხოლოდ მინიმალური რაოდენობის აუდიტი შეიძლება ჩატარდეს. თუ აუდიტის შედეგად შესაძლებელია დიდი რაოდენობის საგადასახადო დავალიანების ამოღება, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ გადასახადების უმეტესი ნაწილის ამოღება ვერასოდეს ვერ მოხერხდება.

**20. ზომიერობის მიზმი საგადასახადო ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში**

საკვირა საგადასახადო ვალდებულების არ შესრულების გამოწვევი მიზეზების განსაზღვრა და შესწავლა; აუცილებელია ვალდებულების არ შესრულების შემთხვევაში საპასუხო მრავალმხრივი ზომების მიღება; არ-შესრულების მიზეზებს საკმაოდ რთული ხასიათი აქვთ, ჩამოეთვალოთ ზოგიერთ მათგანი:

- მთავრობის მიმართ მოქალაქეთა უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს რიგი მიზეზების გამო
- ხელისუფლების მიერ გაწეული არაადეკვატური სამსახური, ანუ გადასახადის გადახდელს მაჩინათ, რომ მთავრობისგან არ ღებულობენ ისეთ მომსახურებას, რომელიც თავისი ღირებულებით ადეკვატური იქნებოდა იმ გადასახადებისა, რომელთა გადახდაც გადახდელს მოეთხოვება.
- საზოგადოებრივი სტანდარტები – რამდენად პატიოსანია საზოგადოება
- კორუფციის დონე – საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებულ კორუფციის მაღალ დონეს შედეგად მოაქვს გადასახადის გადახდელთა არაწესიერება, გადასახადების დამალვა და თავის არიდება
- სხვა გადახდელთა ნდობის დაკარგვა სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ
- ინფლაციის დონე – თუ ინფლაცია მაღალია, გადასახადების გადახდაზე თავის არიდებას დიდი მოგება მოაქვს გადახდელისთვის, განსაკუთრებით თუ საურავების/ჯარიმების რეჟიმში არაადეკვატურია

- არაადეკვატური საურაგების/ჯარიმების რეჟიმი, რომელიც ხელს უწყობს გადასახადის გადამხდელს თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულების შესრულებას.
- ვალდებულების დარღვევის გამოაშკარავების მცირე რისკი – იმის გაცნობიერება, რომ საგადასახადო ადმინისტრაცია სუსტია და კანონის დარღვევის გამოვლენის ალბათობა მცირეა
- უკონტროლო და გაურკვევლობა – გადასახადის გადამხდელს არ ესმის სრულყოფილად მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის არსი
- საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ცუდი მომსახურება – გადამხდელი ვერ იღებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო დახმარებას
- ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების სიდიდე – დაკისრებული ვალდებულება ისეთ მძიმე მდგომარეობაში აყენებს გადამხდელს, რომ საბოლოოდ ისინი თავს ანებებენ გადახდის მცდელობას.
- ბუნდოვანი კანონი – კანონი იწვევს დაბნეულობას ან ისე ცუდადაა ჩამოყალიბებული, რომ არც საგადასახადო ადმინისტრაციას და არც გადასახადის გადამხდელს არ ძალუძს მისი გაგება

**ზემოთ მოყვანილი სიიდან, ორი რამ ნათელია:**

პირველი, აუცილებელია არ-შესრულების მიზეზების დადგენა და მათი გაანალიზება, რათა განისაზღვროს ის ფაქტორები, თუ რომლის აღმოფხვრის უნარი შესწავეს საგადასახადო ადმინისტრაციას და რომლის არა.

მეორე, იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომელზე გავლენის მოხდენაც შეუძლია საგადასახადო ადმინისტრაციას, უნდა განისაზღვროს გასატარებელი საპასუხო ღონისძიებები. მაგალითად, თუ კანონში არის ხარვეზები, საჭიროა კანონის შეცვლა.

**აუდიტის ეფექტურობის გაზრდა**

იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელმა გამიზნულად არ შეასრულა საგადასახადო ვალდებულება, და აუდიტის ჩატარება არის ურჩი გადამხდელის მიმართ გადადგმული სწორი ნაბიჯი, აუცილებელია აუდიტის ჩატარება ისე, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს მისი ეფექტურობა. მაგალითად, თუ ეკონომიკური საქმიანობის ტიპის მიხედვით გაერთიანებულ (დაჯგუფებულ) გადასახადების გადამხდელთა მიმართ ჩასატარებელი აუდიტი კარგად იქნა დაგეგმილი და განხორციელებული, შემდგომში, დადგინდონ იქნებან ის გადამხდელები, რომლებმაც არ შეასრულეს საგადასახადო ვალდებულება და მათ შესახებ ინფორმაცია დაეგზავნათ ამ ჯგუფში გაერთიანებულ სხვა გადამხდელს შესაბამის გაფრთხილებით, რომ მათ უნდა შეეცადონ თავიანთი ქცევა, რადგან საგადასახადო ადმინისტრაციას არ არის უმოქმედოდ და მზად არის მათ წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ამის შესავსად, გადასახადის გადახდისთვის თავის არიდების შემთხვევებში, სხვა გადამხდელების გაფრთხილების მიზნით, ხდება ზოლზე დამრღვევის საქმიანობისა და დაკისრებული ჯარიმების შესახებ მონაცემების გამოქვეყნება.

**22. საბადასახადო ვალდებულების იძულებით გადახდემინების სტრატეგიის არინსტიპები**

ახლებურ მეთოდზე დაყრდნობით, საგადასახადო ადმინისტრაციას შეუძლია შეიმუშაოს სრულყოფილი, იძულებით გადახდევინების სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო შემოსავლების მიმართ არსებული რისკი და შეზღუდვები იქნება ამ რისკის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები.

სტრატეგიის შემუშავებისთვის აუცილებელი ნაბიჯები:

## 2.2.1 სექტორებად დაყოფა

ეს გულისხმობს გადასახადის გადახდელთა ერთი ნიშნის მიხედვით გაერთიანებას (დაჯგუფებას). მაგალითად საწყის ჯგუფში შეიძლება გაკავთიანოთ:

- დაქირავებული მუშაკები და პენსიონერები
- მცირე ბიზნესი
- საშუალო ზომის ბიზნესი
- მსხვილი ბიზნესი

## 2.2.2 შემოსავლების განსაზღვრა სექტორების მიხედვით

უნდა განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის შემოსავლები აქვს გადახდილი თვითოეულ ამ ჯგუფს, არა მხოლოდ თავის ანგარიშზე, არამედ სხვების სახელითაც. მაგალითად, მსხვილი ბიზნესის ჯგუფში გაერთიანებულ საწარმოებს გადახდილი აქვთ გადასახადი არა მარტო მოგებაზე, არამედ ხელფასებზეც. ანუ თავისი თანამშრომლების ხელფასებიდან დაქვითილი თანხაც. მსხვილი ბიზნესის ჯგუფმა შეიძლება აგრეთვე გადაიხადოს გადასახადები დღგ-ზე, გაყიდვაზე, აქციზზე და ა.შ.

## 2.2.3 რისკის ფაქტორის გამოვლენა

უნდა განისაზღვროს, თუ რა სახის რისკს უქმნის თითოეული სექტორი შემოსავლებს. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში გავრცელებულია მცირე ბიზნესის სექტორში გაერთიანებული საწარმოების მიერ ნაღდი ფულის კეთილშობილური დაზღვევა, და ესეც გარკვეულ რისკს უქმნის ქვეყნის ბიუჯეტს. მეორეს მხრივ, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელმა საწარმომ შეიძლება წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიში, მაგრამ მეტად გართულებული ტექნიკის საშუალებით გადასახადების ოდენობა წარმოადგინოს შემცირებული სახით და ამ გზით რისკის წინაშე დააყენოს ქვეყნის ბიუჯეტი. ტექნიკის გამოყენებით ხშირად ხდება გადასახადების დაფარვა

## 2.2.4 საბასუხო ღონისძიებების გატარება

ყურადღებით უნდა გაეანალიზოთ თითოეული რისკის ფაქტორი, სახსრები და ის უნარი, რომელიც გააჩნია საგადასახადო ადმინისტრაციას, უნდა განისაზღვროს, თუ რა ზომების მიღება შეიძლება მიმდინარე ეტაპზე და სამომავლოდ. არსებული რისკის ფაქტორის აღმოსაფხვრელად, შეიძლება გაეატაროთ შემდეგი ღონისძიებები:

- ცვლილებები კანონმდებლობაში, რათა ნათელი მოეფინოს გაუმართავ კანონში არსებულ წინააღმდეგობებს.
- გადასახადის გადახდელისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის მიხედვით განსამარტავად
- მოსახურეობა და რჩევა - დახმარება უნდა გაეწიოს გადასახადის გადახდელს და/ან გადახდელთა ჯგუფებს საგადასახადო ვალდებულების შესრულების პროცესში
- პროექტების ბაზაზე წარმართული აუდიტი - უნდა ჩატარდეს გადასახადის გადამხდელთა საეკილური ჯგუფების ან ქვე-ჯგუფების აუდიტი, რათა მოვიპოვოთ ინფორმაცია საგადასახადო ვალდებულების არ შესრულების შესახებ ხსენებულ ჯგუფსა თუ ქვე-ჯგუფში. (უფეტრუ შედეგს იძლევა შემდეგი გამოძიების ჩატარება რისკის ფაქტორის განსაზღვრისა და

შესაბამისი ზომების მიღების მიზნით). აგრეთვე შესაძლებელია აუდიტის წარმართვა ცალკეულ საკითხებზე და ამ პროცესმა შეიძლება მოიცავს რამდენიმე სეგმენტი, მაგალითად, აუდიტის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს დაქვითვები სანახაობრივ ხარჯებზე, ყველა სახის ბიზნესში.

- მიზნის მისაღწევად აუცილებელი საქმიანობა – ეს მოიცავს ისეთ მოქმედებათა სპექტრს, რომელთაც უნდა მიემართოს მათ. როდესაც საქმე გვაქვს საგადასახადო ვალდებულების შესრულების დარღვევის ფაქტებთან, რათა მოვასწავროთ შესაბამისი ზეგავლენა და კანონს დაეუბრჩილოთ გადამხდელთა დიდი ნაწილის ქტეები. მაგალითად, პროექტის ბაზაზე ჩატარებული აუდიტის შედეგები უნდა განვიხილოთ სემინარებზე, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ეცნობოთ საზოგადოებას, რათა ამ გზით შევეცადოთ შევეცვალოთ გადასახადების გადამხდელების ქტეა.
- მიზნობრივი აუდიტი – აუდიტი უნდა ჩატარდეთ იმ გადასახადის გადამხდელებს, რომელთა საგადასახადო ვალდებულების შესრულება ეჭვს იწვევს. აღნიშნული გადამხდელების შერჩევის სისტემა შემუშავებული უნდა იყოს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც დაგეგმვარებიან იმ გადამხდელების ამოცნობაში, რომლებიც რისკს უქმნიან სახელმწიფო შემოსავლებს. ასეთი ამოცნობი კრიტერიუმების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: საშუალოზე დაბალი ერთიანი მოგების პროცენტული მაჩვენებელი, დეკლარაციის შევსების გაუმდებელი დაგვიანება, გადასახადების გადახდების გაუმდებელი დაგვიანება, ოპერაციების ნაღდი ფულით ჩატარება (არ რიცხვენ ფულს ბანკებში), და ის საწარმოები, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც საგადასახადო ვალდებულების ცუდი შემსრულებლები, მაგალითად რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, ტაქსით მომსახურების ცენტრები და ა.შ. კრიტერიუმების გადასინჯვა უნდა ხდებოდეს რეგულარულად, მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

## 2.2.5 შედეგების შეფასება და ეფექტი

საგადასახადო ვალდებულების იძულებით გადახდევინების სტრატეგია რეგულარულად უნდა განიხილებოდეს, არსებული სისტემის გაუმჯობესებისა და მისი სამომავლოდ ჩამოყალიბების მიზნით. დროთა განმავლობაში, საგადასახადო ადმინისტრაცია უფრო გაიწყოება გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და რისკის ფაქტორის ამოცნობაში.

## 2.3 საბადასახადო ვალდებულების შესრულების ხარჯები

ეს თავი არის შესავალი შემდეგი განსახილველი თემებისთვის:

- გადასახადების გამარტივება, ე.ი. საგადასახადო სისტემის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური გამარტივება, ისე, რომ გადასახადის გადამხდელს უფრო ადვილად შეეძლოს, საგადასახადო ვალდებულების შესრულება, და
- ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არიან გადასახადის გადამდელებთან და მათ მიერ საგადასახადო კანონის შესრულებასთან.

ეს საკითხები სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევენ ბევრ ქვეყანაში უკანასკნელი 5-7 წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეული მომარბეები ამ თემების გარშემო დიდი ხნის წინათაც არსებობდა.

მე-18 საუკუნეში, ადამ სმიტმა დაასკვნა, რომ გადასახადები უნდა იყოს თანასწორი, განსაზღვრული, გადასახდელია ზედმისაწვდომი, და შეროების თვალსაზრისით ეკონომიური.

კოტხვაზე. თუ რას ნიშნავდა განსაზღვრული გადასახადი, სმიტმა უპასუხა, “გადამხდელისთვის და ნებისმიერი სხვა პირისთვის ნათლად განსაზღვრული და მარტივი უნდა იყოს გადასახადის გადახდის დრო, გადახდის ვა და გადასახდელი თანხის ოდენობა”.

სამწუხაროდ, ამ მოსაზრებებს სმირად ივიწყებდნენ, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა გადასახადების საშუალებით გაეზარდა სახელმწიფო შემოსავლები და საგადასახადო სისტემა გამოეყენებინა ორივე შემთხვევაში, როგორც შემოსავლების გადანიჭილების დროს, ასევე კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის ხელისშეწყობის მიზნით.

## 24. საბაღასახადო სისტემაში წარმოქმნილი ხარჯების სახეები

24.1 საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯები გადასახადების ადმინისტრირებისა და ამოღების პროცესში.

24.2 გადამხდელის მიერ გაწეული ხარჯები, საგადასახადო კალდებულების შესრულების პროცესში

- გადამხდელის მიერ დახარჯული ფული საგადასახადო კანონისა და საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული მოთხოვნის შესრულების პროცესში
- გადამხდელის მიერ დახარჯული დრო საგადასახადო კანონისა და საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული მოთხოვნის შესრულების პროცესში (ეი ის დრო, რომელიც შეეძლო დაეხარჯა პროდუქციის წარმოებაზე)
- გადამხდელთა მრჩეველების მიერ დახარჯული დრო, საგადასახადო დეკლარაციის მომზადებასა და საგადასახადო კანონთან დაკავშირებული რჩევების მიცემაზე (გარდა ამისა დრო, რომელიც მრჩეველს შეეძლო დაეხარჯა, გადასახადების თვითა და აცილების შესახებ გზების განხილვაზე)
- ის ფსიქოლოგიური დატვირთვა, რომელიც გადამხდელმა მიიღო საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული მოთხოვნის გარკვევის დროს

24.3 ხარჯები, რომელთაც შედეგი არ მოაქვთ. მათ აგრეთვე უწოდებენ “შვად-წონადობის ხარჯებს” ეკონომიკური საქმიანობის არასწორად წარმართვის შედეგად წარმოქმნილი ხარჯები, რომელსაც განაპირობებს ისეთი გადასახადის არსებობა, რომელიც თავად უწყობს ხელს ეკონომიკური საქმიანობის შეცვლას. (ამ ხარჯების გაკონტროლება, საგადასახადო ადმინისტრაციას არ შეუძლია.)

## 25. საბაღასახადო პალატიზაციის შესრულების ხარჯების მოცულობა

საგადასახადო კალდებულების შესრულების ხარჯების დაანგარიშება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ადმინისტრაციული ხარჯების დაანგარიშება, მიუხედავად გვირგვინის, რომ ისინი ბევრად აღემატებან ადმინისტრაციულ ხარჯებს. ა.შ.შ-ში ეს თანაფრთხიდან დაახლოებით 10:1 –ზე მეტია.

## 26. საბაღასახადო ხარჯების რეგისტრირება სისტემაში

გამოკვლევებმა აგრეთვე გვიჩვენეს, რომ შესრულების ხარჯებს მცირე ბიზნესის პირობებში უფრო რეგრესული ხასიათი აქვთ. გადაჭარბებული შესრულების ხარჯები ხელს უშლიან დასაქმების ზრდას, მაშინ როდესაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მცირე ბიზნესი ხელს უწყობს სამუშაო ადგილების დიდი რაოდენობით უზრუნველყოფას.

## 27. გაქვნი საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს საგადასახადო ვალდებულების შესრულების ხარჯების ზრდას, მაშინ აქ ადგილი ექნება პროდუქტულობისა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის შემცირებას იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო და ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ხელისუფლებასთან ურთიერთობის წარმართვასთან.

## 28. გაქვნი საბადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულება

სალი აზრი გეთავაზობს, რომ შესრულების ხარჯები ამცირებენ გადამხდლების სურვილს, ნებაყოფლობით შეასრულონ საგადასახადო ვალდებულება. გადამხდლები ფიქრობენ, რომ ძალიან ძნელია ვალდებულების შესრულება, ან უბრალოდ არ სურთ საგადასახადო კანონის შესრულება.

## 29. საერთაშორისო კავშირები

ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, რიგი ქვეყნები ცდილობენ გადამხდლებს შეუმცირონ არა მარტო საგადასახადო ადმინისტრაციასთან, არამედ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ურთიერთობების საჭიროება. დიდ ბრიტანეთში, მოთხოვნის შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულების შესრულების ხარჯები, გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობაში. ახალ ზელანდიაში, საგადასახადო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის საეკოლოგიურ მომსახურებას, რათა დაეხმაროს მათ ვალდებულების შესრულებაში. ა.შ.შ-ში ხდება სამთავრობო ფორმების შევსებაზე დახარჯული დროის განსაზღვრას და შედეგების გამოქვეყნება.

## 30. პრობლემები და მათი გამოსწორების საშუალებები

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი იმ მიზეზთაგანი, რომლებიც იწვევენ საგადასახადო სისტემის გაართულებას და რამდენიმე რჩევა, ამ სირთულეების გამოსასწორებლად:

### 30.1 ცუდად შემუშავებული საგადასახადო სისტემები

სისტემის გაუმჯობესების ხერხები:

- კარგად შემუშავებული საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა, კარგად ორგანიზებული და შემუშავებული საგადასახადო ადმინისტრაციის ჩათვლით;
- იმის გარანტია და უსაფრთხოება, რომ ყველა წინადადება განიხილება პარლამენტში; წინადადების საჯაროდ განხილვის შესაძლებლობა.
- სავალდებულო შესრულების ხარჯების გაცენა აისახება საგადასახადო საკითხების თაობაზე შემოსულ წინადადებებში.
- უნდა შემცირდეს გადასახადების რაოდენობა ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადებამდე (მაგალითად დამატებითი ღირებულების გადასახადი). მაგრამ ამავე დროს უნდა ეუზრუნველყოთ, რომ ყველა სავალდებულო გადასახადი გადახდილი იყოს მოქალაქეების მიერ, პრაქტიკიდან გადასახადებისაგან განთავისუფლების შემთხვევების ამოღების გზით.

- შეეფუძაოთ ზოგიერი საგადასახადო განაკვეთები
- აცნობეთ საგადასახადო ცვლელუბების შესახებ როგორც საგადასახადო ადმინისტრაციას, ისე გადასახადის გადამხდელებს.

### 30.2 საგადასახადო კანონმდებლობაში, ყველა შესაძლო სიტუაციის გათვალისწინება

სისტემის გაუმჯობესების ხერხები:

კანონმდებლობაში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული აზრი, რათა საგადასახადო ადმინისტრაციას, გადამხდელებსა და სასამართლოებს შეეძლოთ მისით ხელმძღვანელობა.

30.3 სისტემის გამოყენება, ზოგიერთი კომპანიებისა თუ საქმიანობისთვის გარკვეული შეღავათების დაშვების მიზნით, მაგრამ უნდა დაიცვათ ყველა პუნქტი, რათა თავიდან ავიცილოთ შეღავათების გაწევის შემთხვევები იმ გადამხდელისთვის, რომლებიც ამას არ იმსახურებენ.

სისტემის გაუმჯობესების ხერხები:

კარგი საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა (მაგალითად ზემოთ აღწერილი). უნდა ევცადოთ შევიძუმაოთ ნეიტრალური საგადასახადო სისტემა საგადასახადო სტიმულატორების გამოყენების გზით ისე, რომ არ გამოვარჩიოთ "გამარჯვებულები" (წარმატებული საწარმოები).

### 30.4 გლობალურ ეკონომიკაში თანამედროვე ბიზნესის სირთულე

სისტემის გაუმჯობესების ხერხები:

- იქ სადაც მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის საჭიროა რთული დანართები, წერილი გადასახადის გადამხელები საჭიროებენ მარტივ დანართებს.
- უნდა შეზღუდოთ წერილ გადამხდელზე რთული წესების გავრცელება

30.4 გაუნათლებელი გადასახადის გადამხდლები. ახალ ზელანდიაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გაიჩვენეს, რომ მცირე ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი ანგარიშების წარმოებისას, მაგალითად გადასახადების დასაანგარიშებლად არ იყენებდა ეფექტურ მეთოდებს.

გამოსწორების საშუალება:

საგადასახადო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს საეციალური საგანმანათლებლო ლექციების ჩატარება იმ პირებისთვის, რომლებიც ეწვეიან ეკონომიკურ საქმიანობას, რათა გააცნონ გადასახადებთან ურთიერთობის ეფექტური მეთოდები, მაგალითად სალაროს წიგნაკების წარმოება და ა.შ

30.5 იმის გამო, რომ არ მიძინარეობს საგადასახადო კანონმდებლობის რეგულარული განხილვა, დროთა განმავლობაში ხდება ხოლმე ურთიერთგამორიცხავი და დამახინველი კანონების დავროება.

გამოსწორების საშუალება:

- საგადასახადო კანონმდებლობის თანდათანობითი შეცვლა.
- უნდა ზღებოდეს საგადასახადო კანონმდებლობის რეგულარული გადასინჯვა.



მოკლედ რომ ვთქვათ, დღესდღეობით მრავალ ქვეყანაში აღიარებენ გადასახადების გამარტივებისა და საგადასახადო ვალდებულების შესრულების ხარჯების შემცირების აუცილებლობას. შესრულების ხარჯებს, მაშინაც კი როდესაც ისინი დაფარულნი არიან აქვთ დიდი მნიშვნელობა და გავლენას ახდენენ ეკონომისის ეფექტურობაზე. გარდა ამისა ისინი ამცირებენ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროს სრული კონტროლი შეუძლებელია, საგადასახადო აღმინისტრაციას მაინც შესწევს უნარი დიდი როლი ითამაშოს შესრულების ხარჯების დაანგრიშებაში, აგრეთვე იმის განსაზღვრაში, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ხარჯებმა საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე.



თავი II: საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის  
შუამდგომლობითი ორგანიზაცია და დავალიანების  
აპოლიმების პროცესი

I. შესავალი

სერთაშორისო სავალუტო ფონდი და ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტი, საქართველოს სახელმწიფო სავადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, 1995 წლიდან მუშაობენ საქართველოს სავადასახადო ინსპექციისთვის შესაფერის, სავადასახადო ადმინისტრაციის საუკეთესო მოდელის შემუშავების საკითხებზე. ამ დროის განმავლობაში დაქუშვდა არა ერთი წინადადება ორგანიზაციის შესახლო ფორმის შესახებ.

1999 წელს გადაწყდა, რომ ფუნქციონალური ორგანიზაციის ტიპი არის ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმა საქართველოს სავადასახადო ადმინისტრაციისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ განყოფილებები ორგანიზებულები იქნებიან სავადასახადო ადმინისტრაციის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის მიხედვით. მაგალითად რეგისტრაციის, გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობის, სავადასახადო დეკლარაციებისა და გადასახადების დაშუშვების, დავალიანების ამოღების, აუდიტისა და შემოწმების, სააკელაციო განყოფილებები. გადაწყვეტილებას, საქართველოს სავადასახადო დეპარტამენტისთვის ფუნქციონალური ორგანიზაციის ტიპის შერჩევის შესახებ, მხარი დაუჭირეს USAID-მ და ბარენტის ჯგუფმა.

ამ მეთოდის თანახმად, რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განყოფილება ორგანიზებული იქნება სპეციფიური ფუნქციების შესასრულებლად.

არჩეული მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მუშაობა მიმდინარეობს გარკვეული ლოგიკური მოდელის მიხედვით, საშუაო პროცესებთან შეთანხმებით. ეს საშუალებას აძლევს სავადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს კვალიფიკაცია მიიღონ სხვადასხვა სფეროში, და იმავდროულად, ერთი და იგივე სისტემა იქნას გამოყენებული ყველა ტიპის გადასახადისა და გადამხდელთა მიმართ. ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის პირობებში, ორგანიზაციის ჩამოყალიბება მოხდება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, რომლის მიზანიც იქნება საშუაო პროცესებთან თანამიმდევრული მუშაობა. ორგანიზაციის ფუნქციონალური მეთოდით აგება ასევე გამართლებულია ორგანიზაციის ზემდგომი ინსტანციების წინაშე ანგარიშვალდებულების თვალსაზრისითაც, მაგალითად, ანგარიში, აუდიტის შედეგად ამოღებული გადასახადების შესახებ მოხსენდება ქვეყნის მთავრობას ან პარლამენტს. გარდა ამისა, ფუნქციონალური ორგანიზაციის მართვა, შედარებით ადვილია.

ამ მეთოდის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ აუცილებელია გადასახადის ყველა ტიპის ზედმიწევნით საფუძვლიანი ცოდნა, და ის საშიშროება, რომ ცალკეული ფუნქციონალური განყოფილებები შეიძლება გადაიქცნენ დამოუკიდებელ ერთეულებად, რომლებსაც მთელი ძალისხმევა მიმართული აქვთ მხოლოდ თავიან პირად მასუხისმგებლობაში შემავალი მოვსებულების შესრულებაზე და არა სავადასახადო ადმინისტრაციის საერთო მიზნების განხორციელებაზე.

## 1. ორგანიზაციის სქემა

(ა) საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის სათაო ოფისი.

1999 წლის მაისის თვემდე, დეპარტამენტის სათაო ოფისის საბოლოო სტრუქტურა არ განსაზღვრულა.

(ბ) მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია

- (1) მსხვილ გადამხდელთა ორგანიზაციული სტრუქტურა უკვე განსაზღვრულია და ასახულია ორგანიზაციის სქემაზე (იხ. დანართი დ-1).
- (2) განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ დავალანებების ამოღების განყოფილების ორგანიზებას, გააკეთილზე გარკვეული ღირებულების გამართვის მიზნით.
- (3) ყურადღება გაამახვილეთ ორგანიზების ზოგად ფორმაზე, გააკეთილზე ღირებულების გამართვის მიზნით.

(გ) რაიონული საგადასახადო ინსპექცია (იხ. დანართი დ-2)

- (1) რაიონული საგადასახადო ინსპექციის ფუნქციონალური ორგანიზაციის სტრუქტურა განსაზღვრულია და ასახულია ორგანიზაციის სქემაზე (იხ. დანართი დ-2)
- (2) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დავალანებების ამოღების განყოფილების ორგანიზებას, გააკეთილზე გარკვეული ღირებულების გამართვის მიზნით.
- (3) ყურადღება გაამახვილეთ ორგანიზების ზოგად ფორმაზე, გააკეთილზე ღირებულების გამართვის მიზნით.

## 1. მიზანი

დავალანებების შეგროვების მიზანი შემდეგ ასპექტებს ითვალისწინებს:

- 1.1 ამოვიღოთ ყველა ძველი დავალიანება
- 1.2 დაერწმუნდეთ რომ ყველა საგადასახადო კანონი სრულდება
- 1.3 აღმოვანიშნოთ დეკლარაციის შეუვსებლობის შემთხვები
- 1.4 გამოვიყენოთ ყველანაირი ძალისხმევა და უფლებამოსილება, რომ სისრულეში მოვიყვანოთ დაკისრებული პასუხისმგებლობა.

ეს უფლებამოსილებანი მოიცავს:

- 1.4.1. საგადასახადო დეკლარაციების შევსებას
- 1.4.2. საბანკო ანგარიშებისა და შესაძე პირის შემოსავლის წყაროების დაყადლებას
- 1.4.3. ქონების ჩამორიშევას და გაყიდვას სასამართლოს ჩარევით
- 1.4.4. ტრანსფერის მიმღების გადასახადის განსაზღვრას და ამ პროცესში სხვა და სხვა ოურიდიული ორგანიზაციების ჩარევას.

დავალანებების ამოღების ფუნქციას სშირად ექვევა ყურადღება როდესაც იქმნება ახალი საგადასახადო დეპარტამენტი. თეორიულად ყველა გადამხდელმა უნდა შეეყოს დეკლარაცია და გადაიხადოს მისთვის დაწესებული გადასახადი, მაგრამ ზოგს სშირად აგვიანდება გადასახადის გადახდა ან დეკლარაციის შევსება.

## 2. ორბანიზაციის

დავალიანების ამოღების სამმართველო რამდენიმე განყოფილებისგან შედგება. ეს სამმართველო ფუნქციონირებს და არ არის დამოკიდებული იმ კლიენტებზე რომელთათვისაც მუშაობენ, ან ვისთან ერთადაც მუშაობენ. ამ სამმართველოს მიზანია შეიმუშავოს პოლიტიკა და შეამოწმოს რეგიონული სამმართველოების მუშაობა.

**შემთხვევითების ბაზოვარა-გაძვინის (გადასხდელთან ურთიერთობის) ბაზოვარა-გაძვინის** დავალიანების ამოღების საქმეში ერთ-ერთი პირველი ნაბიჯის გადადგმა ევალუა. ეს განყოფილება მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა გადასხდელი გადასახადების ამოღებისა და წარუდგენელი დეკლარაციების გარკვევის საქმეში. ეს განყოფილება აქვეყნებს წერილებს გადასხდელი დავალიანების და დეკლარაციების შესახებ. კარგი იქნება თუ ეს განყოფილება სისტემატურად გამოუშვებს ასეთ წერილებს და ამ წერილების გამოქვეყნებით მიღებულ შედეგებს. ასეთივე ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს "შომსახურების ცენტრში", რომელსაც ევალუა საგადასახადო დეკლარაციების და სხვა დოკუმენტების მიღება, გადასახადების შეგროვება და შემოწმება.

**იურიდიული ბაზოვარა-გაძვინის** - მოიპოვებს ყველაწარმოებელი იურიდიულ და საკანონმდებლო ინფორმაციას. ამ განყოფილებას აქვს მრჩეველის სტატუსი. ეს განყოფილება აუხსნის გადასახადების ამოღების სამმართველოს საქმიანობას და აწარმოებს სასამართლო საქმეების მონიტორინგს და თვალყურს ადევნებს რომ სახელმწიფოს ინტერესები დაცული იყოს.

**ქამარალური შემოწმების ბაზოვარა-გაძვინის** - უკავშირდება იმ პირებსა და საწარმოებს, რომლებიც არ იხდიან დადგენილ გადასახადს მიუხედავად მათთვის გაგზავნილი შეტყობინებისა. პირველი კონტაქტი შეიძლება მიხდეს ტელეფონის საშუალებით და ასევე შეიძლება ინსპექტორი თავად წავიდეს გადასხდელის სახანავედ.

შეტი ეფექტურობისთვის ორი სპეციალიზირებული განყოფილება არის ჩართული ამ პროცესში: ინფორმაციის გადამამუშავებელი და საკონტაქტო.

ინფორმაციის გადამამუშავებელი განყოფილება მოითხოვს გადასხდელი დავალიანების დაფარვას, ამუშავებს დეკლარაციებს და ინფორმაციას გადამხდელის შესახებ. ამ განყოფილებამ შეიძლება მკაცრი ზომებიც გაატაროს დავალიანების ამოღების და დეკლარაციების დამუშავების პროცესში და ამის შემდეგ გადაწყვეტს რომელმაც განყოფილებამ უნდა წარმართოს ესა თუ ის საქმე.

საკონტაქტო განყოფილება ტელეფონით უნდა დაუკავშირდეს გადასხდელს ან მოიწვიოს ოფისში ინტერვიუს ჩასატარებლად. ამ განყოფილების მუშაკები მოითხოვენ გადასახადის მთლიან გადახდას, ხელს აწერენ გადასახადის პერიოდულად გადახდის ხელშეკრულებას და იყენებენ "მსუბუქ" მკაცრ ზომებს, მაგ: ფოსტით შეტყობინება კონკრეტული პირის საბანკო ანგარიშის გაყინვის შესახებ. ამ განყოფილებაში მოიპოვება ასევე ფინანსური დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც შეიძლება განისაზღვროს გადახდისუნარიანია თუ არა გადასხდელი და განსაზღვროს მის წინააღმდეგ გასატარებელი მკაცრი ზომები. მაგ: გადასხდელის შემოწმება მის საშუალო ადგილზე.

**ბასალური შემოწმების ბაზოვარა-გაძვინის** ატარებს დავალიანების ამოღების სამმართველოს განსახორციელებელ ბოლო პროცედურას. ამ განყოფილების მუშაკები დაყოფილი არიან 10-15 კაცისაგან შემდგარ რამდენიმე ჯგუფად და თითოეულ ამ ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი. ასეთივე პრინციპით მუშაობენ საქართველოში გასვლითი შემოწმების მუშაკები.

დავალიანების ამოღების ინსპექტორმა უნდა დაადგინოს გადასხდელის ადგილმდებარეობა, გამოაღწიოს დამატებითი აქტივები, აღმოაჩინოს წარუდგენელი დეკლარაციები და უზრუნველყოს დადგენილი გადასახადის გადახდა. როგორც ამ განყოფილების სახელწოდება მიგვანიშნებს, ეს

1. გადასახადის გადასმდელის დაქორავებული ან მკინონიერი საქმიანობა	<table border="1"> <tr> <td>ა. მუშაობის სტაფი</td> <td>ბ. სამსახურის ტელეფონის ნომერი</td> <td>გ. თანამდებობა</td> </tr> <tr> <td>დ. ემყოფაზე მყოფი პირების რაოდენობა</td> <td> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> (აღნიშნეთ შესაბამის გრაფაში)</li> <li><input type="checkbox"/> დაქორავებული მუშაკი</li> <li><input type="checkbox"/> ერთპიროვნული მესაკუთრე</li> <li><input type="checkbox"/> პარტნიორი</li> </ul> </td> <td>ე. ანაზღაურების დღეები</td> </tr> <tr> <td>ა. მუშაობის სტაფი</td> <td>ბ. სამსახურის ტელეფონის ნომერი</td> <td>გ. თანამდებობა</td> </tr> <tr> <td>2. მუდლის დაქორავებული ან მკინონიერი საქმიანობა (დასახელება და მისამართი)</td> <td> <ul style="list-style-type: none"> <li>დ. (აღნიშნეთ შესაბამის გრაფაში)</li> <li><input type="checkbox"/> დაქორავებული მუშაკი</li> <li><input type="checkbox"/> ერთპიროვნული მესაკუთრე</li> <li><input type="checkbox"/> პარტნიორი</li> </ul> </td> <td>ე. ანაზღაურების დღეები</td> </tr> </table>	ა. მუშაობის სტაფი	ბ. სამსახურის ტელეფონის ნომერი	გ. თანამდებობა	დ. ემყოფაზე მყოფი პირების რაოდენობა	<ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> (აღნიშნეთ შესაბამის გრაფაში)</li> <li><input type="checkbox"/> დაქორავებული მუშაკი</li> <li><input type="checkbox"/> ერთპიროვნული მესაკუთრე</li> <li><input type="checkbox"/> პარტნიორი</li> </ul>	ე. ანაზღაურების დღეები	ა. მუშაობის სტაფი	ბ. სამსახურის ტელეფონის ნომერი	გ. თანამდებობა	2. მუდლის დაქორავებული ან მკინონიერი საქმიანობა (დასახელება და მისამართი)	<ul style="list-style-type: none"> <li>დ. (აღნიშნეთ შესაბამის გრაფაში)</li> <li><input type="checkbox"/> დაქორავებული მუშაკი</li> <li><input type="checkbox"/> ერთპიროვნული მესაკუთრე</li> <li><input type="checkbox"/> პარტნიორი</li> </ul>	ე. ანაზღაურების დღეები
ა. მუშაობის სტაფი	ბ. სამსახურის ტელეფონის ნომერი	გ. თანამდებობა											
დ. ემყოფაზე მყოფი პირების რაოდენობა	<ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> (აღნიშნეთ შესაბამის გრაფაში)</li> <li><input type="checkbox"/> დაქორავებული მუშაკი</li> <li><input type="checkbox"/> ერთპიროვნული მესაკუთრე</li> <li><input type="checkbox"/> პარტნიორი</li> </ul>	ე. ანაზღაურების დღეები											
ა. მუშაობის სტაფი	ბ. სამსახურის ტელეფონის ნომერი	გ. თანამდებობა											
2. მუდლის დაქორავებული ან მკინონიერი საქმიანობა (დასახელება და მისამართი)	<ul style="list-style-type: none"> <li>დ. (აღნიშნეთ შესაბამის გრაფაში)</li> <li><input type="checkbox"/> დაქორავებული მუშაკი</li> <li><input type="checkbox"/> ერთპიროვნული მესაკუთრე</li> <li><input type="checkbox"/> პარტნიორი</li> </ul>	ე. ანაზღაურების დღეები											







ნაწილი III. - გაგრძელება. აქტების და პასივის ანალიზი

აღწერილობა	მიმდინარე სასაზოო ღონისძიებები	ეკლესიის დაუფარავი ნაწილი	ეკლესიის დაფარული ნაწილი (II - III)	თეთრი გადასახადის ოდენობა	მოურავების გეგმი და მისამართი	დაგირავეების თარიღი	საბოლოო გადახდის თარიღი
<b>I</b>							
9. საკონსტრუქციო ინვესტიციები	ა.	II	III	V	VI	VII	VIII
	ბ.						
	გ.						
	დ.						
	ე.						
10. სხვა აქტივები (მოულოდულო)	ა.	II	III	V	VI	VII	VIII
	ბ.						
	გ.						
	დ.						
	ე.						
11. სხვა პასივები (ავტოზღოვება და აფისების ჩაფლვა)	ა.	II	III	V	VI	VII	VIII
	ბ.						
	გ.						
	დ.						
	ე.						
12. ჯამი							

<p><b>განყოფილება III. პქსინალური ინფორმაცია</b></p>	
<p>1. ინფორმაციის მოწოდებელი პირის (გადამხდელის ახლობელი) სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი</p>	<p>2. სხვა სახელი ან ფსევდონიმი</p>
<p>3. ყოფილი მისამართი</p>	
<p>4. წლის განმავლობაში თქვენს სახლში მცხოვრები, თქვენს კმაყოფილებაზე მყოფი პირების ასაკი და მათთან თქვენი კავშირი (არ ჩაჭერთ თქვენი და თქვენი გუედლის სახელები)</p>	
<p>5. დაბადების თარიღი</p>	
<p>ა. გადამხდელის გადამხდელი</p>	<p>ბ. გუედლი</p>
<p>6. ბილის შექმნილი დეკლარაცია (საგადასახადო წელი)</p>	
<p>ა. კმაყოფილებაზე მყოფი პირების რაოდენობა</p>	<p>ბ. შევამბუღი მდიდარი უჭიოსავალი</p>



ნაწილი IV. შემოსავლის და გასავლის (ხარჯების) ანალიზი

ეს ინფორმაცია გრძელდება შემოსავლსა და გასავლზე  
 — პერიოდის განმავლობაში

	შემოსავლი	გასავალი
1 ამონაგები ვაჭრობიდან მომსახურების სფეროდან და ა.შ.		7 შესყიდვული მასალა
2 მთლიანი სოფთაბო შემოსავალი		8. ხელფასები (დაკავების შემდეგ) (თანამშრომლობა რაიონში)
3. პროცენტი		9. ეჯარა
4 დივიდენდები		10. სოფლისური გადასახადები (III. II დ. ე)
5. სხვა შემოსავლები (ზოფიდიუმი)		11. შარავი
		12. დანადგარები/ტექნიკური
		13. მარეგულირებელი
		14. სარეგულირებელი საშუალებები
		15. დასვენება
		16. მშენებლობის გადასახადები
6. მთლიანი შემოსავალი		17. სხვა (შაფიფიდიუმი) 18. მთლიანი ხარჯები
		19. წმინდა განსხვავება
დადასტურება: ვადასტურებ, რომ ინფორმაცია აქტიუბის, პასიუბის და სხვა მონაცემების შესახებ არის ჭეშმარიტი და სრული, და ვადასტურებ, რომ ტრუადის შემთხვევაში დავისგები კანონმდებლობით გათვალისწინებული ვარიანტის მდებარეობაში		
20. ხელმოწერა		21. თარიღი
22. განმარტული ნებისმიერი განსხვავება მოგებასა და ხარჯებს შორის და ნაწილობრივი გადახდის კონტრაქტში აღნიშნულ თანხასთან.		
23. სავადასახადო ინსპექტორის გვარი		24. თარიღი

განყოფილება IV. პირითადი ფინანსური მონაცემები				
1. საბანკო ანგარიში (დინიშნული ამირები თუ არა ანგარიშის შექცევის და ა.შ.)				
ბანკის დასახელება	მისამართი	ანგარიშის ტიპი	ანგარიშის №	ბალანსი
ჯამი (შრიტანეთ შესაბამის V.2 პუნქტში)				
2. ანგარიშსწორების ბარათი და კრედიტის ზღვარის მოწოდებები განკუთვნილიდან დაწესებულებიდან, დანაზოგები და სესხები				
ანგარიშის ან ბარათის ტიპი	ფინანსური დაწესებულების მისამართი	კრედიტის ზღვარი	დაჯალანების როდენობა	თვიური გადახდა
3. აღველმდებარეობა, სერვის № და არენდირებული სერვისების შეფასება				
4. უძრავი კონტაქტი				
(მოკლე აღწერა და საკუთრების ტიპი)				
ა.				
ბ.				
გ.				
5. სიცოცხლის დაზღვევის პოლისი (კომპანის დასახელება)				
	პოლისის დასახელება	სახეობა	პოლისში მითითებული თანხა	სესის აღების შესაძლო ოდენობა
ჯამი (შრიტანეთ შესაბამის V.4 პუნქტში)				

ბანკოვალუტა V. აქტივისა და პასივის ანალიზი

აღწერა (ა)	შემოსრუ- საბაზრო ღირებულებ ა (ბ)	ვალის დაუფარავ ი ნაწილი (გ)	ვალის დღეობრივი ნაწილი (დ)	თუ ვი გადასახადის ოფენობა (ე)	თამაშების შედარების ან შეფარების სხვა და მისამართი (ვ)	დავირებ ის თარიღი (ზ)	სამოლო გადახდის თარიღი (თ)
1. საღარიშო ვალის ოფენობა							
2. საბანკო ანგარიშ (IV.1 კუნტებიდან)							
3. ვისაინი კონტაქტები (IV.6 კუნტებიდან)							
4. სადაზღვეო პოლისზე დაფუძნობით, სესხის ოფენობა							
5. აქტივობილი (შოდელო, ცაიონების თარიღი, მართვის მთქობის მ)							
ა.							
ბ.							
გ.							
6. უბრალო ქონება (IV.1 ა. კუნტებიდან)							
ბ.							
7. სხვა აქტივები (ნაშთოვალუტ)							
ა.							
ბ.							
გ.							
დ.							
ე.							
8. საბანკო რეოვალუტო ანგარიშ							
ა.							
ბ.							
გ.							
დ.							
ე.							
9. სხვა პასივები (სასაბაროლო გადაწვევებლებით დაფუძნოლო თანხა, თამაშობებისა და სხვა ანგარიშ, კრედიტული საღარიშო (პასივების ანგარიშ) ნაყოლო							
ა.							
ბ.							
გ.							
დ.							
ე.							
10. ჯამი							

განყოფილება VI. თეთრი შემოსავლისა და გასავლის ანაღობი		ავცილებული საარსებო ხარჯები	
შემოსავალი	მთლიანი	წმინდა	
1. ხელფასი / ანაზღაურება (გადასახდის გადამხდელის)			12. იჯარა (ნუ მიუთუბთ იპოთეკას IV.6 კუნქში)
2. ხელფასისგანაღებუბა (მუდლის)			13. სურსთი (ადამიანთა რაოდენობა )
3. პირიყენი - დიდიენდი			14. დასაშუბი ქტაობრეიტი გადასახდი
4. წმინდა შემოსავალი გეონობიკური საწმინთობიდან			15. კომფტალური მომსახურეობის ხარჯები (გაში, წყალი, ელექტრობა, ტელეფონი)
5. იჯარა, შემოსავალი			16. ტრანსპორტი
6. პენსია (გადასახდის გადამხდელის)			17. დაზღვევა (სტეუხლის, ჯანმრთელობის, სახლის, მანქანის)
7. პენსია (მუდლის)			18. სამდიცინო (ხარჯები, ორმდეტიკე აბ შეფუბიბი აბ V.17)
8. დასტარება შუილსე			19. სხვა ხარჯები (ხამოთეკური)
9. აღმრეტიები			
10. სხვა სახის შემოსავალი (ხამოთეკური)			
11. შემოსავლების ჯამი			20. მთლიანი ხარჯები (მხოლოდ სეგადიხასადი აღმხრეტირეტიებისთვის)
			21. წმინდა სხვაობა (მხოლოდ სეგადიხასადი დეგაბტეტირეტიებისთვის)
დადასტურება: გადასტურება, რომ ინფორმეტიკია ატეტიების, ასიბეებისა და სხვა მომსახურეობის შესახებ არის ქეშნარეტი და სრული, და გაქტობიბეტი, რომ ინფორმეტიკიის დაბახანგების მხიხევაში დევიტეტი, აბორმეტიკიბიბიბი ბათეკელსტრეტიკიბიბი ჯარიბის გადასტელი.			22. ხელმოწევა
			23. თარიღი
24. დაბატეტიბი ინფორმეტიკია ან კომეტიკეტი			
25. სეგადიხასადი ინსტრეტიკიონის ჯგარი			26. თარიღი



## თავი თ. აშშ-მად ამოუღებელი დავალიანებები

ამ გაცეთილში განვიხილავთ (1) იმ წინადადებებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო საგადასახლო დეპარტამენტმა წარადგინა ბუიჯეტის და სახელმწიფო ფონდის ვადავალცილებული დავალიანებების სამთავრობო საინვენტარიზაციო კომისიას 1999 წლის ივნისში. ამ წინადადებების მიზანია მოხდეს საგადასახლო დავალიანებების იმ ნაწილის მოღარი ან ნაწილობრივი ჩამოწერა, რომლებიც ითვლება უიმელო ვალებად.

(2) განვიხილავთ იმ პროცესებს, რომლებიც საჭიროა რომ დავალიანება აღიარებული იქნას ამჟამად ამოუღებლად ან რომელთა მიმართ მიმდინარე ღონისძიებები არ უნდა ტარდებოდეს ახლო მომავალში, თუ აღმინისტრაციულ ხელისუფლებას მინიჭებული ექნება ეს უფლება.

1. წინადადებები უიმელო ვალების ლიკვიდაციაზე.

დანართი 1 ვახლავთ სახელმწიფო საინვენტარიზაციო კომისიისთვის გავზენილი წერილი საგადასახლო დეპარტამენტის ხელმოწერით. წერილში შეტანილია წინადადება რომ უიმელო ვალები სამ კატეგორიად დაიყოს, რათა მოხდეს მათი ჩამოწერა. ზოგიერთი შემთხვევა მოითხოვს ცვლილებებს საგადასახლო კოდექსში.

დანართი 1 ყურადღები უნდა წაიკითხოთ. მოუხედავად იმისა, რომ ეს წინადადებები ჯერ არ არის დამტკიცებული, ისინი შეტანილია სემინარების კურსში, რადგან მათში გადმოცემულია ის ცნობები, რომლებიც ფიქრობთ, წარდგენამდე ან უახლოეს მომავალში უნდა იყოს დამტკიცებული.

ინფორმაცია აშშ-მად ამოუღებელი დავალიანებების შესახებ:

2. ამჟამად ამოუღებელ დავალიანებასთან დაკავშირებული პროცედურები. ზოგჯერ საგადასახლო ინსპექტორი დავალიანების ამოღების პროცესში ადგენს, რომ მათი ამოღება უკვე შეუძლებელია. ამ საკითხს მამნივე უნდა ყურადღების მიქცევა, რომ შევინარჯონთ გადასახადის წყარო. იქ, სადაც ამოღების შემდგომი ღონისძიებები უნაყოფოა, ანგარიშები აღიარებული უნდა იქნას როგორც არაკატორი ანუ დროში გაჭიბული. ამას ეუწოდებთ ამჟამად ამოუღებელ დავალიანებას.

ამ სტატუსის მინიჭება არ ცვლის დარიცხულ გადასახადს. ის მხოლოდ აჩვენებს ამოღებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. დავალიანების ადგენა და ღონისძიებების დაწყება შესაძლოა ნებისმიერ დროს. ამჟამად ამოუღებელი დავალიანებების სტატუსი ყველაზე ლოგიკური და ეფექტური გზა ასეთი ანგარიშების გადახდის უზრუნველსაყოფად. ეს სტატუსი არ მოითხოვს ცვლილებებს საგადასახლო კოდექსში. ეს არის აღმინისტრაციული ღონისძიება, რომელიც ქმნის ასეთი ტიპის დავალიანებების ანგარიშებს. ეს საშუალებას იძლევა განეახლებოთ ამოღების შესაძლო და შეუძლებელი შემთხვევები და ყურადღება გაეამახვილოთ იმაზე, სადანაც მიუღებთ შედეგს. ის ასევე კარგი გზა იმის გასარკვევად, თუ იმ დროისთვის რამდენი ამოუღებელი დავალიანება არსებობს დეპარტამენტში და რაიონულ ინსპექციებში.

ამასთანავე შემდგენიარად უნდა მოხდეს მიმდინარე დავალიანებების ინვენტარიზაცია: 1. ღიდი  
დავალიანება

2. საშუალო დავალიანება

3. მცინვე დავალიანება

4. ამჟამად ამოუღებელი, რადგან მოცემული დროისათვის გადახდის უუნაროა, ან არ ხერხდება ადგილსაყოფელის დადგენა.

მესამე და მეოთხე კატეგორიებისთვის შემუშავებული პროცედურები იხილეთ ქვემოთ.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ინსპექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საგადასახადო დავალიანება განეკუთვნება კატეგორიას - საგადასახადო დავალიანება რომელიც არ სჭირდება დაუყოვნებელი ზომების მიღებას, მან უნდა შეავსოს ფორმა, რომელსაც ეწოდება: ანგარიში საგადასახადო დავალიანების შესახებ, რომელიც არ სჭირდება დაუყოვნებელი ზომების მიღებას. (იხ. დანართი №2). დოკუმენტის შევსების დროს დაიცავით შემდეგი წესები:

1. შეიტანეთ ყველა ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება ზუსტად, სათითაოდ განყოფილებაში - "ვადაგადაცილებული დავალიანების აღწერა". აგრეთვე ჩაწერეთ გადასახადის ტიპი (დღგ, სამუშაო), საანგარიშო პერიოდი და ნაშთი. მრუთით შესაბამის განყოფილებაში.  
"მიზეზი (მიზეზები) თუ რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, დავალიანება მიგეკუთვნებინათ ამ კატეგორიისთვის".
3. აუცილებლად შეავსეთ "სავალდებულო გაგრძელების" განყოფილება. ეს საშუალებას გაძლევს, შესაბამისი აღჭურვილობის პირობებში, მოხდეს ვადაგადაცილებული დავალიანების ფაქტის ავტომატური განახლება თარიღის შესაბამისად, და ამ გზით თავიდან აცილებული იქნას ფუჭი საქმიანობა.  
ხელი მოაწერეთ და დაათარიღეთ ფორმა "შემგების ხელმოწერის" გრაფაში, და დავალიანების დოსე წარუდგინეთ ხელმძღვანელს შემდგომი განხილვისა და დამოწმებისთვის (დამტკიცებისთვის).

ხელმძღვანელმა ფორმაზე ხელი უნდა მოაწეროს და თარიღი უნდა დაუხვას გრაფაში - "ხელმოწერა / რეზოლუციის დამტკიცების თანამდებობა". იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი არ დაეთანხმება წარმოდგენილ რეკომენდაციებს, მან შეესებულები ფორმა უნდა დაუბრუნოს საგადასახადო ინსპექტორს და წარმოადგინოს თავისი მოსაზრება, თუ რა თვალსაზრისით არ ღიანხმება ინსპექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

სანამ დავალიანებას ასღზმ-ის კატეგორიას მიეკუთვნებთ, აუცილებელია ამ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის დამტკიცება შესაბამისი დოკუმენტაციითა. აღწნული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს დავალიანების ამოღების ისტორიას, და უმეტეს შემთხვევებში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე გვაქვს დასაშვებ დავალიანებასთან, ან როდესაც შეუძლებელია ფიზიკური/ოურიდული პირის პონვა) ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღებისთვის სჭირბო ინფორმაციის დოკუმენტს (ვდასი). საგადასახადო ინსპექტორმა უნდა შეავსოს ფორმა, რომელშიც მოკლედ აღწერს დავალიანების ამოღების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, და დაურთავს ასღზმ-ის შეესებულ ფორმას. ამაში შეიძლება შედიოდეს ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის აღმოსაჩენად მიღებული ზომებისა და აგრეთვე სხვა ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია რომელიც შეტანილი გაქვთ დავალიანების ამოღების ისტორიაში.

არსებობს საგადასახადო დავალიანების სამი კატეგორია, რომლებიც არ სჭირბოებენ დაუყოვნებელი ზომების მიღებას მათ ამოსაღებად: (1) დასაშვები შემთხვევა; (2) შემთხვევები, როდესაც ეკრ ხერდება დავალიანების გადახდა; (3) შემთხვევები, როდესაც ეკრ ხერხდება დავალიანების მქონე იურიდიული/ფიზიკური პირის პონვა. იმისათვის რომ თავი გაეარათათ თვითონეული ამ შემთხვევის მოგვარებას, უნდა ეიმოქმედოთ შემდეგი პროცედურების დაცვით.

## 1. დასაშვები შემთხვევები

- 1.1 ვადაგადაცილებული დავალიანების ოდენობა, რომელიც არ აჭარბებს ლარის წინასწარ განსაზღვრულ ოდენობას, უნდა ჩაითვალოს შემთხვევად, რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას, მას შემდეგ, რაც პირველი ანგარიში გადაეგზავნება გადამხდელს. ლარის დასაშვები, განსაზღვრული ოდენობა უნდა დაადგინოს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ არსებულ ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით (ძირითადად აქ იგულისხმება (მოიხარება) თანხა, რომელშიც ამოსაღები ლარის ოდენობა ბევრად აჭარბებს უკვე ამოღებული ლარის ოდენობას). დასაშვები დავალიანების ზღვარის გადასინჯვა საჭიროა მინიმუმ წელიწადში ერთხელ. იმისათვის რათა ვიქონიოთ იმის გარანტია, რომ მომდინარე რესურსებისა და ფინანსური მდგომარეობა ძლიერ არ შეცვლილა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ამ სფეროში ადგილი აქვს მდგომარეობის ცვლილებას, დაარეულიყო ვადაგადაცილებული დავალიანების დასაშვები ზღვარი. ძირითადად, ყოველი ასეთი გადასინჯვის დროს, დასაშვები ზღვარი იზრდება.
- 1.2 მოამზადეთ განსაზღვრული დასაშვები ზღვარის ქვემოთ არსებული ვადაგადაცილებული დავალიანებების კომპიუტერული სია. სია დაასტატურეთ სიტყვით დასშვები, დაუსეთ თარიღი და მოაწერეთ ხელი.
- 1.3 სია დასამტკიცებლად წარუდგინეთ განყოფილების უფროსს. განყოფილების ხელმძღვანელი განიხილავს სიას რათა დაარწმუნდეს, რომ მოყვანილი საგადასახადო დავალიანებები არ აჭარბებენ დადგენილ დასაშვებ ზღვარს, შემდგომ დაამოწმებს სიას თავისი ხელმოწერით და შესაბამისი თარიღის დასმით.
- 1.4 შემდეგ, აღნიშნულ საგადასახადო დავალიანებებს მიენიჭებათ სტატუსი არა აქტიური (დეპაზიტური), ანუ კატეგორია, რომელიც არ მოითხოვს დაუყოვნებელი ზომების მიღებას.
- 1.5 ეს ანგარიშები უნდა მოიხსნას აქტიური ვადაგადაცილებული დავალიანებების სიიდან და უნდა მოთავსდეს ცალკე მონაცემთა ბაზაში, რათა მოხდეს ამ ანგარიშების მონიტორინგი. ამ ფაილს ეწოდება დასაშვები ოდენობის დავალიანებათა ფაილი.
- 1.6 დასაშვები ოდენობის დავალიანებების ანგარიში შეიძლება გაიხსნას თავიდან, თუ დადგინდება სხვა საგადასახადო დავალიანება და ამ გზით გადასახადის გადამხდელის საერთო დავალიანების ოდენობა გაიზრდება და გადააჭარბებს დადგენილ დასაშვებ ზღვარს. აგრეთვე დასაშვები დავალიანებების ანგარიში შეიძლება გაიხსნას თავიდან, ამ ანგარიშის სრულად დაფარვისთვის საკმარისი გადასახადის ან კრედიტის მიღების შემთხვევაში.

## 2. შემთხვევები როდესაც პერ ხმარდება ბალანსა

- 2.1 საგადასახადო ინსპექტორი შემოწმების პროცესში განსაზღვრავს, რომ დავალიანებას ამოღების მიზნით ლონისძიებების შემდგომმა გაგრძელებამ შეიძლება გადასახადის გადამხდელი ჩაყინოს მეტად მძიმე მდგომარეობაში. ასეთი შემთხვევაც უნდა დაფიქსირდეს როგორც შემთხვევა, რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას. ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნებოდეს ის შემთხვევებიც, როდესაც დარჩენილია აქტივის ძალიან მცირე რაოდენობა, მაგრამ მათი დაყვადრებისა და გაყვადრების ხარჯება არაკონომიურია.
- 2.2 ინსპექტორმა უნდა დაამოწმოს, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღებისთვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტში შეტანილი ფინანსური ინფორმაცია ზუსტია. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამგვარებს იმ პოზიციას, რომ იმ ეტაპზე გადასახადის გადამხდელს არ ძალუძს ნარჩენების გადახდა.
- 2.3 უნდა მოხდეს შემოწმების პროცესში აღრიცხული, დაყვადრებას დაქვემდებარებული აქტივების დაყვადრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლეტალურად უნდა იქნას აღწერილი ის მიზეზები, რის გამოც არ განხორციელდა აღნიშნული აქტი. მანამ სანამ შემთხვევას არ მიაკუთვნებენ კატეგორიას, რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას.



- 2.4 საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ უნდა დაადგინოს ლარის მისაღები ბალანსის ის ზღვარი, რომლის ზემოთაც აუცილებელია ფინანსური ინფორმაციის სრულყოფილი შესწავლა. ეს შემოწმება უნდა მოიცავდეს შემდეგს:
- 2.4.1 გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლოს შეესრულებული საგადასახადო დეკლარაციის გადასინჯვა.
  - 2.4.2 ადგილობრივი ქონებისა (მიწა) და საჯარო რეესტრის შემოწმება.
  - 2.4.3 საჭიროების შემთხვევაში (შემოწმების საჭიროება დამოკიდებულია ინსპექტორის ნდობის ფაქტორზე, გადასახადის გადამხდელის მიმართ) უნდა შემოწმდეს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან, ხელფასებიდან, და ა.შ.
  - 2.4.4 მოიძიოს ავტომობილის სარეგისტრაციო ინფორმაცია, რათა შემოწმდეს თუ რამდენად სწორია გადასახადის გადამხდელის მიერ დოკუმენტებში აღნიშნული ავტომობილის ღირებულება.
- 2.5 თუ გადასახადის გადამხდელის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მისი ანგარიშს უნდა მოეხსნას არა აქტიურის სტატუსი და უნდა განახლდეს მისი საგადასახადო დაავალიანების ამოღება. როდესაც დაიწყება ამ შემთხვევების განახლების პროცესი, ძალიან მნიშვნელოვანია ანგარიშების დეტალური განხილვა, რათა განისაზღვროს, თუ კერძოდ რა შეიქცალა გადასახადის გადამხდელის ფინანსურ მდგომარეობაში. ძირითადად, ერთი წელი სჭირდება ამ საქმეების განახლებას და ახალი გადაგადაცემული დაავალიანების ამოღებისთვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტის შეესებას.
- 2.6 თუ გადასახადის გადამხდელი გარდაიცვალა და არ დარჩა აქტივი, ასეთი შემთხვევა მტკიცებდა იმ შემთხვევების კატეგორიას, რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას. გადასახადის გადამხდელის გარდაცვალების ოფიციალური დადასტურება მოპოვებული უნდა იქნას საჯარო რეესტრიდან და ცნობა უნდა დაერთოს გადამხდელის სახელზე შემიღ საქმეს.
3. **ვერ ხეივანდება დამალიანების შიშვენი იურიდიული/შიზიპური პირის პრინცი**
- 3.1 თუ ძალისხმევა გადასახადის გადამხდელის პოვნისა წარმატებულია, ეს შემთხვევა მოთავსდება კატეგორიაში, რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას.
  - 3.2 სანამ შემთხვევას მიენიჭება კატეგორია, რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას (იშის გამო, რომ ვერ მოხერხდა გადასახადის გადამხდელის პოვნა), აუცილებელია შემდეგი, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მხედველობაში მიღება (გათვალისწინება):
    - 3.2.1 შემოწმეთ საგადასახადო და სხვა შიდა ანგარიშები, ისეთი როგორცაა გადამხდელის საქმე (მანამდე) ადრე დახურული საგადასახადო დაავალიანების ანგარიშის შესახებ.
    - 3.2.2 გადაამოწმეთ ფოსტაში ფაქტი, რომ გადასახადის გადამხდელმა არ დატოვა თავისი საკონტაქტო მისამართი
    - 3.2.3 ჩატარეთ გამოძიება გადასახადის გადამხდელის ყოფილი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, გამოკითხეთ მისი მეზობლები, მისი სახლის მეპატრონე, მეგობრები, შესაძლებელია მათ მოგაწოდონ სათანადო ინფორმაცია გადამხდელის ადგილსამყოფელის შესახებ.
    - 3.2.4 მოიკვლიეთ გადაჭრა თუ არა საზღვარი, აღრიცხულია თუ არა პოლიციაში ან სხვა ზომები გადასახადის ადგილსამყოფელის დასადგენად.
    - 3.2.5 გადაამოწმეთ საჯარო ასოციაციებსა და მსგავს დაწესებულებებთან, იმდენად რამდენადაც, ხშირ შემთხვევებში ისინი ელოდებიან ინფორმაციას კლიენტის ადგილსამყოფელის შესახებ
    - 3.2.6 გადაამოწმეთ კომუნალური მომსახურების კომპანიები ისეთი როგორცაა გაზი, ელექტროენერჯია, შესაძლოა მათ მოეპოვებოდეთ ინფორმაცია გადამხდელის რეალური ადგილსამყოფელის შესახებ.

3.3 თუ მოგვიანებით შესაძლებელი გახდება გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის დადგენა, საგადასახადო დავალიანებას უნდა მოეხსნას არა აქტიურის სტატუსი და საგადასახადო დავალიანების ამოღების პროცესი უნდა განახლდეს.

### დასკვნა

დროებით შეჩერებული ან არააქტიური სტატუსისა და დავალიანებები რომლებიც არ საჭიროებენ დაუყოვნებელი ზომების მიღებას - კატეგორიის მინიჭების მეთოდი არის დავალიანებების ამოღების მოქნილი პროგრამის განუყოფელი ნაწილი. ეს საშუალებას აძლევს დავალიანების ამოღებაზე მომუშავე საგადასახადო ინსპექტორებსა და მათ ხელმძღვანელებს თავი გაართვან მოზღვაებულ საქმეებს, ისეთი დავალიანებების შემთხვევების გაუქმებით, რომლის ამოღებაზე მუშაობასაც შედეგი არ მოაქვს. ინსპექტორებს შესაძლებლობა ეძლევათ მთელი ყურადღება მიმართონ ყველაზე უფრო პრიორიტეტულსა და მსხვილი შემოსავლების შემთხვევებზე. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დროებით შეჩერებული შემთხვევებიდან არ მოხერხდება საგადასახადო შემოსავლების ამოღება, ამ აღმინისტრაციულ დონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რათა დავალიანების ამოღების პროცესში, მწირი კაღრების პირობებში მოხდეს საშუაო ძალის დაზოგვა. ამ ანგარიშების პერიოდული გადასინჯვა ხელს უწყობს ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემების გაანალიზებას და იმ ცვლილებების გამოკვეთას, რომლის შეტანაც სამომავლოდ საჭირო შეიქმნება საგადასახადო კოდექსში. ეს ძიებები აგრეთვე წაგვადგება სამომავლოდ დავალიანებების ამოღებისთვის საჭირო ახალი მეთოდების შემუშავებაში

**წინადადებაები უიმიდოო ვალდების ჩაქოფების შესახებ**

ბნ მიხეილ ჩაკვილაძეს,  
საქართველოს სახელმწიფო  
სავადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ასლები ეგ ზენებათ ბატონებს:  
ამირან თავართვილაძეს;  
ნუგზარ ქავთარაძეს;  
ასიე ზაუტაშვილს;  
პიტერ მიურს;  
ჯეფერი მაინოტს;

ბატონო მიხეილ,

ბატონი ნუგზარ ქავთარიძის და მისი თანამშრომლების დახმარებით, შვეიშუშავეთ რჩევები, რომლებიც ეფიქრობთ, საშუალებას მოგეცემს შევამციროთ ვადაგადაცილებული დავალიანებების, რომლებიც ითვლება უიმედო ვალებად, არსებული ოდენობა.

გიგზანით საქართველოს ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების ვადაგადაცილებული დავალიანებათა სახელმწიფო საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მიმართ გასაგზავნი წერილის საშუაო ვერსიას, რომელშიც მოცემულია ჩვენი რჩევები.

ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუ თქვენ და თქვენი თანამშრომლები გამონახავთ საშუალებას და შეგებდებით ბნ. პიტერ მიურს, ჯეფერი მაინოტს და მე ოთხშაბათს, 2 ივნისს, ნებისმიერ დროს. შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ტელეფონებზე: 25-01-96; 25-01-97; 8-99-56-12-61;

პატივისცემით,  
არტურო ვეიკობსი

მრჩეველი ვადაგადაცილებული  
დავალიანებების ამოღების სფეროში

ბიუჯეტის და სახელმწიფო ფონდების ვადაგადაცილებული დავალიანების საინვენტარიზაციო, სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს

ბატონო ვაჟა,

საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი უპირჩილესად ვთხოვთ, ბიუჯეტის და სახელმწიფო ფონდების ვადაგადაცილებული დავალიანების საინვენტარიზაციო სამთავრობო კომისიამ განიხილოს ამ წერილში და დანართებში ჩამოყალიბებული ჩვენი წინადადებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მოლიანად ან ნაწილობრივ ჩამოეწეროთ უიშელო ვალები.

რაც შეეხება წინადადებებს იმ ვალებთან დაკავშირებით, რომელთა ამოღებაც შესაძლებელია, ცალკე წარუდგენთ სამთავრობო საინვენტარიზაციო კომისიას. ეს წინადადებები ეხება ქონების დაყადების და მისი გაყიდვის პროცესს ვალების დაფარვის მიზნით; გაკოტრების შექმნის გაუმჯობესებას და ა. შ. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის, 20 მარტის, №110 ბრძანებულების ფარგლებში.

უიშელო ვალების ანგარიშები ჩვენ დაეყავით სამ ძირითად კატეგორიად. უიშელო ვალების უდიდესი ნაწილი მოთავსდა ორ კატეგორიაში. ჩვენი მოსაზრება, თუ რატომ განეკუთვნება ეს ანგარიშები უიშელო ვალებს, გამყარებულია ლოკუმენტაციით, რაც იძლევა გადაწყვეტილების გამჭვირვალების საშუალებას. უმრავლეს შემთხვევაში ეს ლოკუმენტაცია წარმოადგენს ვადაგადაცილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო ინფორმაციის ლოკუმენტს (ვდასი). რომელშიც აღირიცხება გადასახადის გადამხდელის აქტივები და პასივები (ან მათი არ არსებობა), რაც დასტურდება გადამხდელის ხელისმოწერით, რომელიც ინფორმირებულია, რომ ფაქტების დამაბინჯება ისევეა კანონით გათვალისწინებული ჯარიმებით. ამ წერილს თან ერთვის ვდასის ნიმუშები, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის.

**ვადაგადაცილებული დავალიანებების სამი კატეგორია:**

- ~~პირველი კატეგორია ამ კატეგორიაში განეკუთვნება დავალიანებები რომელთა მიმართ შესაძლოა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. ეს არის ანგარიშები, რომელთა ნაწილის ამოღებაც სახელმწიფო და სოციალური ფონდებისათვის შესაძლოდ ითვლება, მაგრამ უიშელოა მთლიანი თანხის ამოღება. გადამხდელის თხოვნას, მოხდეს დავალიანების კომპრომისი მთელი დარიცხული თანხის ნაცვლად მხოლოდ ნაწილის გადახდის საფუძველზე, მხარს უნდა უჭერდეს საგადასახადო ინსპექტორი შეესხული ვდასის ლოკუმენტის ანალიზიდან გამომდინარე. ეს წინადადება განსახილველად უნდა გადაეცეს საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. თუ ჩაითვლება, რომ კომპრომისული წინადადება მისაღება, უთანხმება სახელმწიფო ინტერესებს და მისი გატარება დამტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ, დარიცხული გადაუხდელი გადასახადის ნაწილი საშუალოდ ჩამოიწერება.~~

ასეთი კომპრომისული წინადადება შესანიშნავი ალტერნატივაა, როგორც გადამხდელისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის, იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს დავალიანება არის 2 მილიონი ლარი და საწარმოს სასხრები არ აღემატება მისსავე ვალებზე გადახდას ან აღემატება მაღალ მცირე თანხით. ყოველთვიური დანაოიხები პროცენტების და ჯარიმების სახით აღემატება იმ თანხას, რომლის გადახდაც შეუძლია გადამხდელს; შედეგი კი არის ის, რომ დავალიანება იზრდება ყოველთვიურად. ამ დროს დაეუშვათ, რომ გადამხდელს შეუძლია გამოიხადოს 1 მილიონი ლარის ოდენობის თანხა (ისესხოს და ა.შ.) და მზად არის გადაიხადოს, თუ მას ეპატიება დარჩენილი 1 მილიონი ლარი. ასეთი წინადადება უნდა

ჩათვალოს სახელმწიფო ინტერესებისათვის მისაღებად და დამტკიცებული უნდა იქნას. უნდა მოხდეს დარჩენილი 1 მილიონის საშუალო ჩამოწერა და დავლიანების ბალანსიდან მისი მოხსნა.

დღეს დღევანდით არსებობს ამ კატეგორიისათვის შესაფერისი რამოდენიმე დიდი დავლიანების ანგარიში, როგორც მსხვილ გადამხდელთა, ასევე რაიონულ ინსპექციებში.

ქვემოთ ჩამოთვლილია წინადადებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 250-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს ცვლილებები ეხება საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის ხელშეწყობის უფლებამოსილებას გადაგადაცილებული დავლიანების შესახებ კომპრომისული წინადადების მიღებასთან ან უარყოფასთან დაკავშირებით.

- მეორე კატეგორია ვადაგადაცილებული დავლიანების ანგარიშები, რომელთა საშუალოდ ჩამოწერა უნდა განხორციელდეს მთლიანი ოდენობით. ეს ის ანგარიშებია, სადაც ჩვენი რწმენით ოდესმე ამოღების არანაირი იმედი არ არსებობს. უნდა მოხდეს ასეთი ანგარიშების ჩამოწერა აღდგენის უფლების გარეშე. ასეთი ანგარიშების მაგალითად გამოდგება ყოფილი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობის ვადაგადაცილებულ დავლიანებათა ანგარიშები. აპრილში ჩვენ წარმოვიდგინეთ 68 ასეთი საწარმო, რომელთა საბიუჯეტო დავლიანების მთლიანი თანხა დაახლოებით 1. 100 000 ლარია, ხოლო სოციალური ფონდის-303 000 ლარი.

ასეთივე მიდგომა უნდა განხორციელდეს იმ საწარმოების მიმართ, რომლებმაც შეწყვიტეს ფუნქციონირება სულ მცირე ორი წლის წინ. აპრილში წარმოვიდგინეთ 303 ასეთი საწარმო, რომელთა მთლიანი საბიუჯეტო დავლიანება უდრის 398 000 ლარს, და სოციალური ფონდის დავლიანება 23. 500 ლარი.

ამ დროს ხდება მთელი თანხის ჩამოწერა და მისი მოხსნა ვადაგადაცილებული დავლიანების ანგარიშთან.

ვინაიდან ეს იქნება მთლიანი თანხის საშუალო ჩამოწერა, შედგენილია ასეთი დავლიანების მიმდინარე ბალანსი. სადაც შეტანილია "გარდამავალი პერიოდის საწარმოები", რომლებიც არსებობდნენ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებამდე და შეწყვიტეს არსებობა. ჩვენი წინადადებაა, მიეცეს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლებამოსილება მოახდინოს ასეთი დავლიანების ერთდროული ჩამოწერა, რაც შეიძლება სწრაფად, რაც არ მოითხოვს ცვლილებას საგადასახადო კოდექსში.

- მესამე კატეგორია ამ დროისთვის ამოუღებელი დავლიანების ანგარიშები. იმ მოკვლევის განმავლობაში, რომელსაც საგადასახადო ინსპექტორი აწარმოებს ვადაგადაცილებული დავლიანების ამოღებასთან დაკავშირებით, შესაძლოა გამოირკვას, რომ მოცემული პერიოდისათვის დავლიანების ამოღება შეუძლებელია, ვინაიდან: ეერ ღვინდება გადამხდელის (ფიზიკური ან იურიდიული პირი) ადგილმდებარეობა- "ადგილმდებარეობა უცნობია"; მოცემულ პერიოდში მისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ეერ ახერხებს გადახდას- "გადახდის უუნარო"; გაიარა გაკოტრების პროცედურა- "გაკოტრებული"; გარდაცვლილი ფიზიკური პირი- "გარდაცვლილი".

იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ უმედეგო მცდელობები და მუდმივი ანგარიშგება ვადაგადაცილებული დავლიანების ანგარიშების შესახებ, ჩვენი თხოვნაა მიეცეს საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას უფლებამოსილება ასეთი დავლიანება გამოაცხადონ "დროებით ამოუღებელ დავლიანებად", შეწყდეს მათ მიმართ დავლიანების ამოღების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და მიენიჭოს "შეჩერებულის სტატუსი".

გადაწყვეტილება 'დროებით ამოუღებელი დავალიანების" შესახებ გამაგრებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით, როგორცაა ვდასი, ყოველთვის, როცა საქმე გვექნება "გადახდის უუნარობასთან" და შეძლებისდაგვარად "გაკორტებულ" და "გარდაცვლილ" კატეგორიებთან. ასევე საჭიროა ყველა გატარებული ღონისძიების აღწერა, როცა საქმე გვაქვს კატეგორიასთან "ადგილმდებარეობა უცნობია". დამატებით, ზოგიერთ შემთხვევებში, გადამხდელს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება გადახდევინების მიქცევის შესახებ, საგადასახადო კოდექსი, მუხლი 245, ხოლო შეტყობინების ასლი გადაეგზავნოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ვიდრე ანგარიში გამოცხადდება დროებით ამოუღებლად. ეს საჭიროა სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით.

დავალიანების დროებით ამოუღებლად გამოცხადება არ ნიშნავს დარიცხული გადასახდის ჩამოწერას. ეს ნიშნავს ამოღების მიმდინარე ძალისხმევის შეწყვეტას. როგორც კი სათანადო პერიოდი გაივლის, კვლავ განახლდება ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, როგორც აღნიშნულია საგადასახადო კოდექსის 237 მუხლში. "გადახდის უუნარობის" შემთხვევაში კომპიუტერის საშუალებით უნდა ტარდებოდეს პერიოდული მონიტორინგი მსხვილ გადამხდელთა და რაიონული ინსპექციების გადასახადების ამოღების განყოფილებების მიერ, რათა საგადასახადო ინსპექტორს საშუალება მიეცეს თვალყური ადევნოს და გადააფასოს შენარჩუნის გადახდისუუნარიანობა.

დროებით ამოუღებელი გადასახადების ოდენობა იხსნება დავალიანებების მოქმედი ანგარიშიდან და ხდება მათი ყოველთვიური განახლება-გადამოწმება როგორც რაიონულ და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციებში ასევე საგადასახადო დეპარტამენტში.

ამ ცვლილებების შეტანით საგადასახადო დეპარტამენტის ზელმძღვანელობას უფლება ენიჭება მიიღოს გადაწყვეტილება დროებით ამოუღებელ დავალიანებად გამოცხადების შესახებ. ასევე, მოცემულია ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ამოუღებელის სტატუსის მინიჭება.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ეიმოქმედოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინადადებების თანახმად, საგადასახადო დეპარტამენტს მიენიჭება უფლებამოსილება განსაზღვროს ამოუღებელი ვადაგადაცილებული დავალიანებების რეალური ოდენობა და სათანადო, გამჭვირვალე დოკუმენტების საფუძველზე ჩამოწეროს დიდი რაოდენობით ნარჩენები, რომელთა ამოღებაც ნამდვილად შეუძლებელია.

პატივისცემით,

მიხეილ ჩიკვილაძე

საქართველოს სახელმწიფო  
საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე

1 ივნისი, 1999 წელი

საგადასახადო დაკლავიანებები, რომლებიც არ საქმიანობენ დაჯერებულ ზომების მიღებას			
გადამხდელის სახელი და მისამართი:			გადამხდელის საინდივიდუალური №
დაკლავიანების აღწერა			ტიპი (თერიდოლოგი/ფიზიკური პირი)
გადასახდის ტიპი	საგადასახადო პერიოდი	ახდენს ბალანსი	<p>აქვამს შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ შეუსდია გადახდა</li> <li>• ვერ დადგინდა ადგილსამყოფელი</li> <li>• გაკოტრება</li> <li>• არ ეწყვეა ეკონომიკურ საქმიანობას</li> </ul>
დაკლავიანების ჯამი			
საკლავიანებო შეესება			
მიღებული ზომები:	თარიღი	შეესებულია	<p>შემოწმებული ლოკუენტები/წყაროები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დირექტორიები</li> <li>• ყოფილი თანამშრომლები</li> <li>• დახურული ფაილები</li> <li>• ფოსტატელეგრაფი</li> <li>• მეზობლები</li> <li>• სკოლები</li> <li>• პოლიცია</li> <li>• ქონება</li> <li>• საგადასახადო ანგარიშები</li> <li>• სხვა</li> </ul>
ხელმოწერა:	შესაბამისი ხელმძღვანელის ხელმოწერა და თანამდებობა:		
თარიღი:	თარიღი:		

# თავი ი. ვადგადაცინილებული დავალიანებების ამოღების სხვა საშუალებები

## 1. შესავალი

წინა რვა გაკვეთილი ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მეთოდებს დაეთუთა და ასევე მიმოვიხილეთ როგორი სიტუაციაა ამჟამად საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტში და გაეცალოთ პარალელური მსოფლიოს საგადასახადო ორგანიზაციებთან; განვიხილოთ ფუნქციური ორგანიზაციის საკითხი და როგორ მოვაგვაროთ დავალიანებების ამოღების პრობლემა საქართველოში. ასევე ვავეცანით ერთ-ერთ ისეთ მეთოდს, როგორც არის ვდასის გამოყენება. ასევე განვიხილოთ უმოდო ვალების შემთხვევები და ისეთი დავალიანებები, რომელთა ამოღებაც არ ხერხდება მიმდინარე ეტაპზე. მოდით ახლა განვიხილოთ დავალიანებების ამოღების რამდენიმე მეთოდი, რომელსაც იყენებენ საერთაშორისო დავადასახადო ორგანიზაციებში. ზოგიერთ მათგანის განხორციელება მოითხოვს საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას. მიგვაჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა ამ მეთოდების სემინარზე განხილვა.

## 2. ბაშქრქასების უწყებები

საგადასახადო კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულების მიზნით, აუცილებელია, რომ საგადასახადო ადმინისტრაცია აღიჭურვოს უფლებამოსილებით, რათა მოთხოვოს ვადასახადების ვადაშდლებს და/ან შესაე მზარებს იმ ინფორმაციის წარდგენა, რაც მას ესაჭიროება თავისი მოვალეობების შესასრულებლად. ეს უფლებამოსილება საგადასახადო ადმინისტრაციას ენიჭება *პროგრესის რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის 517-ე ნაწილით*.

გამოძახების უწყება წარმოადგენს კანონიერ შეტყობინებას, რომლითაც მოითხოვება მტკიცებულების და/ან დოკუმენტების წარდგენა. იგი აგრეთვე ითვალისწინებს სანქციებს ინსტრუქციებში აღნიშნული ვადადებულების შესრულებლობის შემთხვევებისათვის. გამოძახების უწყება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ ვარშობაში, როდესაც საჭირო ინფორმაცია ან დოკუმენტი გამოძიების პროცესში მყოფი კერძო თუ იურიდიული პირის საგადასახადო საკითხების შესახებ, ნებაყოფლობით არ წარდგინება საგადასახადო ადმინისტრაციას იმ ვადაშდლის ან შესაე მზარის მიერ, რომელიც ფლობს ამგვარ ინფორმაციას (იხ. დანართი ი-1).

### 2.1 გამოძახების მიზანი

გამოძახების უწყების მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვება. იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვადაშდლის ან სხვა პირის იძულებისათვის, რომ წარმოადგინოს აქტივები. საგადასახადო ადმინისტრაციაში მისი ზოგადი მიზნებია:

- საგადასახადო დეკლარაციის მოშაადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოთხოვნა;
- ინფორმაციის შემოწმება;
- ვადაშდლის ვადადებულების განსაზღვრა საგადასახადო კანონმდებლობის მიხვეით დავდენილი ნებისმიერი ვადასახადის მიმართ;
- იმ აქტივების არსებობის ან ავგილმდებარეობის დავდენა. რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო დავალიანების ამოსაღებად.



გამოძახებას უწყებთ არ უნდა მოითხოვებოდეს, რომ მოწმემ მოიძიქმდოს სხვა რამ, გარდა დადგენილ დღესა და დროს გამოცხადებისა ჩვენების მისაცემად, ან სახელალტრო წიგნების, ჩანაწერების, დოკუმენტებისა თუ სხვა მასალების წარდგენისა.

გამოძახების უწყებით არ შეიძლება მოითხოვებოდეს, რომ მოწმემ მოაშალოს ან შექმნას დოკუმენტები, მაგალითად - საგადასახადო დეკლარაცია, რომელიც ჯერ მზად არაა. საერთოდ, მიზანშეწონილია, რომ გამოძახების ასუსხად, გადამხდელმა წარადგინოს გადასახადების შეგროვების სრული საინფორმაციო განაცხადი ან საგადასახადო დაეალიანების დეკლარაცია. ამასთან, გამოკვლევების ჩამტარებელი თანამშრომელი უფლებამოსილია მოაშალოს, ან დახმარება გაუწიოს გადამხდელს აღნიშნული განაცხადების ან დეკლარაციების მოშადაებაში, რაც დაეუბუნება გამოძახების ასუსხად წარადგენილ ინფორმაციასა თუ ჩანაწერებს.

გამოძახების უწყების გაგზავნის მიზანშეწონილობის განსაზღვრის პროცესში, შეფასებას საკიროებს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი. მაგალითად, არსებობს თუ არა ინფორმაციის მიღების საშუალება უწყების გაგზავნის გარეშე. თითოეული შემთხვევა განხილულ უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. არანაირი „მძივე“ ან „სწაფი“ წესი არ შეიძლება დადგინდეს მოძიებული ინფორმაციის ღირებულების, ან რეალური ან პოტენციური საგადასახადო ვალდებულების სანაკვლად.

## 2.2 გამოძახების უწყების მოშადაება

საერთოდ, გამოძახების უწყება იესება მტკდავი-შემანქანის მიერ ან კომპიუტერული გზით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მისი მკაფიოდ აღქმა. უწყებაში რაიმე სავალდებულო პირობების არსებობის შემთხვევებში, იგი უნდა მოშადადეს საკმარისი დეტალიზებით, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაკვირვებით. ამგვარი დეტალიზება აუცილებელია უწყების ადრესატის სამართლებრივი ასუსხისმგებლობის დაფიქსირებისათვის.

- უწყებაში მიეთითება გამოძახებელი კერძო თუ იურიდიული პირი;
- უწყებაში აღინიშნება ის დამამტკიცებელი საბუთები, ჩანაწერები და/ან დოკუმენტები, რომლებიც მიზანშეწონილი რწმუნებებით იქნა მოძიებული;
- უწყებაში მიეთითება გამოძახების დრო და ადგილი;
- უწყება უნდა შეიცავდეს დამოწმებას, რომ იგი გაეგზავნა გამოძახების ადრესატს.

## 2.3 გამოძახების უწყების მოშადადების დეტალური აღწერა

გამოძახების უწყებების ჯეროვნად მოშადადაებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, გაეცანით ქვემოთ ჩამოთვლილ ინსტრუქციებს:

**2.3.1. მუხვი 1.** ამ ხაზზე მიეთითება გადამხდელის სრული დასახელება და მისამართი, როგორც წესი, ეს მონაცემები იდენტური უნდა იყოს გადამხდელის დეკლარაციაში ან სარეგისტრაციო ბარათში აღნიშნული მონაცემებისა. შემოკლებებს ნუ გამოიყენებთ.

თუ ასუსხისმგებლობა ეხება იურიდიულ პირს, მაშინ ამ ხაზზე მიეთითება იურიდიული პირის დასახელება და მისამართი. ხოლო, თუ ასუსხისმგებლობა ეხება სავაჭრო სახელით ან რაიმე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით არსებული გერტიანების მიერ წარმოებულ ბიზნესს, მაშინ აქ მიეთითება როგორც საქმიანობ(ებ)ის, ისე მასში დასაქმებული პირ(ებ)ის დასახელებები.

**2.3.2. მუხვი 2.** მეორე ხაზზე მიეთითება ადგილობრივი ოფისის დასახელება. ჩანაწერი სიტყვა „პერიოდები“-ს შემდეგ, უნდა მიეთითებდეს შესაბამის კალენდარულ წელს (საფინანსო წელს, კვარტალს, თვეს). მაგალითად, „კალენდარული წელი მთავრდება 1995 წლის 31 დეკემბერს“.

შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ნუ გამოიყენებთ შემოკლებებს, როგორცაა 12/31/1995.

**2.3.3. ხაზი 3.** ჩანაწერის „ვის —“ შემდეგ მიეთითება გამოძახებული პირის სრული სახელი. თუ რომელიმე პირისგან მოითხოვება მტკიცებულებების ან ჩანაწერების წარდგენა მისი პროფესიული მდგომარეობიდან გამომდინარე (მაგალითად, ნდობით აღჭურვილი პირი, საწარმო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ა.შ.), მაშინ ამ ხაზზე მიეთითება აგრეთვე პირის თანამდებობა ან ოფიციალური სტატუსი. მაგალითად, თუ გსურთ, რომ ჯონ დოი, კომპანია „ეი-ბი-სი“-ს უფლებამოსილმა თანამშრომელმა, წარადგინოს ჩანაწერები საწარმოს ეალღებულებებთან დაკავშირებით, უწყებაში მიეთითება, რომ იგი გამოძახებულია როგორც „ჯონ დოი, კომპანია „ეი-ბი-სი“-ს პრეზიდენტი“ და არა როგორც „ჯონ დოი“ ან „ჯონ დოი, პრეზიდენტი“.

თუ უწყება ეგზავნება საწარმოს, უწყებაში აღინიშნება იმ პირის სახელი, ვინც აღჭურვილია უფლებამოსილებით, რომ მიიღოს უწყება საწარმოს სახელით. თუ ასეთი პირის ვინაობა უცნობია უწყების გაგზავნის მომენტისათვის, მისი გვარი შეიძლება ჩაიწეროს ამ დოკუმენტის გადაცემისას.

**2.3.4 ხაზი 4.** ჩანაწერის „სად —“ შემდეგ მიეთითება გამოძახებული მხარის სრული საცხოვრებელი ან იურიდიული მისამართი.

**2.3.5. ხაზი 5** დაწერეთ იმ ინსპექტორის სახელი და გვარი ვისთანაც უნდა გამოცხადდეს ინსპექტორი

**2.3.6 ხაზი 6** შეიცავს საგადასახადო აღმინისტრაციის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. უწყებები, რომლებიც მოითხოვება, რომ მოწმემ წარმოადგინოს საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები ან სხვა დოკუმენტები, მზადდება გარკვევით, ორპირიანი გაგების გარეშე. საჭირო დოკუმენტები აღიწერება შეძლებისდაგვარად მკაფიოდ. მიუთითეთ დროის პერიოდი, რომელსაც ეხება წარსაღებავად მოთხოვნილი ჩანაწერები. მაგალითად:

„შესყიდვის ინეიისები 1995 წლის 1 იანვრიდან 1995 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის“.

წარდგენის თვალსაზრისით სამართლებრივად მართებული ფორმით შესრულებულად არ მიიჩნევა ქვემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსი დოკუმენტები:

„საბანკო წიგნები, საბანკო განაცხადები, განაცხადები დეპოზიტებისა და მათი გაუქმების განაცხადები“; ან

„მოწმის ბიზნესთან დაკავშირებული ყველა წიგნი და ჩანაწერი“.

როდესაც მოითხოვება ინფორმაცია სხვა დოკუმენტების, მაგალითად - გადასახადების შეგროვების საინფორმაციო განაცხადის ან საგადასახადო დეკლარაციის შესახებ, უწყებას თან უნდა დაერთოს ამგვარი დოკუმენტის ბლანკის შეუვსებელი ასლი. ეს, გამოძახებულ მხარეს დაეხმარება აუცილებელი დოკუმენტებისა და ჩანაწერების მოძიებაში.

თუ უწყება იგზავნება მხოლოდ ჩვენების ბიკემის მიზნით, მასში არ შეიტანება არანაირი მინიშნება ან ინსტრუქცია.

**2.3.7 ხაზი 7.** არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რომ გამოძახების უწყებაში აღინიშნოს:

იმ თანამშრომლის იურიდიული მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომლის წინაშეც წარსდგება მოწმე.

**2.3.8 ხაზი 8** სრული მისამართი და ოთახის ნომერი (თუნდაც ეს მონაცემები ზემოაღნიშნული იდენტური იყოს), სადაც უნდა წარსდგეს გამოძახებული მხარე უწყებაში მითითებულ დოკუმენტებსა და ჩანაწერებთან დაკავშირებით.

**2.3.9 ხაზი 9** წარდგენის დრო და ადგილი ღვინდება გონიერული მიზანშეწონილობით, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, და არ უნდა იყოს უწყების გაგზავნიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. წარდგენის თარიღი არ უნდა ემთხვეოდეს შაბათს, კვირას, ან კანონით დადგენილ

გამოსავლელ დღეებს. ზეზღლინბნულ 10-დღიან ვადაში არ შედის უწყების გაგზავნის დღე. მაგრამ შედის წარდგენის დაგეგმილი თარიღი. გამომავლელ მხარეს უფლება აქვს, რომ ჩვენების მიცემისას, ადვოკატთან ერთად ახლდეს სხვა პირებიც. გადამხდლის დასწრება მიიჩნევა დადასტურებულ თანხმობად მის საგადასახლო დეკლარაციაში არსებული ინფორმაციის გახმაურების დროს, როდესაც მას თან ახლავს სხვა პირები. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გახმაურების წერილობითი ნებართვა არ მოითხოვება. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუკი გადასახადების შეგროვებელი საჭიროდ ჩათვლის, მოწმისაგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ფიცის დადება. ამ დროს მოწმე წამოდგება და მარჯვენა ხელს ასწევს ზემოთ. ფიცის დადების პროცესი შეიძლება შემდეგნაირად ჩატარდეს: „აღიარებთ თუ არა, ფიცით (დამოწმებით), ცრუმწმომობისათვის სასჯელის წინაშე, რომ ჩვენებები, რომლებსაც თქვენ წარმოგიდგენთ ამ საკითხთან დაკავშირებით, შეუფერება სინამდვილეს, რამდენადაც ეს თქვენთვის ცნობილია?“ მოწმე პასუხობს: „დაა“. ამის შემდეგ უკვე ჩაითვლება, რომ ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე სათანადოდ აგებს პასუხს.

2.3.10 ხაზი 10. იმ ოფიციალური პირის გვარი და ზელმოწერა, ვის წინაშეც წარსდება გადამხდელი ან შესაძლო მხარე.

#### 2.4 გამოძახების უწყების გაგზავნა

გამომავლის უწყების გაგზავნის პროცედურა სრულდება ოფიციალური შეტყობინების (უწყების) იმ მხარისათვის ხელით გადაცემის გზით, ვინც უფლებს საგადასახლო გამოკვლევების შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციას ან დოკუმენტებს, ან გამოძახების უწყების ასლის გაგზავნით გადამხდლის ბოლო და ცნობილ საცხოვრებელ მისამართზე. იურიდიულ პირთა მიმართ უწყება შეიძლება გაიგზავნოს მათი დირექტორების, მენეჯერების, ან იურიდიული დოკუმენტების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების სახელზე.

შესაძლოა მხარეს შეუძლია აღნიშნოს, რომ იგი ნებაყოფლობით იძლევა ინფორმაციას, მაგრამ მოითხოვს უწყისის მიღებას, როგორც სამართლებრივი ვალდებულების მტკიცებულებას, რათა დადასტუროს ან წარადგინოს ჩანაწერები. უწყებებში მიეთითება გაგზავნის 10-დღიანი ან უფრო მეტი პერიოდი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინფორმაცია უფრო ადრე იქნა წარდგენილი. ასეთი დაჭარბებული პროცედურა შესაძლოა არ გახდეს საჭირო, თუ გადამხდელს ან სხვა პირს უფლება აქვს და მოითხოვს, რომ 10-დღიან ვადაში გაგზავნოს გამოძახების უწყება.

უწყების მიღების დადასტურებული სერტიფიკატის შეესება მოითხოვება იმ მიზნით, რომ მიუთითოს მიღების დრო, ადგილი და ადრესატი, ან, თუ უწყება იგზავნება გადამხდლის ბოლო ცნობილ საცხოვრებელ მისამართზე, სერტიფიკატში აღინიშნება შესაბამისი მონაცემები (იხ. დანართი I-2).

2.4.1 ხაზი 1 დაწერეთ დრო და თარიღი, როდესაც გადამხდელმა მიიღო გამოძახება

2.4.2 ხაზი 2-3 2-3 გრაფაში დაწერეთ რა სახით მიეწოდა გამოძახება გადამხდელს

- დატოვებული იქნა მის საცხოვრებელ ადგილზე
- დატოვებული იქნა მის საწარმოში

2.4.3 ხაზი 4 ამ ხაზზე დაწერეთ თქვენი თანამდებობა და მთავრეთ ხელი. ამ ხაზზე თარიღის დაწერა არ არის საჭირო, ვინაიდან პირველ ხაზზე უკვე გვაქვს მოცემული.

### 3. აბტიმების, ძონების ღაყადღაღა

საგადასაზღაო კანონმდებლობის ნებაყოფლობითი დაცვა იდეალური კარიანტს წარმოადგენს. მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც გაღაზღა ნებაყოფლობით არ სრულდება, რის გამოც, გაღაზღაზღაღების აკრეფა იძულებითი წესით უნდა მოზღდეს. არ არსებობს რაიმე ზუსტად განსაზღვრული ნაბიჯები, რომლებიც კონფისკაციას საჭიროებას წარმოშობს. გაღაზღაღების აკრეფის საკითხთა დამაკმაყოფილებელი ფორმით გაღაჭრისათვის საჭირო კმდებებს თვითონ კონკრეტული გარემოებები გეთავაზობს. აზღენად, კონფისკაციის გაღაწვევტილება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნაცუბათევი, იგი გულისყური განხილული ფაქტების შეეკრების საუბუველზე უნდა იქნეს გამოტანილი და ეჭვის არანაირ საბაბს არ უნდა იძულებულეს. გაღაზღაღების ნებაყოფლობითი გაღაზღა უუუზნება საზოგადოებრიობის შხრიღან ნღობის ფაქტორს, რომ საგადასაზღაო კანონმდებლობა მართებულად და მატეოსნად იმართება. ამ გარემოებას არსებითი შინშენელობა ენიჭება გაღაზღაღის იძულებითი წესით აკრეფის ღროს.

### 4. ბამომღახბების საშმხსრამბი

გადამზღელის ქონების ან სხვა აქტივების მიმართ იძულებითი გაღაზღეინების წესის ამოქმდებამდე, უნდა შესრულდეს მოქმდებამთა ოთხი ეტაპი:

- 4.1. გაღაზღაღს დამკვეზდებარებული საგადასაზღაო ბაღანისი შეფასება;
- 4.2. შეტყობინების გაგზავნა გაღაზღის მოთხოვნით;
- 4.3. დამტკიცება, რომ გაღამზღელი უგულებელყოფს ან უარს აცხადებს გაღაზღაზე;
- 4.4. გაღამზღელის მიმართ შეტყობინების გაგზავნა, რომ შთავრობა აძირებს გაღაზღაღების ამოღებას იძულებითი წესით, და რომ ამოიწერა გაღამზღელისათვის მიცემული გაღაღავადებული პეროიდი (შინშენა:იძულებითი წესის ამოქმდების კანონიერი ძალა ექნება ფიქსირებული ღროის მითითების გარეშე, თუ გაღაზღაღი თანხის გაღაზღა რაიმე რისკის წინაშე აღმოჩნდება).

### 4. ღაყადღაღბაზმ უშღბებამოსიღბა

*„სერთაშორისო საგადასაზღაო პრაქტიკის კოდექსში და მისი ძირითადი კომენტარებში“ აღნიშნულია: „თუ ნებისმიერი პირი, რომელსაც წინამდებარე კოდექსის შესაბამისად ეკისრება საგადასაზღაო ვალდებულებები, უგულებელყოფს ან უარს აცხადებს სათანადო შეტყობინების მიღებიდან 10 ღღის ვაღაში გაღაზღაღის გაღაზღაზე მას შემდეგ, როდესაც შეფასდება გაღაზღაღი, ეს შექმნის კანონიერ საფუძველს, რათა გაღაზღაღების აკრეფის განყოფილების თანამშრომელმა ამოიღოს სათანადო თანხები (და სხვა ისეთი თანხა, რაც საქმარისი იქნება ამოღების ხარჯების დასაფარავად) ამ პირის კუთვნილი ნებისმიერი ქონებიდან. ამოღებული გაღაზღაზღი შეიძლება დაერიცხოს სახელმწიფო მოხელის, ან პრივატიზებული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანამშრომლის ხელფასს ან გასამრეჯლოს გაღაზღაღის ამოღების შეტყობინების გაგზავნის შემუვებით იმ პირისადმი, რომელსაც ეკისრება ხელფასებიდან და გასამრეჯლოდან გაღაზღაღების გაღაზღის ვალდებულება“.*

### 5. ძონების ღაყადღაღბაზმე ბასათმაღლისწინებამიღი შაქტორამბი

გადასაზღაღის გაღაზღეინების უფლებამოსილება ეძღევა საგადასაზღაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ამასთან, საგადასაზღაო ადმინისტრაციის შემდგომი საქმიანობის ეფექტურობის სრულყოფის მიზნით, გაღაზღაღების ამოღების უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს ყველაზე დაბალი რანგის ობერატული სამსახურის პერსონალსაც. გაღაზღაღის ამოღების შესახებ შეტყობინების გაგზავნის უფლებამოსილება პერიოდულად გადაეცემა გაღაზღაღების აკრეფის განყოფილების თანამშრომლებს და გაღაზღაღების აკრეფის სფეროს ყველა თანამდებობრივ პირს, ვისაც უშუალო კამირი აქვს ამ საქმესთან რაც შეეხება გაღაზღაღების აკრეფის სამსახურის

ფილალს, აქ უფლებამოსილებათა მოქმედების ფარგლები იზღუდება ფილიალის ხელმძღვანელით, გადასახადების აკრეფის განყოფილებისა და კონტაქტების განყოფილების ზედამხედველი თანამშრომლებით. აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილებათა გადაცემა ხდება მხოლოდ თანამდებობებს, და არა პიროვნებების მიხედვით.

## 6. როგორ მოვაგზავროთ შეტყობინება დახადებების შესახებ

დაყადლების განხორციელებამდე საგადასახადო ინსპექტორმა გადამხდელს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება დაყადლების შესახებ (იხილეთ დანართი ი-3)

7.1. პუნქტი 1 გადამხდელის ინფორმაცია- დაწერეთ გადამხდელის სახელი, მისამართი და რეგისტრაციის ნომერი.

7.2. პუნქტი 2 ინფორმაცია გადამხდელის შესახებ-დააკონკრეტეთ თქვენი რაიონული ინსპექციის სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

7.3. პუნქტი 3 გადასახადის სახე- დააკონკრეტეთ რა სახის დაეალიანება აქვს გადამხდელს: დღე, სამუშაო, მოგების და ა.შ.

7.4. პუნქტი 4 დაწერეთ რომელ პერიოდს მოიცავს გადასახადი

7.5. პუნქტი 5 დააკონკრეტეთ თარიღი რა დროიდანაც ითვლება აღნიშნული გადასახადი დაეალიანებად

7.6. პუნქტი 6 მიმდინარე ბალანსი- დაწერეთ დაეალიანების ბალანსი დაყადებაზე შეტყობინების მომზადების მომენტისათვის, რომელიც მოიცავს ასევე ჯარიმის პროცენტულ დანამატს.

7.7. პუნქტი 7 საერთო დაეალიანება-დაწერეთ შედეგად შეტყობინებაში მოცემული დაეალიანებების საერთო თანხა.

7.8. პუნქტი 8 შეტყობინების მომზადების ადგილი და თარიღი.

7.9. პუნქტი 9 ინსპექტორის ხელმოწერა- შეტყობინების ბოლოს მოაწერეთ ხელი და დაწერეთ ხელის მოწერის თარიღი.

7.10. პუნქტი 10 განყოფილების უფროსის ხელმოწერა -- ამ პუნქტს ხელს აწერს ვადაგადაცემული დაეალიანებების ამოღების განყოფილების უფროსი და ადისტრუტებს, რომ გაეცნოს ინსპექტორის გადაწყვეტილებას და დაეთანხმება.

7.11. პუნქტი 11 საგადასახადო ინსპექციის უფროსის ხელმოწერა- ძირითად შემთხვევებში საქმარისა მხოლოდ განყოფილების უფროსის ხელმოწერა, მაგრამ საერთაშორისო საგადასახადო სამსახურები მოითხოვენ საგადასახადო ინსპექციის უფროსის ხელის მოწერას იმის დასტურად, რომ ქონების დაყადების გადაწყვეტილებამდე იმსპექციამ ამოწერა ვადაგადაცემული დაეალიანებების ამოღების ყველა სხვა საშუალება.

## 7. ქონების დახადებების პროცედურები

გადახდას დაქვემდებარებული თანხის დადგენისას, საპროცედურო და საბუღალტრო განყოფილება აგზავნის გადახდის შეტყობინებასა და მოთხოვნას. ეს შეტყობინება შეიძლება პირადად გადაეცეს გადამხდელს, ან დატოვებულ იქნეს ან ფოსტით გაიგზავნოს მის ბალო ცნობილ საცხოვრებელ მისამართზე. მიღების დადასტურება არ მოითხოვება იმდენად, რამდენადაც მისამართი, რომელზედაც გაიგზავნა შეტყობინება, ცნობილი იყო საგადასახადო განყოფილებისათვის როგორც გადამხდელის ბალო ცნობილი მისამართი.

პირველი შეტყობინება გადახდის მოთხოვნით იგზავნება მას შემდეგ, როდესაც დადგინდება გადახდას დაქვემდებარებული თანხა. შეტყობინებაში მითითებული ათღიანი საგადასახადო ვადის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ ამოქმედდება მთავრობის მიერ დადგენილი სტატუტორული წესი გადასახადის ამოღების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც უკვე მოქმედებს გადასახადის ამოღების წესი, შეტყობინება ამოღების შესახებ შეიძლება გაიგზავნოს საბანკო ანგარიშების, ხელფასების, დებიტორული ანგარიშების, სხვა შემოსავლების, და შესაძლო მხარეთა განკარგვაში არსებული ზემოაღნიშნულის მსგავსი აქტივების მიმართ.

## 8. საბოლოო შეტყობინება დაყვადებამდე

გადასახადების აკრეფის განყოფილების თანამშრომლები, რომელთაც ეკისრებათ დავალანებული გადასახადების აკრეფა (მაგ. საპროცესო და სახელმძღვანელო განყოფილების თანამშრომლები, ან გადასახადების აკრეფის განყოფილების თანამშრომლები) ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ გადამხდელმა მისი კუთვნილი ქონების მიმართ კონფისკაციის ზომების ჩატარებამდე სულ მცირე 30 დღით ადრე მიიღოს საბოლოო შეტყობინება. შეტყობინება შეიძლება გადაცემულ იქნეს პირადად, ან გაიგზავნოს ფოსტით, გადამხდელის ბოლო ცნობილ მისამართზე.

9.1 როდესაც მზადდება გადახდევინების შეტყობინება ბეგარის გადამხდელი პირის, საშემანხველო ან სხვა საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშის და ა.შ. მიმართ, დაცულ უნდა იქნას შემდეგი პროცედურები.

9.2 თარიღის დაფიქსირება, როდესაც მომზადდა დოკუმენტი და იგი ხელმოწერილ იქნას უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ

9.3 ადგილობრივი ოფისის დასახელების შეტანა დოკუმენტში;

9.4 თანამშრომლის, ბანკის, საფინანსო დაწესებულების, ან სხვა მესამე მხარის დასახელებისა და მისამართის შეტანა დოკუმენტში, რომლის მიმართაც გაიგზავნა (გადაიცა) შეტყობინება;

9.5 ბეგარის გადამხდელის გვარი.

9.6 ბოლო ცნობილი მისამართი

9.7 გადამხდელის რეგისტრაციის ნომრის შეტანა;

9.8 სახელმწიფო. შემოსავლების სამსახურის იმ ადგილობრივი ოფისის მისამართის შეტანა დოკუმენტში, სადაც წარმოებს გადამხდელის გადასახადების რეგისტრაცია.

9.9 შეიტანება ამ საქმეზე მასუხიმიტებული პირის გვარი ტელეფონის ნომერი.

9.10 გადამხდელის დავალიანებული ანგარიშის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეტანა.

9.11 ერთსა და იმავე შეტყობინებაში შეიძლება მიეთითოს გადასახადების სხვადასხვა ტიპები და მრავალჯერადი საგადასახადო პერიოდები.

9.12 გადახდის დაქვემდებარებული სრული თანხის აღნიშვნა.

9.13 გადახდევინების შეტყობინების ხელმოწერა. შეტყობინება ხელმოწერება სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ.

გადახდევინების შეტყობინება დება სამ ეგზემპლარად. პირველი მათგანი გადაეცემა ან ფოსტით ეგზავნება გადამხდელის ფონდების განმკარგავ პირს. მეორე გადაეცემა გადამხდელს პირადად, ან ფოსტის მეშვეობით. მესამე კი შეიტანება გადამხდელის ფაილში.

## 10. დასაჯადღებელი ძონების დაცვა

საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი უნდა ეცადოს, რომ მოავაროს ქონების შენახვისა და დაცვის პრობლემები დაყვადების პროცესში, მის შემდეგ, და ქონების გაყიდვამდე. ამ დროს შესაძლოა საჭირო გახდეს ბეგარის გადამხდელის დახმარება, რათა მიღებულ იქნეს ქონების დაცვის ყველა აუცილებელი ზომა (მაგ. წყლის, არა-საჭირო აღჭურვილობის, ძრავების გამორთვა). თუ ბეგარის გადამხდელი აღნიშნავდ, რომ შემობა, სადაც ქონება შესანახად განთავსებული, პერიოდულად უნდა შემოწმდეს, საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია ამ მიზნით ორგანიზება გაუწიოს ბეგარის გადამხდელთან ან მის წარმომადგენელთან შეხვედრას.

მომრავი ქონება უსაფრთხო ადგილზე შესანახად გადატანილ უნდა იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მას უძრავ ქონებასთან ერთად გაუკეთდება კონფისკაცია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონფისკაციის ექვემდებარება უძრავი ქონება და არსებობს მისი უსაფრთხოდ შენახვისა და ნებადართულად შეხების საშუალებები, მაშინ ეს უძრავი ქონება შეინახება შენობაში. თუ საჭიროება მოითხოვს უძრავი ქონების შენახვას, დახმას ან ტრანსპორტირებას, მაშინ

საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია მის კონფისკაციამდე უზრუნველყოს ეს პარობები.

თუ დასაყადებელი ქონება მდებარეობს იჯარით აღებულ შენობაში და არაა ადგილად გადაადგილებლი. (მაგ. მძიმე მანქანა-დანადგარები), მაშინ საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი ტერიტორიის მესატრონესთან ათანხმებს ამ ქონების შენობაში შენახვის საკითხს. თუ ბეგარის გადამხდელს არა აქვს გადახდილი გარკვეული პერიოდის საიჯარო თანხა, მთავრებას შეუძლია გადაუხადოს მესატრონეს საიჯარო თანხა, მაგრამ მხოლოდ დაყადების პერიოდისათვის.

თუ საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია, ქონების საიმედოდ დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაიჭიროოს დასაყადებელი ქონების დარაჯი. დასაყადებელი ქონების გაფუჭების, დაზიანების ან მოპარვის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ, სიტყვიერად ეცნობება ადგილობრივი საგადასახადო ოფისის მენეჯერს, რომელიც ზემოაღნიშნულს შეატყობინებს პოლიციას და საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. ამ გარემოებათა შესახებ წერილობით ანგარიში წარედგინება ადგილობრივი საგადასახადო ოფისის მენეჯერს, ანგარიშის ასლი კი შეინახება ფაილებში.

დაყადებული ქონება შეიძლება გატანილ იქნას გასაყიდად:

- ცალკეული საგნების სახით;
- საგნების ჯგუფის სახით;
- სრულად;
- როგორც ცალკეულ საგნებად (ან დაჯგუფებულად), ისე სრულად.

თუ ქონება გასაყიდად გაიტანება მეთხე ქვე-ბუნქტში მითითებული ფორმით, იგი გაიყიდება ისეთი მეთოდით, რომლითაც მიღწეულ იქნება ჯამური უმაღლესი ფასის შეთავაზება.

თუ ქონება გასაყიდად გაიტანება დაჯგუფებული საგნების სახით, იგი, შეტყობინებაში მითითება ცალკეულ ჯგუფებად, რაც გამაპრიტებს მათ იდენტიფიცირებას. ტენდერის შემთხვევაში კი, თითოეულ ჯგუფს მიეკუთვნება ცალკე ნომერი, და ეს ნომრები გამოყენებულ იქნება ტენდერის მონაწილეთა მიერ, თავიანთ წინადადებებში.

## 11. ბაჟიდევის შეტყობინების მომზადება და ბაგზანება

გაყიდვის შეტყობინება, როგორც წესი, იგზავნება კონფისკაციის შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 30 დღის ვადაში. გარემოებები, რომლებმაც შეიძლება დაბრკოლებები შეუქმნას გაყიდვის შეტყობინების გაგზავნას, დოკუმენტურად ფიქსირდება თ ღ ფაილებში და სათანადოდ მოხსენდება საგადასახადო სამსახურის უფროსს. ამ გარემოებების გაელის შემდეგ, გაყიდვის შეტყობინება გაიგზავნება შეტყობინებადგვარად მოკლე დროში. გაყიდვის შეტყობინების ასლი ჩვეულებრივი საფოსტო გზით ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს (მაგ. დაკავებული ქონების ერთობლივ მფლობელებს).

გაყიდვის შეტყობინების ორიგინალი გადაეცემა ბეგარის გადამხდელს ან დაიტოვება მის საცხოვრებელ ან იურიდიულ მისამართზე. თუ განზორციელდა შეტყობინების პირადად გადაცემის მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ, მიღებულ უნდა იქნეს სხვა სათანადო ზომები, რათა ბეგარის გადამხდელმა პირადად მიიღოს შეტყობინება და გაეცნოს მის უფლებებს გაყიდვამდე ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებით. შეტყობინების ერთი ასლი შეინახება ფაილებში.

შეტყობინების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთში. ხოლო, თუ კონკრეტულ რეგიონში ადგილობრივი გაზეთი არ გამოდის, მაშინ შეტყობინება ეგზავნება კონფისკაციის ადგილიდან უახლოეს საფოსტო განყოფილებას და სულ მცირე ორ სხვა სახელმწიფო დაწესებულებას. გარდა საგაზეთო პუბლიკაციისა, გაყიდვის შეტყობინება:

გაყიდვა საჯარო აუქციონზე თუ კონფისკაცია-ქნილი ქონება იყიდება საჯარო აუქციონის წესით, საზოგადოებრიობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიზნით იგზავნება შეტყობინება საჯარო აუქციონზე ქონების გაყიდვის შესახებ.

გაყიდვა ტენდერის გზით თუ კონფისკაცია-ქმნილი ქონება იყიდება საჯარო ტენდერის წესით, სატენდერო პროცედურის შესახებ მიეთითება ტენდერზე ქონების გაყიდვის შესახებ შეტყობინებაში.

გაყიდვის პროცედურა ქონების გაყიდვის თარიღი დგინდება საგადასახადო სამსახურის თანამშრომლის მიერ და ეს თარიღი არ უნდა დადგეს საჯარო გაყიდვის შეტყობინების გაგზავნიდან 10 დღეზე ადრე და 40 დღეზე გვიან.

გაყიდვის ადგილი იქნება იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონის ფარგლებში, სადაც შესრულდა ქონების კონფისკაცია, თუკი არ აღმოჩნდება, რომ არსებითად უფრო მაღალი ღირებულების წინადადებები შეიძლება იქნეს შემოთავაზებული ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ქონების გაყიდვის ორგანიზების შემთხვევაში. ქონების გაყიდვის ადგილმდებარეობის შეცვლის საკითხი შეიძლება განხილვის საგანი გახდეს, თუკი საჯარაუღოა, რომ ბეგარის გადაშხდელი ან მესამე მხარე წინააღმდეგობებს შეუქმნის გაყიდვას ქონების გაყიდვას თავდაპირველად დადგენილ ადგილზე, ან ზეგაყენას მოახდენს გაყიდვაზე, ან ადგილი ექნება გასაყენად ფასის დაკლებას. ყველა შემთხვევაში, ქონების გაყიდვის ადგილი ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ დაინტერესდეს პოტენციურ მყიდველთა მაქსიმალური რაოდენობა და ქონება შეძლებისდაგვარად მაღალ ფასად გაიყიდოს. თუ გაყიდვა სრულდება სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რეგიონში, ამ რეგიონის საგადასახადო სამსახურის დამოქმედებულ უნდა დამოქმედოს გაყიდვის შეტყობინება.

გაყიდვის გადავადება თუ აუცილებელი გახდება გაყიდვის გადავადება, გადავადების მაქსიმალურმა პერიოდმა უნდა შეადგინოს არაუმეტეს ერთი თვე გაყიდვის თავდაპირველად გამოცხადებული გაყიდვიდან. გაყიდვა შეიძლება გადავადდეს ნებისმიერ დროს, გაყიდვის პროცესის დაწყებამდე.

თუ გაყიდვა გადავადდა თავდაპირველად დაგეგმილი გაყიდვის თარიღის დადგომამდე, საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი წარსდება თავდაპირველი გაყიდვის ადგილზე გაყიდვის დანიშნული დროისათვის, საჯაროდ განაცხადებს გაყიდვის გადავადების შესახებ და დამსწრე საზოგადოებას აცნობებს გაყიდვის ახალ თარიღს, ადგილსა და დროს. ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარაა ახალი განცხადების გამოქვეყნება გაზეთში, მაგრამ ასეთ განცხადებას საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი გააკეთებს, თუკი მას სურს, რომ გაყიდვას უფრო მეტი პოტენციური მყიდველი დაესწროს.

გაყიდვის გადავადება მიოზანშეწონილია მაშინ, როდესაც საგადასახადო სამსახურის თანამშრომლის აზრით, თავდაპირველად დანიშნულ გაყიდვის პროცესს არ ესწრება პოტენციური მყიდველების საკმარისი რაოდენობა, ან თუ დადგინდება, რომ გაყიდვის გადავადება სხვა სარგებელს მოუტანს ბეგარის გადაშხდელს ან მთავრობას.

## 12. შეტყობინება ბადასახადის ბადასდენიების შესახებ

გადასახადის გადახდენების შეტყობინება ყველაზე ხშირად გამოიყენება როგორც გადახდის იძულების საშუალება. იგი ეგზავნება მესამე მხარეს, რათა მიღებულ იქნეს მისი ფულადი აქტივები, ან გადაცემულ იქნეს ისინი გადაშხდელის სასარგებლოდ. ამ მექანიზმის ყველაზე გარკვევებული ტიპები მოიცავს საბანკო ანგარიშებს, დებიტორულ ანგარიშებს, საღადავეუო შემოსავლებს, ხელფასებს, ჯამაგირას და სხვა შემოსავლებს.

შეტყობინება შეიძლება გადაცემულ იქნეს პირადად, ან გაეგზავნოს ფოსტით (ფაქსით), გადახდას დაქვემდებარებული ფონდების მფლობელის მიმართ. თუ იგი იგზავნება ფოსტით ან გადაცემა პირადად, მიღების დამადასტურებელი ჩეკის ასლი რჩება გადასახადების შემგროვებელ თანამშრომელს და ინახება საქმის ფაილებში. მსგავსად გადასახადის გადახდენების შეტყობინებისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტის ყურადღებით მოშხადებას მის გაცემამდე. დაშუებულმა შეცდომებმა შესაძლოა გამოუწირობელი ზეგაყენა იქონიონ სახელმწიფო ინტერესებზე, რაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

### 12.1 გადასახადის გადახდენების დაკისრება ძანკებზე

ბანკებისგან მოითხოვება, რომ მათ, გადახდენების შეტყობინების მიღებისას საგადასახადო ორგანიზებს გადასცენ გადაშხდელის საკრედიტო ანგარიშზე დაპირებული ყველა თანხა. ამასთან,



როგორც წესი, მათ ნება ეძლევათ აწარმოონ ყველა შიდა დოკუმენტი ან მიიღონ მოთხოვნები გადახდევინების შეტყობინების მიღების დღეს. ეს პროცესი ლიბიტირებულია და ამდენად, ყველა პრეტენზია, რაც ბანკებს გადახდევინების შეტყობინების შემდგომ თარიღებში წარედგინება, განხილავს არ დაქვემდებარება. ეს გარეშობა თავიდან აგვაკილებს შემთხვევას, რომ გადახდევნა გაიტანოს ფონდში მას შემდეგ, როდესაც იგი შეიტყობს გადახდევინების არსებობის შესახებ. ბანკი გადახდევინების მოთხოვნას განიხილავს როგორც ბეგარის გადაამხდელი პირი, რომელიც აცხადებს პრეტენზიას თავის ფულზე. ნებისმიერი პროცენტი, რაც დაირიცხება ანგარიშზე, ასევე ექვემდებარება გადახდევინებას სახელმწიფოს სასარგებლოდ მანამ, სანამ სრულად არ დაიფარება გადასახდელი თანხა. გადასახადის გადახდელს შეუძლია წარადგინოს პრეტენზია, ან ბანკს შეუძლია დააკმაყოფილოს ნებისმიერი პრეტენზია იმ თანხის ზემოთ, რომელიც ექვემდებარება გადახდევინებას.

მათრამდენად ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ბანკებმა თავიანთი წესები არ განუსაზღვრონ და ქმედუნარიანობა არ შეუზღუდონ გადახდევინების შეტყობინებას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მალევე იქნეს მცისიერი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკებმა პატროსნად შეასრულონ გადასახდების გადახდევინების პროცესი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ გადასახადების აკრეფის სამსახურის თანამშრომლებმა პარტნიორული, პარტნიორული და მტკიცე საქმიანი ურთიერთობები შეინარჩუნონ საბანკო ინსტიტუტებთან, რამდენადაც ისინი გადასახადების იძულებით აკრეფის უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ.

### *12.2 გადახდევინება დებიტორული ანგარიშებიდან/დაზღვევიდან*

ზემოთ აღნიშნული პროცედურები ამ ტიპის მომსახურების მიმართ გამოიყენება, იმ გამოჩაკლისით, რომ გადასახადების აკრეფის განყოფილების თანამშრომლებმა დამატებითი ყურადღება უნდა დაუთმონ მომსახურების პერიოდში გადახდას დაქვემდებარებული თანხის დადგენას და ზუსტად უნდა განსაზღვროს გადახდის ვადა. კარგი იქნება, თუ თანხის მფლობელი გადაამხდელს გაუგზავნის საკონკრეტო შეტყობინებას მომსახურების დროისა და საკრედიტო ანგარიშზე ამ მომენტისათვის არსებული თანხების მითითებით. გადასახადების აკრეფის განყოფილების თანამშრომლებმა დაკვირვებით უნდა მოამზადოს დოკუმენტირებული ანგარიში მომსახურების პერიოდისათვის, თუკი მოგვიანებით რაიმე გაუგებრობა წარმოიშვება გადასახად თანხასთან დაკავშირებით.

სადაზღვევო პოლისიდან გადახდა მოიცავს ფულად სესხებს თვით სადაზღვევო პოლისის გადაცემის გარეშე, რომელიც არსებობს მომსახურების პერიოდში. იგი განხილავს ექვემდებარება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამოიწურება გადასახადების გადახდევინების ყველა სხვა შესაძლებლობა.

*პროგრესის რესპუბლიკის საგადასახადო კოდექსის თანხმად, გადახდევინების პროცესი არ ეტყობება გარდაცვლილ, უმუშევარ პირებზე, სოციალურ დახმარებებზე, პენსიებზე და ეტერანთა დახმარებებზე.*

### *12.3 გადახდევინება ზღუდასიდან, ჯამეირიდან და სხვა შემოსულებიდან*

გადასახადის ეს ტიპი გარკვეულწილად განსხვავდება იმ ჩვეულებრივი მოსაკრებლებისაგან, რომლებიც ამოიღება გადასახადების გზით, იმით, რომ მათ მიმართ დაშვებულია ნებისმიერი წინასწარი სამართლებრივი მოთხოვნის წაყენება. ამასთან, გადახდევინების შეტყობინება სრულად რჩება ძალაში მანამ, სანამ იარსებებს საგადასახადო ვალდებულება გადახდას დაქვემდებარებული თანხის მიმართ.

ყოველგვარი ზედმეტი გადახდევინება, გამოწვეული საგადასახადო პროცესიდან, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს კომპენსირებული. როდესაც ანგარიში სრულად ანაზღაურდება, მონაშენეონილია, რომ გამოძახებულ იქნეს მესამე მხარე, რომლის მიმართაც გაიგზავნა გადახდევინების შეტყობინება, და მას ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით დაუღასტურდეს, რომ იგი გათავისუფლებულია გადახდევინებისაგან.

### 13. შმტაზობინეზის შირფაღეზა დაზადღეზის შმსახე

- 13.1 პუნქტი 1 დანერეთ დოკუმენტის მოზადების თარიღი
- 13.2 პუნქტი 2 დანერეთ საგადასახლო ინსპექციის სახელი
- 13.3 პუნქტი 3 დანერეთ ბანკის ან კონკრეტულად იმ პირის სახელი ვისაც ეგზანება დოკუმენტი
- 13.4 პუნქტი 4 დანერეთ გადამხდელის სახელი, მისამართი და რეგისტრაციის ნომერი
- 13.5 პუნქტი 5 დანერეთ საქართველოს სახელმწიფო საგადასახლო დეპარტამენტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მოგმართოთ გადამხდელმა
- 13.6 პუნქტი 6. კონკრეტულად მიუთითეთ გადასახლის ტიპი, გადახდის პერიოდი და ზუსტი თანხა
- 13.7 პუნქტი 7. ხელის მოწერა – საგადასახლო ინსპექტორი ხელს აწერს ამ გრაფაში
- 13.8 პუნქტი 8. საგადასახლო ინსპექტორის თანამდებობა. ხშირ შემთხვევაში ამ გრაფაში ჩაიწერება საგადასახლო ინსპექტორი, მაგრამ შეიძლება მას თავისი უფლებამოსილება სხვაზე ქონდეს დელეგირებული

### 14. ბაღასღევიწეზის შმტაზობინეზა ეგზანეზა:

გადახღევიწეზის შეტუზობინეზა დგება სამ ეგზემპლარად. პირველი მათგანი გაღეცემა ან ეგზანება ფოსტით ფონდების განქარგევი პირს. მეორე გაღეცემა გაღამხდელს პირადად ან ფოსტის საშუალებით. მესამე კი შეიტანება გაღამხდელის ფაილებში.

### 15. დასქენა

საქართველოში ვადგადაცილებული დეკლიანების ამოღება საგრძნობლად გაუმჯობესდება, თუ ამ გეკევილში განხილული მეთოდები დინერგება საქართველოს სახელმწიფო საგადასახლო დეპარტამენტში. თუ ამ მეთოდებს ექნებათ იურიდიული საფუძველი, საგადასახლო ინსპექტორმა უნდა დაცივას კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, თუ საგადასახლო ინსპექტორები ვერ შეიძლებენ მათ სწორად გამოვენებას, მაშინ პარლამენტი შეცვლის, შეამცირებს ან გაუქმებს აღნიშნულ პროცედურებს. ამ მეთოდების გამოვენებით, ინსპექტორი გადამხდელის უფლებებს დაცივებს.

ეს სახელმძღვანელო შექმნილია საგადასახლო ინსპექტორთა დასახმარებლად. სწორედ თქვენ, ჩვენი სტუდენტები დაციკებთ მნიშვნელოვან თანამდებობებს საქართველოს საგადასახლო ან სამთავრობო სტრუქტურაში მომავალში. და ეს წიგნი დიდად დავეხმარებათ თქვენს საქმიანობაში.

გისურებთ წარმატებას, მომავალი თქვენი.

პროგრამას რესპუბლიკა  
საბოლოო შეტყობინება დაყადაღებაზე

ვის: ბეგარის გადამწდელის ვინაობა და მისამართი  
თარიღი:

დავალიანებულ გადასახადებთან დაკავშირებით, ქვემოთ მითითებული  
პერსონებისათვის და გადასახადის ტიპების მიმართ

გადასახადის ტიპი                      ვალდებულების პერიოდი                      გადასახდელი თანხა  
სულ: \_\_\_\_\_

წინა შეტყობინება და მოთხოვნა თქვენ გამოგვეზავნათ ზემოთ მითითებული  
გადასახადების დავალიანებასთან დაკავშირებით. ჩვენს ჩანაწერებში აღნიშნულია,  
რომ ეს თანხები ჯერ კიდევ არაა გადახდილი და გერიცხებათ დავალიანების  
სახით. წინამდებარე შეტყობინებით გაცნობებთ ჩვენს განზრახვას, რომ იძულებითი  
წესით ამოვიღოთ ვადაგადაცილებული დავალიანების თანხები და აქტივები, იმ  
ოდენობით, რაც სრულად დაკმაყოფილებს დავალიანებულ საგადასახადო  
ვალდებულებებს. თუ გადასახადი არ იქნება ჩვენს მიერ მიღებული ათი დღის  
ვადაში ამ შეტყობინების თარიღიდან, ჩვენ დავიწყებთ გადასახადების ამოღების  
პროცესს პროგრესის რესპუბლიკის საგადასახადო კოდექსის 541-ე ნაწილის  
შესაბამისად, თქვენი ნებისმიერი და ყველა ქონების კონფისკაციის გზით.  
დაყადაღებამ შეიძლება მოიცვას თქვენი საბანკო ანგარიშები, ხელფასი, ჯამაგირი,  
ნებისმიერი შემოსვლები და ფონდები, მოძრავი ან უძრავი ქონება. ყალბის  
პროცესის თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეთ  
გადასახადების აკრეფის განყოფილების თანამშრომელს, რომლის გვარი და  
იურიდიული მისამართი ქვემოთაა მითითებული

გადასახადების აკრეფის თანამშრომლის ხელმოწერა

გადასახადების აკრეფის თანამშრომელი \_\_\_\_\_  
ოფისის მისამართი \_\_\_\_\_  
ტელეფონის ნომერი \_\_\_\_\_

გამომავლობა  
პროგრამის რესპუბლიკა  
საგადასახადო აღმინისტრირების დეპარტამენტი

საკითხი ეხება \_\_\_\_\_

საგადასახადო რაიონი \_\_\_\_\_ პერიოდები \_\_\_\_\_

ვის \_\_\_\_\_

სად \_\_\_\_\_

წინამდებარით, გამოძახებული ბრძანდებით და მოგეთხოვებათ გამოცხადდეთ საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლების წინაშე ჩვენების მისაცემად, თან უნდა იქონიოთ და შესამოწმებლად წარადგინოთ ქვემოთ მითითებული საბუღალტრო აღრიცხვის წიგნები, ჩანაწერები, მასალები და სხვა მონაცემები საგადასახადო ვალდებულებებთან, გადასახადების აკრეფასთან, საგადასახადო აღმინისტრირების საკითხების, ან საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა დაეშვათ საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებს, თავიანთი მოვალეობების შესრულების დროს, ზემოაღნიშნულ პირთა და საწარმოთა მიერ, მითითებულ პერიოდებში.

საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლის ოფისის მისამართი და ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_

წარდგენის ადგილი და დრო: \_\_\_\_\_  
/დღე, თვე, წელი, საათი/

გაცემულია პროგრესის რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად  
/გაცემის თარიღი/

\_\_\_\_\_ /გამგზავნი თანამშრომლის ხელმოწერა/

პროგრამის რესპუბლიკა  
საგადასახადო აღმინისტრაციის დეპარტამენტი

გამოძახება  
ჩაბარების საბუთი

ვადასტურებ, რომ ჩავაბარე ამ ფორმის პირველ გვერდზე აღნიშნული გამოძახების  
შეტყობინება \_\_\_\_\_

/თარიღი:

დრო/

<p>როგორ გაიგზავნა გამოძახების შეტყობინება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- გადაეცემა გამოძახების შეტყობინების დამოწმებული ასლი იმ პირს, ვის მიმართაც იგი გაიგზავნა</li> <li>- დაეტოვე გამოძახების შეტყობინების დამოწმებული ასლი იმ პირის ბოლო ცნობილ საცხოვრებელ მისამართზე, ვის მიმართაც იგი გაიგზავნა</li> </ul>
--	--

ხელმოწერა:

თანამდებობა: \_\_\_\_\_

პროგრამის რეაბილიტაცია  
გადახდვითი მიხედვით

თანხა ექვემდებარება გადახდას \_\_\_\_\_ ლან

რეგიონალური ოფისი

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

ბეგარის სახეობა	გადახდის დასრულების პერიოდი	დარიცხვის თარიღი	გადაუხდელი ბალანსი შეფასებისას
სულ:			

ზემოთ აღნიშნული თანხები ამჟამად ექვემდებარება გადახდას და რჩება პროგრამის რესპუბლიკის მიმართ დავალიანებად. ისინი ექვემდებარება გადახდას ზემოთ მითითებული გადამხდელის მიერ. გადახდის შეტყობინება და მოთხოვნა უკვე გაიგზავნა. პროგრამის რესპუბლიკის საგადასახადო კოდექსის 541-ე ნაწილი ითვალისწინებს დავალიანებული თანხების ამოღებას გადამხდელი პირის ნებისმიერი ქონებიდან გადახდევინების მიქცევით, შემდგომი დაყადაღებით, დავალიანების დაფარვის მიზნით. ამასთანავე იგივე 541-ე ნაწილი მოუთხოვს რომ, აღნიშნული ქონება და ქონებრივი უფლებები საჭიროებისამებრ შეფასდება და დაერიცხება კანონით გათვალისწინებული დანამატები დავალიანებული თანხების ამოღებასთან დაკავშირებული გადასახადების დანახარჯების, მოსაკრებლებისა და შესატანების ჩათვლით.

თარიღი \_\_\_\_\_

გადასახადების აკრეფის განყოფილების თანამშრომლის. ხელმოწერა და თარიღი: \_\_\_\_\_

ჯგუფის მენეჯერის ხელმოწერა და თარიღი \_\_\_\_\_

გადასახადების აკრეფის განყოფილების უფროსის ხელმოწერა და თარიღი \_\_\_\_\_

/გადამხდელის ან მისი აგენტის გვარი/ \_\_\_\_\_

დაყადაღებული აქტივების ინვენტარიზაციის პროცესზე დამსწრე ინსპექტორის გავარი

**დაჭადაღების აქტი**

ფორმა 301, ნაწილი 1, ადრესატის ასლი

ვის: (გვარი და მისამართი)

პროგრესის რესპუბლიკის კოდექსის 541-ე ნაწილის თანახმად და რეგიონალური საგადასახადო დეპარტამენტის დირექტორის მითითებების საფუძველზე შევასრულე ქვემოთ ჩამოთვლილი ქონების დაყადაღება გადახდას დაქვემდებარებული და გადაუხდელი თანხების გამო.

ექვემდებარება გადახდას	გან	თანხა	რეგიონალური ოფისი
ყადაღადებული ქონების აღწერილობა			

ყადაღის დამდები თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

დამხმარე თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

**დაზადაღმების აქტი**

ფორმა 301, ნაწილი 2, გადამხდელის ასლი

ვის: (გვარი და მისამართი)

პროგრესს რესპუბლიკის კოდექსის 541-ე ნაწილის თანახმად და რეგიონალური საგადასახადო დეპარტამენტის დირექტორის მითითებების საფუძველზე შეეასრულე ქვემოთ ჩამოთვლილი ქონების კონფისკაცია გადახდას დაქვემდებარებული და გადაუხდელი თანხების გამო.

ექვემდებარება გადახდას – დან	თანხა	რეგიონალური ოფისი
საკონფისკაციო ქონების აღწერილობა		

ყადაღის დამდები თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

დამხმარე თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი



**დაყადღების აქტი**

ფორმა 301, ნაწილი 3, TDAR-ის ასლი

ვის: (გვარი და მისამართი)

პროგრესის რესპუბლიკის კოდექსის 541-ე ნაწილის თანახმად და რეგიონალური საგადასახადო დეპარტამენტის დირექტორის მითითებების საფუძველზე შევასრულე ქვემოთ ჩამოთვლილი ქონების დაყადღება გადახდას დაქვემდებარებული და გადაუხდელი თანხების გამო.

გაყადღება გადახდას – ღან	თანხა	რეგიონალური ოფისი
საკონფისკაციო ქონების აღწერილობა		
ქონების ადგილმდებარეობა ან შენახვა	ქონების აღწერა	თანხა (\$)
	გამოსცილება გაყოფამდე	
	დაყადღებისგან განთავისუფლება გაყოფამდე	
	გაყოფა	
	საჯარო აუქციონზე დახურული გაყიდვით	

კონფისკაციის ჩამტარებული თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

დამხმარე თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

**ყვადლის დადების აქტი**

ფორმა 301

ვის: (გვარი და მისამართი)

პროგრესის რესპუბლიკის კოდექსის 541-ე ნაწილის თანახმად და რეგიონალური საგადასახადო დეპარტამენტის დირექტორის მითითებების საფუძველზე შევასრულე ქვემოთ ჩამოთვლილი ქონების კონფისკაცია გადახდას დაქვემდებარებული და გადაუხდელი თანხების გამო.

ექვემდებარება გადახდას – დან	თანხა	რეგიონალური ოფისი
საკონფისკაციო ქონების აღწერილობა		

კონფისკაციის ჩამტარებელი თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

დამხმარე თანამშრომლის ხელმოწერა

თარიღი

შემოსავლების დეპარტამენტი  
სანიმანსო დაპალება

თარიღი: (ა)

რეგიონალური ოფისი (ბ)

ვის: (გ)

საგადასახადო ვალდებულების შესახებ:  
გადამხდელის გვარი და მოსამართი (დ)

საიდენტიფიკაციო ნომერი

ქასუხად:

(ე)

გადასახადის სახეობა	გადახდის პერიოდის დასრულება	დავალიანების ბალანსი	დამატებითი ვალდებულებები	სულ
(ვ)				
სულ:				(ზ)

თანხმად საგადასახადო კოდექსისა, ზემოაღნიშნული თანხის მიმართ შეტყობინება და მოთხოვნა გაეგზავნა გადამხდელს, რომელმაც უგულებელყო ან უარი განაცხადა გადახდაზე. თანხა დღემდე რჩება დავალიანების სახით. საგადასახადო კოდექსის 541-ე მუხლი ითვალისწინებს თანხის და დამატებითი ვალდებულებების ამოღებას. გადასახადის ამოღებას ექვემდებარება შემდეგი: გადამხდელის დეპოზიტზე ამ შეტყობინების გაგზავნის მომენტისათვის არსებული ყველა თანხა, ხელფასი და გასამრჯელო, რომელიც მიღებული გაქვთ ამ შეტყობინების თარიღისათვის, ან რომელზეც ვხდებით ქასუხისმგებელი ამ შეტყობინების მიღებისას. გადასახადის ამოღება გაგრძელდება დავალიანებული თანხის სრულად დაფარვამდე სახელმწიფო საშემოსავლო დეპარტამენტის მიმართ. მანამდე გვევალბათ გადამხდელის მიმართ ღარიცხული თანხის დაფარვა. არ მოახდინოთ იმ თანხის ჩათვლა, რომელიც უნდა დაეიბრუნოთ მეცაღე გადამხდელმა, საშემოსავლო დეპარტამენტის დამატებითი ინსტრუქციების გარეშე.

სახელმწიფო საშემოსავლო დეპარტამენტის

თანამდებობა

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

1. შესავალი

პროცესი, რომელზე დაყრდნობითაც თანამედროვე საგადასახადო ორგანოები ამუშავებენ ვადაბადაცილებული დაეალიანებების ამოღების პოლიტიკას რთული და მრავალმხრივია. საგადასახადო ადმინისტრაცია ახდენს სხვადასხვა სიტუაციების რისკის ფაქტორის პროგნოზირებას, ღებულობს გადაწყვეტილებებს ალტერნატივების სიმრავლის დროს და აყალიბებს საგადასახადების ამოღების პოლიტიკას. ამას ხშირად განსაზღვრავს ქვეყნის კულტურა, გამოცდილება ბიზნესში, სასამართლო პროცესის სტრუქტურა და მთლიანი გამოცდილება. შემდეგ ხდება ამ ანალიზის საბოლოო შედეგების შეჯერება, განხილვა საგადასახადების ამოღების სამმართველოსთან, რის შემდეგაც მას იყენებენ როგორც სამუშაო პროცედურულ მითითებებს. უპირაწია, ამ პროცედურული მითითებების და პოლიტიკის პერიოდულად განხილვა და ცვლილებების შეტანა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გადამხდელები სწრაფად ეცნობიან საგადასახადო კანონებს და მითითებებს და საქმიანობას ისე აწყობენ, რომ თავია აარიდონ კანონს.

საგადასახადების ადმინისტრაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვადაბადასული დაეალიანების ამოღება, წინა საგადასახადო დეკლარაციების თაემოყრის უზრუნველყოფა და იმ პოტენციური გადამხდელების იდენტიფიკაცია ვინც არ არის რეგისტრირებული გადამხდელად. ვადაბადასული დაეალიანების ამოღების თითოეულ კერძო შემთხვევაში, არ არის მიზანშეწონილი და საჭირო ყველა დასაშვები ხერხის გამოყენება. იმის გადაწყვეტა, თუ რომელი ხერხი უნდა იქნეს შერჩეული, ძირითადად დამოკიდებულია რისკის ფაქტორის შეფასებაზე, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო ვალების ამოღებასთან. ყველაზე ნაკლებ-ხარჯიანი მეთოდი გამოყენებული უნდა იყოს, იმ დაეალიანების ამოღების დასაჩქარებლად, რომლის დროსაც გადამხდელი არ ან ვერ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს. საგადასახადო ინსპექტორმა უნდა უზრუნველყოს საგადასახადო სისტემის მთლიანობა, და ეს უნდა გაკეთდეს იმ შეგნების განმტკიცებით გადამხდელებში, რომ ვერაეინ შეძლებს მოქალაქეობრივი ვალდებულების თავის არიდებას საგადასახადების გადახდის სფეროში. აქედან გამომდინარე, ყველამ ვინც ვალდებულია, უნდა შეეცდოს საგადასახადო დეკლარაცია და გადაიხადოს კუთვნილი საგადასახადები.

საგადასახადების ამოღების პოლიტიკამ რომ შედეგი გამოიღოს, მისი მეთოდური მითითებები და პოლიტიკა უნდა იყოს:

- შერჩევითი: ყველა გადამხდელი არასოდეს არ ასრულებს ზუსტად საგადასახადო ვალდებულებებს ; არსებობს ძალიან ბევრი დარღვევა. თუმცა, მთელი ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევების დადგენასა და მათ გამოწვევებზე უნდა იყოს მიმართული.
- ნაკლებ-ხარჯიანი: დაეალიანებების ამოღების ნაკლებ-ხარჯიანი ალტერნატივის შერჩევა უმჯობესია, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ შესაძლოა დადგეს არჩევანი ვეფქტურობასა და ხარჯს შორის. ისმის კითხვა: შეჩერებული უნდა იქნას თუ არა შემდგომი ღონისძიებები, როდესაც ამოღების ხარჯი აჭარბებს ამოსაღები თანხის ოდენობას?

- სწრაფი: საგადასახადო კანონთა ვალდებულების შესრულების გამიზნული დარღვევა. გამოვლენილი უნდა იყოს სწრაფად და დროულად აღკვეთილი.
- შემაჩერებელი/აღმკვეთი: ძირითადი აქცენტი გაკეთებული უნდა იყოს გადაჩხედლის მიერ ყველა საგადასახადო კანონის და ვალდებულების შესრულებაზე. რათა აღიკვეთოს და აღმოიფხვრას ვადაგადაცილებული დაეალიანებების წარმოშობის მიზეზები.

გადასახადების ამოღების პოლიტიკის განმსაზღვრელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკმეა პოლიტიკისა და პროცედურული მითითებების ისეთნაირად შედგენა რომ სდ-ს ლიმიტირებული რესურსები ეფექტურად იქნეს გამოყენებული. ეს ძირითადად ნიშნავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელ შემთხვევაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომელი შემთხვევა უნდა იქნეს იგნორირებული და როდემდე. სდ – ს პოლიტიკა მეტად ცვალებადია, რადგან ხდება საგადასახადო კანონებში ცვლილებების შეტანა, ასევე იცვლებიან უფლებამოსილი პირები და კადრები გადასახადების ამოღების სფეროში. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს მარტივი, გასაგები პროცედურული მითითებების და გადასახადების ამოღების პოლიტიკის შექმნას რომლის ავტომატიზირება და მოხმარება იოლი იქნება. ქვემოთ აღწერილია ადვილად განსახორციელებელი, ვარიანტადი პროცესი, რომელიც დაარეგულირებს ვადაგადასული დაეალიანების ამოღებას.

## 2. პროცედურული მითითებები საწყისი ეტაპისათვის

იმ ინსპექციებს, რომლებსაც სამუშაო პროცესი ავტომატიზირებული აქვთ, საწყისი და ზოგიერთი მომდევნო ეტაპები გამარტივებული ექნებათ (დანართი 1). იმ ინსპექციებმა კი, რომლებიც ჯერ კიდევ ხელით აწარმოებენ ვადაგადასული დაეალიანების სიების დამუშავებას, და ხელით ავსებენ ფორმებს, ქვემოთ წამოთვლილი პროცესები უნდა მოარგონ სამუშაოს ხელით შესრულებას. საწყისი სამუშაოებისათვის ბაზის შესაქმნელად, რაიონული საგადასახადო ინსპექციის ან გადასახადების ამოღების განყოფილების უფროსმა უნდა გააკეთოს შემდეგი:

- 2.1. კომპიუტერის მეშვეობით ადგენს მვეალეების სიას. სიის პარამეტრები შეიძლება ასე მოწესრიგდეს, (მაგ. სია შეიძლება დაიწყოს მხოლოდ იმ დაეალიანებებით, რომელთა ანგარიში აღემატება 100,000 ლარს) რომ არ გამოიწვიოს სამუშაოს მოზღვაეება გადასახადების ამოღების სფეროში მომუშავე ინსპექტორებისათვის.
- 2.2. სიიდან ირჩევს გარკვეულ საქმეს და აღნიშნავს მათი დაეალიანების ანგარიშზე იმ ინსპექტორის საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელსაც გადაეცემა საქმე. ეს ყოველი ინსპექტორისათვის თავისებურად შექმნის ანგარიშს, სამუშაოს საწარმოებლად.
- 2.3. ყოველი დაუფარავი ანგარიშისათვის, კომპიუტერი გამოგვძავს "ვადაგადაცილებული დაეალიანების დაუყოვნებლივ დაფარვის შეტყობინებას". ამ შეტყობინებას თან დაერთება ანგარიში და მისი გამოყენება შეიძლება ამ საქმეზე მიმდგრებულ ინსპექტორს.

- 2.4. ამოცმებს, რომ სამკეშიო თანაბრად იყოს განაწილებული ამ საქმეზე მიმაგრებულ ინსპექტორთა შორის. ინსპექტორი:
- 2.4.1. ინსპექციის არქივიდან იღებს ძველ, ინფორმაციას (წინა საქმესთან დაკავშირებულ ხანაწერებს, ვადაგადაცდილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტს), გადასახადების ამოღების საკითხთან დაკავშირებით.
- 2.4.2. ყველაზე დიდ ანგარიშებთან დაკავშირებით, საწყისი ეტაპისათვის ამყარებს კონტაქტს:
- 2.4.2.1. ტელეფონით, როდესაც არსებობს ტელეფონის ნომერი და სთხოვს, რომ დავალიანება დაფარონ სრულად.
- 2.4.2.2. უგზაენის წერილს (როდესაც საფოსტო მომსახურება სანდოა და იძლევა ამის საშუალებას) ან ფაქსით უგზაენის გამამხდელს შეტყობინებას დავალიანების 15 დღეში დაფარვის თაობაზე.
- 2.4.2.3. ხელედან-ხელში გადასცემს გამამხდელს შეტყობინებას. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ფაქსით ან ფოსტით შეტყობინების გაგზავნა, ამყარებს კონტაქტს პირადად.
- 2.4.2.4. შეაქვს ნებისმიერი მიღებული ინფორმაცია ვადაგადაცდილი დავალიანების ისტორიის ფურცელში (დახაზული ფურცელი, კონტაქტის თარიღით მარცხენა მხარეს. მოკლე მონახაზით კონტაქტის შესახებ, გამამხდელის რეაქცია პირობა გადახდის თაობაზე, ტელეფონის ნომერი ან მიგაეის ინფორმაცია მარჯვენა მხარეს.) ინსპექტორს შეაქვს მონაცემთა ბაზაში ინფორმაცია ვადაგადაცდილებული დავალიანების სრული/ნაწილობრივი გადახდის თაობაზე.
- 2.4.3. განმეორებითი კონტაქტები - საჭიროა მაშინ, როდესაც გამამხდელი არ იხდის დავალიანებას სრულად, არ პასუხობს შეტყობინებაზე ან თუ სწორი არ არის მისი ადგილმდებარობა. ასეთი სახის კონტაქტები უფრო ძნელია და მოითხოვს კონცენტრაციას ინფორმაციის სრულად მიღებაზე, რათა განხორციელებულ იქნეს გადასახადების იძულებითი ამოღების აქტი. ამ კონტაქტის პროცესში ინსპექტორმა უნდა:
- 2.4.3.1. განმეორებით მოითხოვოს ვადაგადაცდილებული დავალიანების სრული დაფარვა.
- 2.4.3.2. იმ შემთხვევაში თუ არ ხდება დავალიანების სრულად დაფარვა, მოაგროვოს ამ საწარმოს ან კერძო პირის შესახებ სრული ინფორმაცია. ვადაგადაცდილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო ინფორმაციის დოკუმენტი საწარმოსათვის ან კერძო პირისათვის გამოიყენოს ინტერვიუს საგნად და ინფორმაციის არქივად. ამ დოკუმენტების და ინტერვიუს ტექნიკის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ, ვადაგადაცდილი საგადასახადო დავალიანების ამოღების გაუმჯობესების მსმენელთა დამხმარე სახელმძღვანელოში, რომელიც გამოვიდა 1999 წლის ივნისში. ეს სახელმძღვანელო დაურიგდათ მსმენებლებს, 1999 წლის ზაფხულში ჩატარებული ტრენინგის დროს. ორ რსი-ს, მთაწმინდა-კრწანისის მაინც, ვადაგადაცდილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო დოკუმენტი მიაჩნია ფასდაუდებელ ინფორმაციის წყაროდ, განსაკუთრებით იურიდიული დეპარტამენტებისათვის. დავალიანების შემთხვევის სასამართლოში გადაცემისას, იურიდიულ დეპარტამენტს, საესებით შეუძლია დაეყრდნოს ამ დოკუმენტს, როგორც ძირითადი ინფორმაციის წყაროს. ინსპექტორმა განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შეავსოს პირველადი კონტაქტის

დროს მიღებული ინფორმაცია, რადგან ამისთვის მეორე შემთხვევა, შეიძლება აღარ ქონდეს.

2.4.3.3. თუ პირველი კონტაქტის დროს ვერ მოხერხდება გადამხდელის ადგილსამყოფელის დადგენა, მაშინ ინსპექტორმა უნდა მიმართოს დაზარტებით ღონისძიებებს. ასეთი საჭიროებისათვის ინფორმაციის ძირითადად წყაროს წარმოადგენენ მეზობლები ან ფოსტის თანამშრომლები. მაგრამ, არსებობს სხვა წყაროებიც: საგზაო პოლიცია, ადგილობრივი ლიცენზიის გამცემი ორგანოები, საბაჟოს თანამშრომლები, და ასე შემდეგ. ყოველი მათგანი უნდა გამოიკითხოს. იმ შემთხვევაში თუ გადამხდლები ადგილზე არიან, მათ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საგადასახადო დავალიანების შესახებ და მოთხოვონ მისი სრული გადახდა.

2.4.4. როდესაც, გადასახადი არ იქნება გადახდილი პირველი ორი კონტაქტის შემდეგ, ან პირველი კონტაქტის შემდეგ, ურჩ გადამხდელს უნდა გამოუწერონ (კომპიუტერით) “საბოლოო შეტყობინება”. თუ ამანაც არ იმოქმედა, იწყება გადასახადების აძოღების იძულებითი მეთოდების გამოყენება.

2.4.5. იდვალურია გადასახადების ნებაყოფლობითი გადახდის ვარიანტი, მაგრამ არის შემთხვევები, რომლის დროსაც იძულებითი აძოღება არის ერთადერთი ალტერნატივა. არ არსებობს თანმიმდევრული პროცედურული მითითებები იმის განსაზღვრად თუ როდის უნდა მოხდეს სასამართლოსთვის საკითხის გადაცემა საკუთრებაზე ყადაღის დასადებად. ამისთვის საჭიროა ინსპექტორის პროფესიონალური გამოცდილება და უნარი. ამ საკითხის გადაწყვეტაში დაგეხმარებათ თვითონ პირობები და გადამხდელის ოპერატიულობა. გადაწყვეტილება ყადაღის დადებას შესახებ არ უნდა მოხდეს დაუფიქრებლად, მაგრამ როგორც კი მოხდება მისი აუცილებლობის დადგენა, მაშინვე უნდა განხორციელდეს. საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დარწმუნებულია გადამხდელი ყველა საგადასახადო კანონის ერთგვაროვან აღმინისტრირებაში. თუ გადამხდელის უმეტესობა იხდის გადასახადებს, მათ სურთ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი კოლეგა გადამხდლებიც ასევე მოიქცევიან. თუ ეს ასე არ მოხდება, ისინი ელიან, რომ სდ იძულებითი ხერხების გამოყენებით გადასახადების დროულად აძოღებას.

საინკასო დავალების დოკუმენტი ის დოკუმენტია, რომელიც საერთაშორისო საგადასახადო საზოგადოებაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება მესამე პირის მიმართ ლარის ან ფულის სხვა ერთეულის გამოსაყენებლად დავალიანების დაფარვის მიზნით. საქართველოში საინკასო დავალების დოკუმენტი გამოიყენება გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან ფულის მოსახსნელად. ამ დოკუმენტის მიწოდება შეიძლება პირადად, გაგზავნა ფოსტით ან ფაქსით იმ ბანკისათვის რომელშიც თანხა ინახება. საგადასახადოს ინსპექტორებმა აუცილებლად უნდა შეინახონ საინკასო დავალების ასლი დავალიანების საქმეში. გადასახადების აძოღების პირველად წყაროს წარმოადგენს:

2.4.5.1. ბანკები - საინკასო დავალების რეალიზაციის და ლარის აძოღების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და სწრაფი წყარო არის ბანკი. თუ გადამხდელს ბანკში აქვს თანხა, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა გადაუხადოს სდ-ს. ამ საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადებისა და კომპიუტერული

გადარიცხვებისათვის მათ ეძლევათ საკმარისი დრო (ჩვეულებრივ ორი დღე). ბანკმა საინკასო დავალება მისი გამოყენების მომენტისას, უნდა განიხილოს როგორც გადამხდელის მიერ თანხის მოთხოვნის მომენტისათვის ამ თანხაზე ყადაღის დადება. გადამხდელის კუთვნილი პროცენტიც, ასევე უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს თანხებში. გადამხდელს შეუძლია მოითხოვოს საინკასო დავალების განხორციელების შემდგომ დარჩენილი თანხა. ბანკს შეუძლია ამ თანხის გადახდა დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე. საგადასახადოს ინსპექტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკმა არ გააჭიანუროს საინკასო დავალების აღსრულება და სათანადო თანხები დროულად იქნას ამოღებული საინკასო დავალების შესაბამისად. საგადასახადო ინსპექტორებმა უნდა დაამყარონ და შეინარჩუნონ სამუშაო, პარამონიული და საქმიანი ურთიერთობები ბანკის თანამშრომლებთან, მაგრამ, საჭიროებისამებრ, მათ ასევე უნდა შეძლონ თავიანთი უფლებამოსილების სათანადო დონეზე დაყენება ამ ურთიერთობების შენარჩუნებისთვის.

2.4.5.2. **დებიტორული ანგარიში.** ინსპექტორი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს დავალიანების ამოღების ამ წყაროს მიმართ. მან უნდა დაადგინოს ზუსტი გადასახდელი თანხის ოდენობა საინკასო დავალების ამოქმედებისას, და თანხის ამოღების ზუსტი დრო. ეადგადასული დავალიანების ანგარიშის საქმეში უნდა შევიდეს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

2.4.6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის, 244<sup>3</sup>-ე მუხლის მიხედვით, საინკასო შეტყობინების გაგზავნასთან ერთად, საგადასახადოს ინსპექტორმა უნდა აამოქმედოს გირაენობის უფლება ტექნიკური ინვენტარიზაციის საჯარო რეესტრში, რომლის ასლიც ასევე უნდა გაუგზავნოს გადამხდელს.

2.4.7. იმ შემთხვევაში, თუ საინკასო შეტყობინების საფუძველზე არ მოხდება დავალიანების სრულად დაფარვა, ინსპექტორმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია საგადასახადო დავალიანების შესახებ და მიაწოდოს იურიდიულ დეპარტამენტს სასამართლოში გადასაცემად. ამ უკანასკნელმა უნდა შეაგროვოს ინფორმაცია და მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტები სასამართლოში გადასაცემად. გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლო იყენებს სხაედასახაეა სახის ინფორმაციას, ეადგადაცილებული დავალიანების ამოღებისათვის საჭირო დოკუმენტს, გადამხდელის საქმეს და საუბრებს სდს იურისტთან. სასამართლომ შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებანი:

2.4.7.1. ყოველკვირეული, ორკვირიანი ან ყოველთვიური გადახდები გადაცილებული დავალიანების დასაფარავად, ასევე დარჩენილ თანხას დამატებული ახალი საგადასახადო ვალდებულები.

2.4.7.2. გადამხდელის ძირითადი საშუალებების, მოწყობილობების, მანქანების ან სხვა ქონების გაყიდვა რათა დაფარულ იყოს საგადასახადო დავალიანება.

2.4.7.3. გადამხდელმა თავად გაყიდოს ნაწილი მისი ტექნიკის ან ძირითადი საშუალებების ეადის დასაფარავად და სხვა.

2.4.8. თანხის ამოღება მოხდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, ან საკრედიტო აეიზოს საშუალებით სდს ბანკში დეპოზირებული თანხიდან.

2.5. ზოგიერთი ეადგადასული დავალიანების ანგარიშის დაფარვა შესაძლოა შეუძლებელი გახდეს. ძირითადად ეს შემდეგი სახის ანგარიშებია:



- პატარა დაჯილდოების ანგარიშები, რომლებზეც დროის დახარჯვა არც კი ღირს. (მოსამძენია დაჯილდოების სიდიდის მიხედვით)
- ანგარიშები, რომელთა შესახებ საგადასახადოს ინსპექტორმა დარწმუნდა, რომ შემდგომი ცდა გადასახადების ამოღებისა უშედეგო იქნება, ან გადამხდელი ვერ შეძლებს მის გადახდას. (შეუძლებელია გადახდა)
- შემთხვევები, როდესაც საგადასახადო ინსპექტორმა ყველა ღონე სცადა გადაიხდელის ადგილმდებარეობის დასადგენად, მაგრამ უშედეგოდ. (არ დგინდება ადგილმდებარეობა)
- გადაიხდელი გარდაცვლილია. (გარდაცვალება)

ნათელია, რომ ამ შემთხვევებში გადასახადების ამოღება დროებით შეუძლებელია. ამიტომ ისინი უნდა მიეკუთვნოს კატეგორიას, როგორცაა ამოუღებელი ან დროებით ამოუღებელი ვალი, რაც მოგეცემს სხვა კატეგორიებიდან, ფაქტიურად ამოღებადი დაჯილდოებიდან გამოყოფის საშუალებას. (საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ბოლო ცვლილებების საფუძველზე, ინსპექტორებს მიეცემა საშუალება გამოიყენონ ეს მეთოდი. იგი გამოიყენება სხვა საგადასახადო რევიზებში და ეწოდება დაშვება (გამონაკლისი) უიმედო ვალებისათვის. დეტალური ინფორმაცია დროებით ამოუღებელი დაჯილდოების ფორმის შეესების თაობაზე შეგიძლიათ მოიძიოთ გაკეთილში -თ-, დროებით უიმედო ვალების შემთხვევების განყოფილებაში, მისენელთა სახელმძღვანელოში: საგადასახადო ვადაგადასული დაჯილდოების ამოღების გაუმჯობესების ხერხები.

### 3. არარეზივანტობის ბაზაზე მდებარეობის ბაზაზე მდებარეობის.

- 3.1. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ელემენტი, რომელსაც უწოდებენ არალეგალურ ეკონომიკას ან “შავ ფულს”. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ის ხალხია, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. უფრო ხშირად ეს ის ხალხია რომლებსაც სურთ საგადასახადო რევიზს მიღმა დარჩენა. ორივე შემთხვევაში საჭიროა მათი საგადასახადო სტრუქტურაში ჩაბმა.
- 3.2. იდეალურ ვარიანტში გადასახადების აკრეფის სამმართველოში კომპიუტერის მეშვეობით, ხდება მათი დადგენა მათი ვინც არ წარადგენს დეკლარაციას. (იხილეთ დანართი II) ეს ძირითადად ხდება მონაცემთა ბაზებს შორის “შედარების ოპერაციების” მეშვეობით. ნათელია, რომ ამ ოპერაციებისათვის ყველაზე საუკეთესო წყაროს წარმოადგენს ავტომატიზირებული ინფორმაციები. იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები ავტომატიზირებული არაა, გამოიყენება შედარების მეთოდი უკომპიუტეროდ. შედარებისათვის გამოიყენება:
  - საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახდენენ მოქალაქეთა რეგისტრაციას (მაგ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, შიდა კონტროლი ან სოფლის მეურნეობა, და სხვა);
  - ადგილობრივი ან მუნიციპალური ორგანოები, რომლებიც ახდენენ ეკონომიკური საქმიანობის ლიცენზირებას;
  - ადგილობრივი პოლიციის განყოფილებები;
  - ინფორმაცია საბაჟო იმპორტ/ექსპორტის შესახებ;

- საპასპორტო კონტროლის ან ემიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- გაზეთის სტატიები და რეკლამები;
- სატელეფონო ცნობარები-განსაკუთრებით საწარმოთათვის;
- ინფორმატორები, რომლებიც წერენ ან რეკავენ საგადასახადო დეპარტამენტში;
- ავტო-მანქანების რეგისტრაცია
- კარიდან-კარზე შემოწმებები;
- საწარმოების ჩანაწერების შემოწმება, საიდანაც ელინდებიან ქვეკონტრაქტორები ან არარეგისტრირებული საბითუმო კომპანიები.

3.3. კომპიუტერული ან ხელით შემოწმების ჩატარების შედეგებიდან გამომდინარე უნდა შედგეს იმ გადასახდლების სიები, რომლებიც არ წარადგინენ დეკლარაციებს. საგადასახადო ინსპექციის ან გადასახადების ამოღების სამმართველოს უფროსმა პრიორიტეტის მინიჭების საფუძველზე უნდა გადაარჩიოს ისინი და გადასცეს ინსპექტორებს, საიდენტიფიკაციო ნომრების მიხედვით. გადასახადების ამოღების სამმართველოს უფროსი კომპიუტერის მეშვეობით დაამუშავებს მათ ან შექმნის ასეთი ანგარიშების სარეგისტრაციო ჟურნალს. საგადასახადო ინსპექტორები:

3.3.1. ყველაზე ეფექტური საშუალების გამოყენებით დაამყარებს ურთიერთობას გადასახდელთან საწყის ეტაპზე. უმეტეს შემთხვევაში ეს იქნება სატელეფონო კავშირები, შეტყობინების გაგზავნა ფაქსით ან მისი ხელიდან-ხელში გადაცემა საგადასახადო დეპარტამენტში გამოცხადების თაობაზე. ასეთი კონტაქტის დროს საგადასახადო ინსპექტორი ადგენს რომ:

3.3.1.1. გადასახდელის ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია. დეტალები მისი ადგილსამყოფელის ძიების თაობაზე უნდა ჩაიწეროს ისტორიის ფურცელში რთმეულიც თან ერთვის შესაბამის ნაქმეს. ეს ინფორმაცია შემდეგ გადაეცემა ჯგუფის ხელმძღვანელს რათა მან დახუროს საქმე კომპიუტერში ან რეგისტრაციის ჟურნალში.

3.3.1.2. გადასახდელი ამტკიცებს, რომ იგი რეგისტრირებულია. ასეთ შემთხვევაში ინსპექტორი აგროვებს ყველა შესაძლო ინფორმაციას. შემდეგ მას ადარებს რეგისტრაციის მონაცემთა ბაზას. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია ფიქსირდება, საქმე იხურება. თუ რეგისტრაცია არ დაფიქსირდება, ინსპექტორი უბრუნდება გადასახდელის რეგისტრაციის საკითხს და ამზადებს ყველა საგადასახადო დოკუმენტს მის დასარეგისტრირებლად.

3.3.1.3. გადასახდელი აღიარებს, რომ არ არის რეგისტრირებული და თანამშრომლობს ინსპექტორთან, ამზადებს და აესებს შესაბამის დოკუმენტებს. ინსპექტორმა უნდა შეიტანოს ინფორმაცია საქმის ისტორიის ფურცელში და გადასცეს დახურული საქმე ჯგუფის უფროსს.

3.3.1.4. ზოგიერთ შემთხვევაში ინსპექტორი აღმოაჩენს, რომ გადასახდელის ჩანაწერები ზედმეტად რთულია ან ვრცელი სათანადო დოკუმენტების მოსამზადებლად. ამიტომ საქმედ გადასცემს შემოწმების სამმართველოს. იმ შემთხვევაშიც, თუ გადასახდელი უარს ამბობს თანამშრომლობაზე, დეკლარაციის შეესებაზე, ინსპექტორი საკითხს გადასცემს შემოწმების სამმართველოს.

ზოგჯერ, ინსპექტორი აღმოაჩენს სისხლის სამართლის საკითხს, რომლის დროსაც საქმე გადაეცემა გამოძიების სპეციალურ სამმართველოს შემდგომი შესწავლისათვის.

33.2. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს არ შეუძლია გადასახდელი თანხის სრულად დაფარვა, ინსპექტორი მიმართავს გადასახადების ამოღების ჩვეულებრივ ხერხებს, რომელიც აღწერილია ზემოთ, რაც მოიცავს საინკასო შეტყობინების გამოწერას და შემდგომი რეაგირებისათვის, საქმის სასამართლოში გადაცემას .

#### 4. რეპისტრირებული გადამხდელები, რომლებმაც შეწყვიტეს გადახდა.

4.1. მათი აღმოჩენა ეინც შეწყვიტა საგადასახადო დეკლარაციის შეესება, უფრო იოლია და არ საჭიროებს მონაცემთა ორი ბაზის შედარებას. (იხილეთ დანართი III) ამის გაკეთება შესაძლოა მონაცემთა ბაზის შემოწმებით დეკლარაციების წარდგენის დადგენილი თარიღიდან 2-3 კვირის შემდეგ.

4.2. საგადასახადო ინსპექციის ან გადასახადების აკრეფის სამმართველოს უფროსი შეამოწმებს მათ სიას, ეინც შეწყვიტა დეკლარაციის შეესება, განსაზღვრავს პრიორიტეტებს, და გადაცემს ინსპექტორებს. საქმეს პრიორიტეტი ენიჭება იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის შემოსავალი ამოიღება. ეს დაიანგარიშება ბოლოს გადახდილი გადასახადის და წარუდგენელი დეკლარაციების რაოდენობის მიხედვით.. საგადასახადო ინსპექტორი:

4.2.1. ამყარებს კონტაქტს გადამხდელთან ყველაზე ეფექტური საშუალებებით, უფრო ხშირად ტელეფონით. ამ კონტაქტის დროს ინსპექტორი, ისევე როგორც კონტაქტისას იმ პირებთან, ეინც შეწყვიტა დეკლარაციის შეესება, ადგენს:

4.2.1.1. რომ გადამხდელმა შეიცვალა მისამართი და უცნობია მისი ადგილსამყოფელი. დეტალები მისი ადგილსამყოფელის ძიების შესახებ ჩაიწერება ამ საკითხის საქმის ისტორიის ფურცლებში. ამის შემდეგ, ეს ინფორმაცია გადაეცემა ხელმძღვანელს სათანადო რეაგირებისათვის. მას შეუძლია დახუროს საქმე კომპიუტერში ან ქურნალში.

4.2.1.2. გადამხდელი ამბობს, რომ მან შეაესო ყველა საჭირო საგადასახადო დოკუმენტი. ინსპექტორი აგროვებს ყველა შესაძლო მონაცემს და ამოწმებს მას მონაცემთა ბაზასთან. თუ ეს ასეა, საქმე იხურება. თუ არა, ინსპექტორი უბრუნდება გადამხდელს, აწვდის მოპოვებულ ინფორმაციას და მოითხოვს მისგან დეკლარაციის შეესებას და გადასახადის გადახდას.

4.2.1.3. გადამხდელი აღიარებს, რომ მან დააგვიანა დოკუმენტების შეესება და გადასახადის გადახდა და მზად არის შესარულოს საგადასახადო ვალდებულებები. ინსპექტორი ავსებს ისტორიის ფურცელს და აწვდის უფროსს, რომ საქმის კვლევა შეწყდეს.

4.2.2. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს არ შეეძლება გადასახადი თანხის სრულად დაფარვა, შემდგომი შეხვედრებისას ინსპექტორი გამოიყენებს

გადასახადების ამოღების ჩვეულებრივ ხერხებს, რომლებიც ახსნილია ამ გაკვეთილის II ნაწილში.

- ჩვენ ვისაუბრეთ გადასახადების ამოღების ჩვეულებრივი მეთოდებზე. როგორც გვიჩვენებს ამ მეთოდების გამოყენების გამოცდილება, გადასახადების ამოღების განყოფილების უფროსებმა უნდა განაახლონ ისინი მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. მათ შეუძლიათ გამოიყენონ სხვა ქვეყნებში დაგროვებული გამოცდილებაც, რითიც გააუმჯობესებენ დაეალიანებების ამოღების პროცესს.